ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით | №28 (1729) | 27 ივლისი — 2 აგვისტო. 1999 წ. | ფასი 50 თეთრი



„ხელისუფლების შესანარჩუნებლად შევარდნაძემ თვითმფრინავის გატაცების შემდეგ უდანაშაულო ადამიანები დახვრიტა. ვითომ რატომ არ გააკეთებს იგივეს დღეს?.."



მეორე გვერდი

## ქართველი ებრაელები ბიბლიის გატანის წინააღმდეგ

მესამე გვერდი

## მოემზადეთ 2000 წლის დამდეგისათვის, – გვაფრთხილებს ამერიკის პრეზიდენტი

მეორე გვერდი

## ვინ აპოვნინებს სამართალს გოჩა ჯიქიას მშობლებს?

მერვე გვერდი



## გურული „ავაზაკები" და „მცირე რევოლუცია" ლანჩხუთში



მესამე გვერდი

## რატომ დაირღვა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება?

მე-12 გვერდი

## ესტონური სტანდარტები, ანუ ბალტიისპირული პატარა ქვეყანა III ათასწლეულის დამდეგს

მეშვიდე გვერდი

ელექტრონული ვერსია http: // www.opentext.org.ge/sakartvelo

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

### გააგებინე ბებიას, რატომ ვერ იღებს პენსიას



მიხეილ სააკაშვილმა ახალგაზრდული სმაკის ყრილობაზე განაცხადა, რომ მე ჩემს ბებიასაც კი ვერ ვუხსნი, თუ რატომ ვერ იღებს პენსიასო.აქ იბადება კითხვა, თუ მმართველი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ვერ ახერხებს აუხსნას ბებიამისს პენსიის დაურიგებლობის მიზეზი, მაშინ სხვამ რა უნდა ქნას, ვინც ბაიბურში არ არის ხელისუფლების იმ პოლიტიკის შესახებ, რომლის წყალობითაც ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი ბობოქრობს. თუმცა სიმართლე უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ მიხეილ სააკაშვილი ისე აილესავს ენას მთავრობის წინააღმდეგ, რომ ხანდახან ფიქრობ, იგი ამ მმართველი გუნდის დაუძინებელი მტერიაო, მაგრამ მეორე წუთს რომ დაიწყებს მქევრმეტყველების იმავე ხელისუფლების დამსახურებათა შესახებ, მაშინ კი ხვდები, რომ ეს ახალგაზრდა კაცი ნიღბების მორგების დიდი ნიჭითაა დაჯილდოებული, ორატორობის უნარიც გააჩნია, მაგრამ შორს არის მაინც იმ ჭეშმარიტებისაგან, რაც მას მისცემდა ბებიამისისათვის პენსიების დაურიგებლობის ახსნის საშუალებას.

### ახლა თქვენი დროა...

პოპულარული მუსიკალური ჯგუფი „სახე" ირაკლი ბათიაშვილისა და თემურ ბასილიას პარტიის, „მოძრაობა ქართული სახელმწიფოსათვის", მხარდაჭერას აპირებს საარჩევნო კამპანიაში. უნდა ითქვას, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გამოჩენილ მომღერალთა თანადგომას ხშირად განუსაზღვრავს ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიისა თუ პოლიტიკოსის წარმატება. აქედან გამომდინარე, პარტიამ „მოძრაობა ქართული სახელმწიფოსათვის" შესაძლოა არჩევნებში წარმატებას მიაღწიოს, რაც მათ ლიდერებს სიმღერის „ახლა ჩვენი დროას" ღიღინის ხასიათზე უთუოდ დააყენებს.



### ლუდით დღეგრძელობა გრძელდება



უკანასკნელ ხანს გოგი თოფაძე კედელზე დაკიდებულ თოფს ნამდვილად არ ჰგავს. იგი უფრო იმ თოფს ჰგავს, რომელიც მოძალებულ მტერთან გახურებულ ბრძოლაშია ჩაბმული. ხელისუფლებამ ავი ძაღლებივით მიუსია სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოები თოფაძის ფირმა „ყაზბეგს", ანგარიშებიც გაუყინეს ბანკში და ლამის სისხლის სამართლის დამნაშავედ გამოაცხადეს. თავად ბატონი გოგი ასე აფასებს მის წინააღმდეგ წარმოებულ კამპანიას: „მოქალაქეთა კავშირი რომ დაგვეფინანსებინა,ასე არ მოხდებოდა. მე არ მებრძოდნენ როგორც მეწარმეს. ბრძოლა დამიწყეს როგორც პოლიტიკოსსო". ძნელია ეჭვი შეიტანო ამ განცხადებაში, როცა იცი, რომ ფირმა „ყაზბეგს" მილიონობით ლარი შეაქვს ბიუჯეტში, 4000 კაცს სამუშაო გაუჩინა და ბევრ სიკეთეს აკეთებს ამქვეყნად, მაგრამ ამავე დროს არ იზიარებს ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკას და მას დამღუპველს უწოდებს. შეძლებს თუ არა ქვეყნის ეკონომიკის დამღუპველი ხელისუფლება გოგი თოფაძის ლუდის იმპერიის დაღუპვას, ეს უახლოეს ხანში გამოჩნდება. ჯერ-ჯერობით კი ორივე მხარე ერთმანეთის ლუდით დღეგრძელობას აგრძელებენ.

### რკინის ქალამნებით და რკინის ჯოხით

ქართველი ნაციონალისტები სამი სარჩელის შეტანას აპირებენ სასამართლოში. ერთის მთავარობის და პრეზიდენტის წინააღმდეგ. მალე ნაციონალისტებს რკინის ქალამნების და რკინის ჯოხების შეძენა დასჭირდებათ სამართლის საპოვნელად, ისეთ მარათონში აპირებენ ჩაბმას, თუმცა, თუკი ოთარაანთ ქვრივი ერთი ქათმის ქურდობას არავის შეარჩენდა, ნაციონალისტებს მიზნად გაძარცვული ქართველი ხალხის ინტერესების დაცვა აქვთ, რისთვისაც ნამდვილად ღირს თავის გადადება.

### შეგინებაზე თუ გადახტებიან

7%-იანი საარჩევნო ბარიერის დაწესებას ბევრმა ისეთმა პარტიამ დაუჭირა მხარი, რომ გაოცებული რჩები კაცი. საქმე იმაშია, რომ მხარდამჭერთა სიაში არიან ისეთი ორგანიზაციები, რომელსაც წინა არც ერთ არჩევნებში ასეთი მაღალი ბარიერი არასოდეს გადაულახავთ. ეს იგივეა, სიმაღლეზე მხტომელი ორ მეტრზე დაყენებულ თამასასაც ვერ ძლევდეს და ორმეტრნახევარზე გადახტომის იმედი ჰქონდეს. საიდან აქვთ ასეთი დიდი იმედები ამ პარტიებს ცოტა გაუგებარია. თუ კინოფილმ „რეკორდის" გმირივით შეგინებაზე ბრაზდებიან და არჩევნებში რეკორდების დამყარებას ფიქრობენ, მაშინ სხვა საკითხია, მითუმეტეს, რომ შემგინებელი ზოგიერთ მათგანს საკმაოზე მეტი ჰყავს.

## ინტერვიუ

### მამუკა გიორგაძე:

## ხელისუფლების შესანარჩუნებლად შევარდნაძემ თვითმფრინავის გატაცების შემდეგ უდანაშაულო ადამიანები დახვრიტა. ვითომ რატომ არ გააკეთებს იგივეს დღეს?..

**— ბატონო მამუკა, საუბარი ბათუმური ალიანსით დავიწყოთ...**

— დავიწყოთ, დღეს ყველაფერი აქედან იწყება.

**— თქვენი ოპონენტები ამ ალიანსს გარიგებას უწოდებენ, აქედან გამომდინარე, ამ კავშირს არამყარად მიიჩნევენ და იმედოვნებენ, რომ არჩევნებამდე შესაძლოა ეს გარიგება ჩაიშალოს კიდეც...**

— ეს რომ გარიგება არ არის, სახალხო პარტიის პოზიციამ კარგად დაადასტურა. ეს ალიანსი ფაქტიურად გახლავთ თვისობრივად ახალი ტიპის უმრავლესობის შექმნა პარლამენტში. ამ თემაზე მიმდინარეობდა მუშაობა. ოთხი პოლიტიკური ორგანიზაცია შეთანხმდა ამ საკითხებში. სახალხო პარტიას ოდნავ განსხვავებული შეხედულებები ჰქონდა, მაგრამ არჩევნებამდე ჯერ კიდევ გვაქვს დრო და მუშაობის შედეგად გარკვეულ შედეგებს მივიღებთ. მიგვაჩნია, რომ მომდევნო პარლამენტში სრულიად ახალი უმრავლესობა იქნება წარმოდგენილი. ეს სამუშაოები დიდი ხნის წინ დაიწყო და, შეიძლება ითქვას, ძალიან დაპირისპირებული შეხედულებების მატარებელმა ორგანიზაციებმა მოძებნეს თავის თავში ძალა, დამსხდარიყვნენ ერთმანეთის გვერდით და პოლიტიკური ბრძოლა გადაეტანათ თანამედროვე ეტაპისათვის, ჩვენის აზრით, ყველაზე უფრო მისაღებ ფორმაში — მაგიდასთან საუბრებში, კონსულტაციებში, შეხვედრებში. ნელ-ნელა ეს პოზიციები ერთმანეთთან ჯერდებოდა, ადამიანები, რომლებიც თითქოსდა ვერ წარმოიდგენდნენ ერთმანეთის გვერდით ბრძოლას, ურთიერთობას — ყოველდღიური შეხვედრებით დაუახლოვდნენ ერთმანეთს და ის, რაც ერთი წლის განმავლობაში მოხერხდა, არის უდიდესი გამარჯვება ქართული პოლიტიკური აზროვნებისა. აღმოჩნდა, რომ თურმე საქართველოში შესაძლებელია ასეთი ურთიერთობები. პოლიტიკური პარტიები მტრებივით კი არ ვუყურებდით ერთმანეთს, არამედ, როგორც კონკურენტები, პარტნიორები.

ამის შემდეგ, თავისთავად ლოგიკური დასასრული გახლავთ ამ ალიანსის გაფორმება.

გარკვეულ საკითხებზე დღეს ვერ მოხერხდა შეთანხმება, მაგრამ არის დრო, არის ვადები და თუ იმ ტემპით გავაგრძელებთ მუშაობას, რომლითაც აქამდე მიდიოდა, შედეგი ნამდვილად იქნება.

ბოლო პერიოდის საქართველოს ისტორიაში ყველაზე ნათელი გამოხატულება გახლავთ ის, რომ პარტიები შეგნებით, სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, უდგებიან საქმეს და არა კერძო ინტერესებით.

ჩვენ თავიდან ერთმანეთთან მიგვიყვანა არსებული პოლიტიკის წინააღმდეგ განწყობამ, მაგრამ ეს შემდეგ თანდათან შეიცვალა და დაემატა ერთმანეთთან თანამშრომლობის სურვილი, პარტნიორობის ელემენტები და დღეს ვიღაცის ჯინაზე კი არა ვართ ერთად, არამედ შეგნებული გვაქვს, რომ ეს ერთობა დღეს სახელმწიფოს სჭირდება.



**— რა განსაკუთრებული აზრთა სხვაობა იყო თქვენს შორის, რამაც გაიძულათ, რომ ალიანსში ცალკე გამდგარიყავით?**

— ეს იძულება ნამდვილად არ იყო. მით უფრო, რომ მუშაობის პირობების მხრივ, საკმაოდ ჯანსაღი ნიადაგი იყო მომზადებული. თუნდაც ის გარემოება, რომ აღორძინების კავშირის ამ გაერთიანებაში ყველაზე სოლიდური რესურსები გააჩნია, მაგრამ მაინც ყველა პრობლემა მოხსნა და თავის ხარჯზე ყველა სხვა ორგანიზაციას თავის დამკვიდრების მაქსიმალური საშუალება და საკუთარი შეხედულებების გამოვლენის შესაძლებლობა მისცა მეტად მნიშვნელოვანი და

გაგრძელება მე-3 გვერდზე

## მოემზადეთ 2000 წლის დამდეგისათვის. — გვაფრთხილებს ამერიკის პრეზიდენტი

**რა უნდა იცოდე 2000 წლის შესახებ.**

I2K-ს, ანუ 2000 წელს მოსალოდნელი სირთულის შესახებ ორი წლის წინ ინტერნეტით შევიტყე. ადამიანები ერთმანეთს უზიარებენ შიშს. ამბობდნენ, რომ სადმე, მიყრუებულ, შორეულ ქოხში უნდა დაბინავდე, თან წაიღო ოქროულობა, საჭმელი, სუფთა წყალი, მოიმარაგო წამლები, ღამე გასანათებელი ფანრისათვის რამდენიმე ელემენტი უნდა შეიძინო წინდაწინ, რომ კარგა ხანს გეყოს. დაბინძურებული წყლის გასაწმენდი ქიმიური ნივთიერებაც უნდა იყიდო. ყოველივე ეს ზღაპრული, დაუჯერებელი, არასერიოზული მეგონა. ვერ დავიჯერე, რომ მეოცე საუკუნის ბოლოს თანამედროვე მსოფლიოში რაღაც ასეთი საჭიროება წამოიჭრებოდა. შუა საუკუნეებში ხომ არ ვცხოვრობთ, თავი დავიიმედე.

წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც ახლახანს წავიკითხე, „აშშ პრეზიდენტის გაფრთხილება 2000 წლის დადგომისას მოსალოდნელი ვითარებისათვის მზადყოფნის შესახებ", მთავრობა გვირჩევს თითოეულ ჩვენგანს, რომ წინდაწინ მოვემზადოთ ისე, როგორც მიწისძვრის, წყალდიდობის წინ ემზადებიან — ე. ი. მოვიმარაგოთ ბლომად საჭმელი, წყალი, გასანათებელი საშუალება, წამლები და სხვა აუცილებელი ნივთები. შიში, პანიკა ადამიანს ვერ იხსნის, პირიქით, დააბნევს. სჯობს, დინჯად მოვიმარაგოთ საჭირო ნივთები, ვისაც შეუძლია მიყრუებულ სოფელში, ქოხში მოუყაროს თავი მარაგს, ვისაც ეს არ შეუძლია, საჭმელი, ფანარი, მისი ელემენტები შეიძინოს და სხვ. გეგმა ჩამოაყალიბეთ და ასე იმოქმედეთ.

**რა არის I2K პრობლემა?**

მარტივად რომ აგიხსნათ, ეს არის 2000 წლის დადგომისას მოსალოდნელი შეფერხებები. რამ გამოიწვია ეს პრობლემა? 30 წლის წინ კომპიუტერები რომ გავრცელდა, პროგრამისტებმა შექმნეს პროგრამები, სადაც სიმარტივისათვის ორნიშნა რიცხვებით დაკმაყოფილდნენ ოთხნიშნას ნაცვლად (მაგალითად, 1978 წლის ნაცვლად დაწერეს 78). დღემდე ამას არავინ შეუფერხებია, მაგრამ 2000 წელს 1900 ნაცვლად 00-ით დამდეგი ათასწლეული როცა იქნება აღსანიშნავი, მაშინ გამომთვლელი მანქანა შეადარებს ორ რიცხვს 99 (მაგალითად, 1999) და 00 (ე. ი. 2000). ის იფიქრებს, რომ 99 00-ზე მეტია, ამიტომ დასკვნას გამოიტანს, რომ 00 უნდა იყოს ადრე, ხოლო 99 მის შემდეგ. რას გამოიწვევს ეს? გამომთვლელი მანქანა ამას ისე გაიაზრებს, თითქოს, ვთქვათ, თქვენ 100 წლის მანძილზე არ გადაგიხდიათ გადასახადი. სწორედ ეს იწვევს შიშს. კომპიუტერები ამ ცდომილებას ერთდროულად დაუშვებენ 1999 წლის გადასვლისას 2000 წელში. ჩვენი ცხოვრება კომპიუტერების გამოყენებით მიმდინარეობს, საზოგადოება მათ ყველა სფეროში იყენებს. ამიტომ არის სხვადასხვა სირთულე მოსალოდნელი.

**როგორ უნდა მოვიქცეთ?**

მარტივად თუ ავხსნით, 30 წლის წინანდელ კომპიუტერის პროგრამები უნდა შევცვალოთ, ისე, რომ 00 მანქანამ აღიქვას, თითქოს ის არის 2000. ეს ნიშნავს მილიონობით კოდის გადაკეთებას, შეცვლას, ყოველი 00-ს გამოსავლენად და შესაცვლელად. თუ რიცხვების გადაკეთებას ვერ შეძლებენ, მაშინ მეორე გზაც არსებობს: დროებითი ბრძანებით რიცხვები 00-50 იმ 2000 წლისა უნდა ჩაენაცვლონ 1999 წლის 51-99 რიცხვებს. ეს 50 წლით გადაავადებს პრობლემას, რის შემდეგაც ისევ დაგვჭირდება შეცვლა. მოსახლეობის შესამზადებლად აშშ-ს ფედერალურმა მთავრობამ ინტერნეტით რამდენიმე ტექსტი გაავრცელა. გაეცანით მათ, შეასრულეთ რჩევები. თქვენს ინტერნეტში ჩართულ ტექსტებს სათაურის ზემოთ უფასოდ დაუმატეთ ნიშანი 2000 წელი, რომელიც ჩვენს მიერ მითითებულ ადგილზეა გამოფენილი ინტერნეტში. ეს იმის ნიშანი იქნება, რომ პირადად თქვენთვის ცნობილია, როგორ უნდა შეემზადოთ 2000 წლის დამდეგისათვის. რაც შეიძლება მეტ ადამიანს გააცანით, თუ როგორ უნდა მოიქცეს. ნაცნობებსაც, ახლობლებსაც, მეზობლებსაც, უცნობებსაც უამბეთ ამ საკითხზე, მისწერეთ, რომ ყველანი მშვიდად შევხვდეთ დამდეგ ახალ წელს.

ყურადღებით ადევნეთ თვალი ჩვენს ახალ ცნობებს, რომლებსაც მიღებისთანავე გავავრცელებთ ინტერნეტით. ეს პრობლემა ერთნაირად შეეხება იმათ, ვინც კომპიუტერზე მუშაობს და იმათ, ვისაც თვალით არ უნახავს კომპიუტერი. მთელი საზოგადოება იყენებს მათ, ამიტომ მთელი საზოგადოება უნდა შეემზადოს მშვიდად, გონივრულად. ნუ ილეწლვებთ, ყველაფერი კარგად ჩაივლის.

**სტეფანი ვოლმერი**

1999 წ., 9 ივლისი, „საინტერესო სიახლენი"

"Netcenter News" July 9, 1999

**მოამზადა ნათელა ფოფხაძემ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გურული „ავაზაკები“ და „მცირე რევოლუცია“ ლანჩხუთში

ვილაცას ძალიან არ აწყობს დემოკრატიის განვითარება საქართველოში. ეს ხდება ხან ნებით, ხან კი უნებლიედ. მთავრობის მაღალი ეშელონები ხომ ძირითადად ყოფილი პარტიული ფუნქციონერებით არის გადატვირთული.

ათეულობით წლების განმავლობაში ყალიბდებოდა ახალი ჰიბრიდი „ჰომოსოვეტიკუსი“, რომლისთვისაც უცხო იყო ცნებები — სამშობლო, პირადული საზოგადოებრივზე უკან დაყენება, თავის განწირვა. სამაგიეროდ, კარგად იყვნენ გაჯერებულნი სიცრუით, ორპირობით, ღალატით, ქვეყნის ყვლეფით. მათ ასეთად მაშინდელი სახელმწიფო ზრდიდა. დაინგრა ეს სახელმწიფო, დარჩა მენტალიტეტი. ამ მენტალიტეტმა მოინელა ჩვენი სამშობლო, აღარ დამთავრდა ამათთვის გარდამავალი პერიოდი, ქვეყანა ვალებში ჩაიძირა, საშველი არსაიდან ჩანს. ეს ისე...





დიდი აჟიოტაჟია გამოწვეული გურიაში კანონის „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ შემოქმედთა მიმართ, რომლის მიღებამაც სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო ლანჩხუთის რაიონი. კანონი მიიღო საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა, მოსახლეობის აზრისა და ინტერესების აბსოლუტური იგნორირებით, 1998 წლის 9 დეკემბერს. ყალყზე დადგა ხალხი, გააქტიურდა სუფსის თემი, საკრებულოს თავმჯდომარის ქ-ნ დოდო ესართიას ხელმძღვანელობით, მოსთხოვეს რეაგირება ლანჩხუთის საკრებულოს, გამგეობას, მაჟორიტარ დეპუტატ რომან კვაჭაძეს და გურიის გუბერნატორს კარლო გუჯაბიძეს. ამუშავდა ადგილობრივი პრესა, განსაკუთრებით აქტიურობდა „ლანჩხუთი PLUS“, ძველი ჟურნალისტის ქალბატონ ქეთევან ნაკაშიძის ხელმძღვანელობით. სწორედ მისი ერთ-ერთი ნომერი ჩამივარდა ხელში სოფ. სუფსაში, სადაც დავკრძალე მამა.

აქედან დაიწყო ჩემი დაინტერესება ამ პრობლემით, რომელიც დიდი სიმწვავით ეხება ჩემს სოფელსაც. უკვე მეოთხე თვეა დღე და ღამე გასწორებული მაქვს ჭეშმარიტების ძიებაში. დაგროვდა უამრავი ფოტო, აუდიო, ვიდეო და წერილობითი მასალა, რომლის გამოქვეყნებაც ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს. ახლა კი მოკლედ შევეხები თემას.

მინდა ციტირება გავუკეთო „ლანჩხუთი PLUS„-ის მე-10 ნომრის სტატიის „გურულებიც ეკოსისტემა ვართ“ იმ ნაწილს, რომელმაც შემძრა:

„იმისათვის, რომ ჩვენი გაზეთის მკითხველმა არ იფიქროს ეროვნული პარკისა და კოლხეთის დაცული ტერიტორიების ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი მყარ საფუძველს არის მოკლებული (მითუმეტეს, რომ დედაქალაქში გამომავალ გაზეთებს ლანჩხუთში და სუფსაში ჩატარებული შეხვედრები საკმაოდ ცალმხრივად აუსახავთ) გთავაზობთ მცირე სტატისტიკას, რა ფართობები ხდება „დაცული“ და ხელმიუწვდომელი ლანჩხუთელი გლეხებისათვის:

**ნიგვზიანის:** 25 ჰა სახნავი, 5 ჰა სათიბი, სამი მეიჯარე მოხვდება ამ ფარგლებში და ერთი მეცხოველეობის ფერმა;

**ლესის:** 110 ჰა სავარგული, 15 მიწის მეიჯარე და მიწის მესაკუთრე, ფერმერები და მწყემსების ბინები;

**ჩიბათის:** 300 ჰა სავარგული, 160 ჰა სახნავი, 140 ჰა სათიბ-სა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ახალ-ახალი ამბები
## რეპლიკა-კომენტარებით

### პიტერ შოუ შოუს გვიწყობდა

ევროკავშირის საპარტნიორო ფონდის მიერ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილი თანხები თურმე გრანტი ანუ საჩუქარი ყოფილა, რომელიც კომერციული მიზნებით მთავრობას არ უნდა გამოეყენებინა და ფერმერებისათვის და კომერციული ბანკებისათვის მოგების მიღების მიზნით უნდა გადაეცა. ამ თანხების ასეთი დანიშნულება ახლა გამომჟღავნდა, მანამდე კი ამ თანხების განკარგვას ევროკავშირის საკონსულტაციო ფირმის წარმომადგენელი პიტერ შოუ ჩაუდგა სათავეში და მისი მოღვაწეობის შედეგად რამდენიმე ქართული ბანკი გაკოტრდა კიდეც. პიტერ შოუს აფიორა გამომჟღავნებულია და მის ფულის კეთების შოუს ქართველების ხარჯზე იმედია მალე მოეღება ბოლო.

### ციფრ 9-სა და 12-ს დებილების სკოლაშიც არჩევენ



ცნობილმა გენერალმა და ამჟამად კრასნოიარსკის გუბერნატორმა ალექსანდრე ლებედმა განაცხადა ბათუმში ვიზიტისას, რომ მან შევარდნაძე ნახა თბილისის აეროპორტში 9 აპრილის ღამეს, რის შემდეგაც ატყდა ხოცვა-ჟლეტვა თბილისშიო. ბატონი შევარდნაძე აცხადებს, რომ იგი 12 აპრილს ჩამოფრინდა თბილისში. ვის დავუჯეროთ? უნდა ვიფიქროთ, რომ თვითმფრინავი, რომლითაც შევარდნაძე უნდა ჩამოფრენილიყო თბილისში 9 აპრილს, ჩიტი არ არის, რომ ყველასათვის შეუმჩნეველი დარჩენილიყო, ამავე დროს, ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ არც ლებედია ისეთი გაუნათლებელი, რომ 9 აპრილი 12-ში აერიოს, ასე, რომ ეს ამბავი საუკუნის გაუხსნელ საიდუმლოს ემსგავსება, რომლის გახსნაც დიდი ბომბის გასკდომას უდრის ზოგიერთისათვის.

# ქართველი ებრაელები ბიბლიის გატანის წინააღმდეგ

**საქართველოს კულტურის მინისტრს, აშშ-ში საქართველოსადმი მიძღვნილი გამოფენისა და სამეცნიერო-კულტურულ ღონისძიებათა მომწყობი საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარეს ბ-ნ ვალერი ასათიანს**

**ასლი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს ალბერტ თავხელიძეს**

I. როგორც ცნობილია, 1998 წელს ქ. ვაშინგტონში გამიზნული იყო საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 26 საუკუნოვანი თარიღისადმი მიძღვნილი გამოფენის მოწყობა, რაც 1999 წლის შემოდგომისათვის იქნა გადატანილი. ამერიკული მხარის მიერ შემოთავაზებული იყო გამოფენის კონცეფცია, რომელიც საიუბილეო კომისიის მიერ იქნა უარყოფილი, როგორც საქართველოს მხარისათვის მიუღებელი. ამ მოვლენისადმი მიძღვნილ, საქართველოს ეროვნულ გალერეაში 7-12 სექტემბერს გამართულ გამოფენას საფუძვლად დაედო ჩვენს მიერ შეთავაზებული საგამოფენო კონცეფცია, გეგმა და ექსპონატთა სია (იხ. საგამოფენო ბუკლეტი). შეგახსენებთ, გამოფენამ წარმატებით ჩაიარა და საერთო მოწონება დაიმსახურა.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 20 თებერვლის №82 ბრძანებულებით, აშშ-ში გამოფენისა და თანმხლები ღონისძიებების ორგანიზება უნდა მომხდარიყო საორგანიზაციო კომისიის, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის, ებრაული კულტურის სპეციალისტებისა და აშშ-ს კურატორთა თანამშრომლობით. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. მართალია, ჩვენს მიერ საგამოფენო კატალოგისათვის დაიწერა ანოტაციები და სამეცნიერო წერილები: 1. საქართველოს ებრაელთა ისტორია (ავტ. შ. წიწუაშვილი). 2. საქართველო-პალესტინისა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიისათვის (ავტ. გ. ლამბაშიძე), რაც იმედია აისახება კატალოგში, მაგრამ ჩვენთვის სრულიად უცნობია, რა კონცეპტუალურ საფუძველზე ეწყობა აშშ-ში გამოფენა, რაც, ვფიქრობთ, ჩვენთვისაც ცნობილი უნდა იყოს.

II. კატეგორიულად მიგვაჩნია — აშშ საგამოფენოდ არ უნდა იყოს გატანილი ლაილაშის ბიბლიის (X-XI სს) შვიდი ფურცლის ორიგინალი და ბრეთის ბიბლია (XVI ს), ვითარცა საქართველოს ებრაელობისათვის (და ქართველობისათვისაც!) რელიკვიური მნიშვნელობის წმიდა წიგნები (გაახლებთ XIX ს-ში. ბრეთის ბიბლიასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ვნებათაღელვის შესახებ პუბლიკაციას — იხ. ე. მამისთვალისშვილი, ქართველ ებრაელთა ისტორია; თბ; 1995 გვ. 100-104). უპრიანია, დავეფუძნოთ შსწქ-ის მე-3 გენერალური ასამბლეის 17-22. 07. 1950 №2 გადაწყვეტილებას და ესოდენ დიდი ეროვნული მნიშვნელობის წმიდა წიგნების ნაცვლად საგამოფენოდ გავიტანოთ წიგნთა მულაჟები ან ფერადი რეპროდუქციები.

პატივისცემით,

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის პრეზიდენტი გივი ლამბაშიძე**
**ვიცე-პრეზიდენტი, დ. ბაазოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი შალვა წიწუაშვილი**

**საქართველოს კულტურის მინისტრს აშშ-ში საქართველოსადმი მიძღვნილი გამოფენის მომწყობი კომისიის თავმჯდომარეს ბატონ ვალერი ასათიანს**

ღრმადპატივცემულო ბატონო მინისტრო!

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ამერიკაში საქართველოს ებრაელებისადმი მიძღვნილ გამოფენაზე აპირებენ გამოსაფენად მე-10 საუკუნის ხელნაწერი უნიკალური ლაილაშის ბიბლიიდან შვიდი ფურცლის და მე-16 საუკუნის ბრეთის ბიბლიის წალებას.

საქართველოს ებრაელობის სახელით მოგმართავთ თხოვნით, ნუ დაუშვებთ ასეთ მკრეხელობას, ამით ნუ შეურაცხყოფთ როგორც ებრაელებისათვის, ასევე ქრისტიანებისათვის წმიდა წიგნებს და ნუ დართავთ ნებას მათი საზღვარგარეთ გასატანად.

**პატივისცემით, არიელ ლევინი, საქართველოს ებრაელთა მთავარი რაბინი**

## მეორე გვერდიდან

### მამუკა გიორგაძე:

# ხელისუფლების შესანარჩუნებლად შევარდნაძემ თვითმფრინავის გატაცების შემდეგ უდანაშაულო ადამიანები დახვრიტა. ვითომ რატომ არ გააკეთებს იგივეს დღეს?..

დადებითი მომენტია. საარჩევნო სიებთან დაკავშირებითაც აღორძინების კავშირს არანაირი პროტესტი არ გამოუთქვამს, პირიქით, ბევრისათვის მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა და თვითონვე გახსნა ეს დისკუსია.

ჩვენც ცხადია, დიდი სურვილი გაგვიჩნდა, ამ ერთიანობაში რაღაც ჩვენეული შეგვეტანა. განსაკუთრებული წინააღმდეგობა არანაირ საკითხში არ გვქონია...

**— მხოლოდ „სახალხოს“ და „აღორძინებას“, თუ არცერთ პარტიას?**

— არცერთს. უბრალოდ, გარკვეული პროგრამული თეზისები ბოლომდე ვერ გაშალაშინდა. მაგალითად, როგორიც არის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი, პოლიტიკური მოწყობის საკითხები. მე მგონია, რომ უბრალოდ დროის დეფიციტის ბრალია, რომ ვერ შეჯერდა ეს საკითხები, მაგრამ იმდენად მნიშვნელოვანი, ფაქიზი სამუშაოები ჩავატარეთ, სჯობდა, გარკვეული საკითხები ასე ღიად დარჩენილიყო.

**— საბოლოოდ რა გადაწყდა?**

— ჩვენ გავდივართ ცალკე. დანარჩენი ოთხი ჩვენი პარტნიორი იქნება ერთ ბლოკად გაერთიანებული. ცხადია, ამ არჩევნებში გარკვეული კონკურენციაც იქნება ჩვენს შორის, მაგრამ ამასაც დავანახებთ საზოგადოებას, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არსებობდეს განსხვავებული აზრი და შეიძლება ვიყოთ სხვადასხვა სიაში, შეიძლება ვიყოთ, ერთმანეთის კონკურენტებიც, მაგრამ ჯანსაღი, სერიოზული, სოლიდური ბრძოლა შესაძლებელია ასეთ პირობებშიც. ეს ყოველივე მეტყველებს იმაზე, რომ კრახი განიცადა მოქალაქეთა კავშირმა და მისმა სურვილმა, ჩვენს შორის ჩამოეგდო განხეთქილების ვაშლი და ღვარძლი, ინტრიგა, უნდობლობა დაეთესა ჩვენს შორის.

**— საქართველოს ისტორიის ბოლო პერიოდში არსებობს მაგალითი იმისა, რომ ოპოზიცია გამსახურდიას ხელისუფლებისადმი სიძულვილმა გააერთიანა, თქვენი ოპონენტები ძირითად არგუმენტად მსგავს მაგალითს ასახელებენ, როცა ამბობენ, რომ ბათუმური ალიანსი არამყარია...**

— საქმე იმაშია, რომ ვერ გააერთიანა გამსახურდიას სიძულვილმა ოპოზიციური პარტიები. მაშინაც „სახალხოს“ განსაკუთრებული პოზიცია ეჭირა და მიუხედავად იმისა, რომ იქ სამხედრო ძალებიც იყო და სხვადასხვა ჯგუფებიც, ვერავინ ვერ იტყვის, რომ მამუკა გიორგაძე მაშინ ვიღაცასთან ერთად ერთიანი ფრონტით მუშაობდა. პირიქით, ეს იყო სერიოზული წინააღმდეგობა, მაგრამ არავისთან არ გაერთიანებულა მამუკა გიორგაძე და არც მოსკოვში დაუწყია სირბილი. ძალიან ბევრთან გაცილებით დაძაბული ურთიერთობა გვქონდა, ვიდრე იმ ხელისუფლებასთან, რომელსაც ისინი ებრძოდნენ.

ზიზღით, ბოღმით, მტრობით ვერავინ ვერ გაერთიანდება. სიძულვილი არ აერთიანებს ადამიანებს, ეს გამორიცხულია და თუ ვინმე დღეს მალავს თავის გრძნობებს ამ ალიანსში, ხვალ აუცილებლად იჩენს თავს, თუმცა მე რა შეხვედრებშიც მივიღე მონაწილეობა, ასეთი არაფერი დამინახავს. თუ გრძნობა — სურვილი გაერთიანებს, რომ საქმე გაკეთდეს, მაშინ იქ არ შეიძლება საუბარი შიგა დინებებზე.

ჩვენ წინა პლანზე დავაყენეთ საქმე. ერთ რამეში ნამდვილად შევთანხმდით, რომ ეს ხელისუფლება არ ვარგა, მაგრამ, როგორი უნდა იყოს უკეთესი, რა უნდა გააკეთოს, ამაზე ვამახვილებთ ყურადღებას. მოდით, დღესვე ვიცოდეთ, რა უნდა გაკეთდეს ხვალ, რომ დღესვე საფუძვლიანად ქვიტკირი ჩაედოს ამ ერთობას.

სწორედ ის, რომ ჩვენ ნაუცბათევად არ გადავწყვიტეთ ბევრი საჭოჭმანო საკითხი, კიდევ ერთხელ მეტყველებს, თუ როგორი პატივისცემით ვეკიდებით პარტნიორები ერთმანეთს. არის რაღაც პრობლემა, სჯობია ეს საკითხი გაურკვევლად დარჩეს, სჯობია ამ საკითხზე წავიმუშაოთ, ვიდრე დღეს მოვაწეროთ ხელი და შემდეგ პრობლემა შეექმნას ამ ერთობას. გურიაში იციან თქმა, მაგარი ბიჭია, ხეს მოთხრის, მაგრამ სად წაიღოს არ იცისო. ჩვენ გვინდა, რომ ვიცოდეთ, ხესაც მოვთხრით, ამ ხელისუფლებასაც გავისტუმრებთ ისტორიის სანაგვეზე და ამავე დროს უნდა ვიცოდეთ კიდევაც მერე რა უნდა ვაკეთოთ.

**— თქვენ ბრძანეთ, პარტნიორულ ურთიერთობაში სრული ურთიერთგაგება გვქონდაო. ვიდრე ალიანსი შედგებოდა ერთ-ერთ თავის სატელევიზიო გამოსვლაში აკაკი ასათიანმა „აღორძინება“ არჩევანის წინაშე დააყენა საარჩევნო სიებთან დაკავშირებით. „ტრადიციონალისტების“ ლიდერი ჯუმბერ პატიაშვილისა და კონსტანტინე გამსახურდიას კანდიდატურებს ებრძოდა; ალიანსი შედგა, ეს საკითხი როგორ გადაწყდა?**

— მე აკაკი ასათიანის სიტყვის კომენტარს ვერ გავაკეთებ. სიმართლე გითხრათ, არ მახსოვს ეს გამოსვლა. ჩვენ ჩვენი წინადადებები დავაყენეთ ამ საკითხთან

გაგრძელება მე-4 გვერდზე

საქართველო

მესამე გვერდიდან

## მამუკა გიორგაძე:

# ხელისუფლების შესანარჩუნებლად შევარდნაძემ თვითმფრინავის გატაცების შემდეგ უდანაშაულო ადამიანები დახვრიტა. ვითომ რატომ არ გააკეთებს იგივეს დღეს?..



დაკავშირებით. სხვათაშორის, ჯუმბერ პატიაშვილის მისამართითაც მისი თანდასწრებით, სახალხო პარტია არ მიეკუთვნება ისეთ პარტიებს, რომლების ზურგს უკან საუბრობენ. ჩვენ დავაყენეთ საკითხები, მოდი ამაზე ვისაუბროთ-თქო.

**— კონკრეტულად რა წინადადებები წამოაყენეთ?**

— შესაბამისად, თანხმობა იქნა ჩვენს წინადადებაზე, რომ იმ თემებზე გვესაუბრა მოგვიანებით. ჩვენ პრინციპში სხვადასხვა სია არ შეგვიშლის ხელს, რომ ამ საკითხებზე ვისაუბროთ, არჩევნებამდე პერიოდი გვაძლევს ამის საშუალებას. როცა ერთიან ბლოკზე იყო საუბარი, ბუნებრივია, გვქონდა სურვილი გვცოდნოდა, ვინ იქნებოდა ჩვენთან ერთად სიაში. მარტო ის, რომ ვიყო პარლამენტში, ჩემს ამოცანას არ შეადგენს. მე უკვე ვიყავი პარლამენტში და ახლაც ნამდვილად მაინტერებს, ჩემს გარდა ვინ იქნება...

გაცნობის, საუბრების დრო აღარ იყო და ამის გამო იქნა გადაწყვეტილება მიღებული, ჩვენი დამოუკიდებლად გასვლის შესახებ.

**— რამდენიმე დღის წინ მოქალაქეთა კავშირმა და ედპ-მ იზეიმეს გამარჯვება 7%-იან ბარიერთან დაკავშირებით. თქვენი აზრით, როგორია პროგნოზი ყოველივე ამასთან დაკავშირებით?**

— ნამდვილად ბედნიერი ვიქნებოდი მეც და სრულიად საქართველოც, რომ ეს ზეიმი ყოფილიყო ისეთ საკითხებზე, როგორიც არის აფხაზეთის დაბრუნება, ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელება, მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი გარანტიების შექმნა, აი, მაშინ გასაგები იქნებოდა ასეთი ხვევნა-კოცნა და გრძნობების გამოვლენა, მაგრამ ამ პარლამენტში ამ პარტიებს, როგორც ჩანს, სასიხარულოდ მხოლოდ საარჩევნო კანონის მიღება აქვთ. ეს უკვე ნათლად მეტყველებს მათ დამოკიდებულებაზე სახელმწიფოს მიმართ. სწორედ ასეთი გრძნობით იყო ტაში სელეზნიოვის გამოსვლაზე თავის დროზე. ასეთი ტაშით ულოცავდნენ ვილაცეებს წარმატებებს. მერე რა, რომ იმ ვილაცას ერთი წლის შემდეგ მტრად გამოაცხადებდნენ. იგორ გიორგაძეს ასე უკრავდნენ ტაშს „მოქალაქეები“, როცა ჩინ-მედლებს აძლევდნენ გია ჭანტურიას სიკვდილის შემდეგ. ეს ხალხი მხოლოდ საკუთარი ინტერესების დროს გამოხატავს ამგვარ ემოციებს. რა გითხრათ, მე ვერ დავინახე, აფხაზეთში ქართველის მოჭრილი თავით ფეხბურთის თამაშის მერე მოქალაქეთა კავშირს რაიმე ემოცია გამოეხატა. ვერ დავინახეთ გულისტკივილი მათ მიერ, როცა უსახსრობის გამო ახალგაზრდა კაცი თავს იხრჩობს.

7%-იანი ბარიერი საჭირო იყო მოქალაქეებისათვის, მათ პრობლემები შეექმნათ არა მარტო ოპოზიციასთან, არამედ შევარდნაძის მომხრეებშიც. შევარდნაძე აღარ არის თავისი ხალხის კეთილდღეობის გარანტი და ეს ხალხი ეძებს საკუთარი თავის ცალკე დამკვიდრებას. ნიშანდობლივია, რომ ბევრი შევარდნაძის ყოფილი თუ ამჟამინდელი მომხრე, დამოუკიდებლად ცდილობს პარლამენტში გასვლას, რაც მოქალაქეთა კავშირს, ბუნებრივია, უყოფს ხმებს და ფინანსურ მხარდაჭერას. ამიტომ მათ შეგნებულად გაზარდეს ბარიერი, რათა ეს ფული ცალკე კი არ ჩაიდოს, არამედ მათ პარტიულ სალაროში მივიდეს.

ცალკეულმა მეწარმეებმა და გარკვეულმა პიროვნებებმა ვერ უნდა „იჩალიჩონ“ ამ ფულის ცალკე დახარჯვაზე, არამედ მიუცუნცულონ მოქალაქეთა კავშირს. ვილაც-ვილაცეებმა თავიანთი ხმები ცალკე კი არ წაიღონ, არამედ ისევ მოქალაქეთა კავშირს გამოადგეს. მოკლედ, უნდა შედგეს ერთიანი კონგლომერატი და შევარდნაძეს სურს იმ კონგლომერატის შიგნით აგვაროს საქმეები.

რაც შეეხება სარიშვილის აქტიურობას, დამოუკიდებლად ის 5%-საც ვერ გადალახავს. ამის ნათელი მაგალითია ადგილობრივი არჩევნები, სადაც ხელისუფლების მხარდაჭერამ და ფინანსურმა უზრუნველყოფამ ძლივს უშველა. საჭირო გახდა „ვაბანკზე“ წასვლა და სარიშვილმა ეს გააკეთა. მას მეტი არაფერი დარჩენია, თუ არა ხელისუფლებისგან მიიღოს გარკვეული დახმარებები, გარკვეული ნაწილი ნათლად ჩანს ამ ხვევნა-კოცნითაც. თუ მთლად მოქალაქეთა კავშირთან ვერ მიდის, მაგრამ შევარდნაძის სამსახური უნდა, ოპოზიციის მანტიით შეუძლია ემსახუროს.

თბილისის საკრებულო ნათელი მაგალითია ამისა. ხმები, რომლებიც მოქალაქეთა კავშირთან არ წავიდა, „ლეიბორისტებმა“ და ედპ-მ ირიბი გზით ისევ მოქალაქეთა კავშირს დაუბრუნა.

**— ჭყონიას განცხადებაზე რას იტყვით, ყველა იმ ძალას დავაფინანსებ, ვინც „სახალხოს“ პარლამენტში მოხვედრას ხელს შეუშლისო?**

— ეს არის სწორედ ის საკითხები, როცა ხელისუფლება ყველანაირი ხერხებით ცდილობს გაიხანგრძლივოს თავისი მდგომარეობა. სახალხო პარტია კი ამ ხალხს არ აწყობს. რით განსხვავდება ეს განცხადება მოქალაქეთა კავშირის წარმომადგენლის იმ განცხადებისაგან, რომ სახალხო პარტიის წარმომადგენლები სახელმწიფო სტრუქტურებში არ უნდა მუშაობდნენო.

რომ ველარაფერი გააწყვეს, ახლა შავ ძალებად გვიხსენიებენ და ქალურ წყევლა-კრულვაზე არიან გადასულნი. ადრე ადამიანობის, კაცობის გრძნობა გააჩნდათ, ახლა ესეც აღარა აქვთ.

**— ბატონო მამუკა, საპარლამენტო სხდომაზე რამდენიმე დღის წინ რჩეულიშვილმა ხელისუფლებას და მოქალაქეთა კავშირს ბრალი დასდო, რომ აჭარასთან ომს აპირებს. მისი დაწყებული კამათი თქვენ გააგრძელეთ...**

— ვახტანგს ძალიან ხისტად გამოუვიდა ეს ნათქვამი, მაგრამ ომი ნამდვილად მიმდინარეობს, სხვა რა ვუწოდო იმას, რომ პარლამენტის აპარატიდან ყველა ის ადამიანი, ვინც სახალხო პარტიასთან კავშირში იყო შემჩნეული, გაათავისუფლეს, შემცირებებში მოაყოლეს. ომია, სხვა რა ვუწოდო, როცა „მოქალაქეების“ მხარდამჭერი ბიზნესმენი ასე თავხედურად, ღიად აცხადებს, რომ მაქსიმალურად დააფინანსებს სახალხო პარტიის მომავალ პარლამენტში არგასვლას. და ბევრი სხვა რეალური მაგალითი არსებობს. როცა მათი ეს მეთოდები აღარ გაჭრის, ძალიან ადვილი შესაძლებელია დესტაბილიზაციაც დაიწყონ. მე არ გამოვრიცხავ იმ გარემოებას, რომ აჭარაში იქნება თუ სხვა რეგიონში, ისინი დესტაბილიზაციის კერებს შექმნიან, სერიოზული ექსცესები კი საშუალებას მისცემთ სასამართლო წესით გააუქმონ არჩევნების მათთვის არასასურველი შედეგები... ამ ხალხისგან ყველაფერია მოსალოდნელი. რატომ გვიკვირს, როცა ძალიან ბევრი ვიცით შევარდნაძის რეჟიმის მხრიდან არასასურველი პირის მოშორების ფაქტების შესახებ. როცა თვითმფრინავის გატაცების ფაქტის შემდეგ უდანაშაულო ადამიანები დახვრიტეს, რატომ გგონიათ, ეს არ მოხდება დღეს. შევარდნაძემ რისთვის გააკეთა მაშინ ეს? ხელისუფლების შენარჩუნებისთვის და რატომ არ გაიმეორებს იგივეს დღეს?

ვახტანგ რჩეულიშვილს, უბრალოდ, ფორმა უნდა მოეძებნა, თორემ ტყუილი კი არაფერი უთქვამს.

**— ზურაბ ჟვანიამ ამ განცხადებას დავალება უწოდა...**

— აბა, რა უნდა უწოდოს?

გაგრძელება მე-6 გვერდზე

მესამე გვერდიდან

# გურული „ავაზაკები“ და „მცირე რევოლუცია“ ლანჩხუთში

ძოვარი, 55 მოიჯარე, 3 მეცხოველეობის კომპლექსი, 6 მესაქონლეობის ფერმა;

**ლანჩხუთის:** 40 ჰა სახნავი, რომელთაგან 480 ოჯახის კუთვნილი, ანუ კერძო საკუთრებაში არსებული 290 ჰექტარი ფართობია, 23 მეიჯარის კუთვნილი 117 ჰა მიწა;

**სუფსის:** 38 კომლის კუთვნილი 15 ჰა სახნავი, 55 ჰა სათიბი და საძოვარი, 1 მეცხოველეობის კომპლექსი, 46,9 ჰა ტბორი;

**ჩოჩხათის:** სოფ. გულიანის მეცხოველეობის ფერმა, 20 ჰა საძოვარი, შ.პ.ს. „ნექტარის“ 49 ჰა ასათვისებელი სახნავი და 6 ჰა საძოვარი;



ლანჩხუთის საკრებულოს „ავაზაკები“

**აცანის:** 230 ოჯახისათვის კერძო საკუთრებაში გადაცემული 125 ჰექტარი სახნავი, 10 ჰა იჯარით გაცემული სახნავი, 51 ჰა ასათვისებელი იჯარა;

**მამათის:** 40 ოჯახის საკუთრებაში მყოფი 15 ჰა სახნავი, 41,8 ჰა იჯარით გაცემული სახნავი და 20 ჰა საძოვარი, 2 მეცხოველეობის კომპლექსი;

**გვიმბალაურის:** ერთი მეცხოველეობის ფერმა და 40 ჰა სახნავი;

**ჯურუყვეთის:** ორი მეცხოველეობის კომპლექსი, ოთხი მეცხოველეობის ფერმა. საიჯარო ფართობები, 54 ჰა სახნავი, 50 ჰა საძოვარი, 6 ჰა ტბორი.

სულ ლანჩხუთის 1151 ჰა სახნავი, 256 ჰა საძოვარი, 90 ჰა სათიბი. 52 ჰა ტბორი; 5000 ჰა ტყე.

კოლხეთის ეროვნული პარკი შეიცავს ტერიტორიულ-ფუნქციონალურ ზონებს:

ა) ბუნების მკაცრი დაცვის ზონა;

ბ) ბუნების მართვის დაცვის ზონა;

გ) აღდგენის ზონა;

დ) ვიზიტიორთა ზონა;

ე) ისტორიულ-კულტურული ზონა;

ვ) ადმინისტრაციული ზონა.

თითქმის ყველა მათგანში აკრძალულია: ხვნა, თესვა, თიბვა, ძოვა, ფერმის აშენება, თევზაობა, ნადირობა, მოტორიანი ტექნიკით გადაადგილება და ა. შ. (ქ. ნაკაშიძე)“.

ეს თუ მართლა ასეა, დაქცეულა ჩემი რაიონი და ეგ არის-მეთქი ვიფიქრე და აღშფოთებული ვეწვიე პარლამენტის კომიტეტს. გავაცანი სტატია და კომენტარი ვთხოვე. პირველად შეცბნენ, მაგრამ მალევე მოეგნენ გონს და გამომიფრიალეს კანონის 46-ე მუხლი, რისი მიხედვითაც თურმე მოსახლეობას უნარჩუნდება მიწათსარგებლობის ყველანაირი უფლება (კერძო საკუთრება, იჯარა, ყიდვა-გაყიდვა და სხვ.).

მენიშნა, რომ აქ დარღვეული იყო ერთ-ერთი უმთავრესი უფლება ადამიანისა, სარგებლობის და მოხმარების თავისუფლება. წარმოიდგინეთ, თქვენს მამა-პაპურ საკარმიდამო მამულში ვინმემ ავტომანქანით მისვლა რომ აგიკრძალოთ, ან 1 ჰა მიწა დაგაბაროთ და არ მოგცეთ ტრაქტორით დახვნის საშუალება, რა ჭკუაზე დადგებით.

ეს როდესაც დავუფიქსირე, საერთოდ უარყვეს მოსახლეობის არსებობა მკაცრი დაცვის ზონაში. თითქოს სხვა ზონაში ყოფნა რაიმე შეღავათს იძლეოდეს, აკრძალვების თვალსაზრისით. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გალავწყვიტე უფრო გამეღრმავებინა ცოდნა და შევხვდი თითქმის ყველა პირს, რომელსაც ამ პრობლემასთან შეხების წერტილი ჰქონდა. კომიტეტი დავტოვე იმ იმედით, რომ შეკრებდნენ კანონზე მომუშავეთა ჯგუფს, გააგზავნიდნენ გურიაში, გადასინჯავდნენ რუკებს (რომელიც თურმე არც არსებობს) და ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად გაარკვევდნენ სადავო საკითხებს. თქვენც არ მომიკვდეთ...

ჩავდივარ სუფსაში, ლანჩხუთში და ოზურგეთში. ვხვდები სუფსის საკრებულოს თავმჯდომარეს, ქ-ნ დოდო ესართიას, ლანჩხუთის საკრებულოს ყველა წევრს, გამგებელ მიხეილ გვარჯალაძეს და გურიის გუბერნატორს კარლო გუჯაბიძეს.

მინდა მოგახაროთ რომ, თუ სადმე იმუშავა მრავალპარტიულობის სისტემამ დადებითი თვალსაზრისით საქართველოში, ეს არის ლანჩხუთის რ-ნი. გაოცებული დავრჩი, როცა გავიგე, რომ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის შემდეგ თურმე ერთადერთი რაიონი ყოფილა მთელს რესპუბლიკაში, სადაც ფუნქციონირებდა 31 კაციანი საკრებულო. 1998 წ-ს კი აირჩა ახალი. ეს არის ხალხთან ურთიერთობის 7 წლიანი სტაჟის მქონე, საკმაოდ კარგად შეკრული ორგანიზმი, რომელიც კანონმა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მხოლოდ იურიდიულად შეამაგრა. ეს ცნობისათვის...

მინდოდა გამერკვია მართლა მუშაობდა თუ არა კანონშემოქმედთა ჯგუფი „ინტენსიურად და ნაყოფიერად“, როგორც თბილისში მომახსენეს პარლამენტარებმა, გურიისთვის ავადსახსენებელი კომიტეტიდან. აღებულია 20-მდე ინტერვიუ, თავისი გადაღებებით, რომელიც სპეც. გამოშვების თემაა, თავისი მოცულობის გამო. აქ კი მოკლედ მოგახსენებთ, რომ არავითარი მსგავსი რამ არ მომხდარა. ცრუობს პარლამენტის კომიტეტი.

ამ დროს ლანჩხუთის გაზეთების კიოსკში ვიყიდე ჟურნალი „სარკე“, რომლის მუდმივი მკითხველიც გახლავართ (1999 წლის 7-14 აპრილის ნომერი, გვ. 28-29) და რას ვხედავ, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე, გივი გიგინეიშვილი ჟურნალისტ ბელა ჩეკურიშვილთან ინტერვიუს დროს მოძღვრავს მთელ საქართველოს: **„მივიღეთ კანონი კოლხეთის ეროვნული პარკის შესახებ. სამეგრელოს რეგიონში ეს საკითხი ასე თუ ისე დარეგულირდა. გურიაში დიდი წინააღმდეგობა შეგვხვდა. ლანჩხუთის საკრებულოს სახით ავაზაკთა ბანდაა წარმოდგენილი.“**

მივიხედ-მოვიხედე, ვიფიქრე ალბათ სადმე სოსო ჟღენტის გურია-იმერეთის პოლკის მებრძოლები ხომ არ არიან ჩასაფრებული და ლანჩხუთის საკრებულო მათთან ერთად სხვა რაზმებსაც ხომ არ აგროვებს-მეთქი. ჟურნალი ფრთხილად დავხურე და საკრებულოს მივაშურე. ძალიან დამაინტერესა საკრებულოს წევრთა პარტიულმა შემადგენლობამ. ვიფიქრე საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელ გ. გიგინეიშვილს ალბათ რაღაც ინფორმაცია გააჩნია მათ შესახებ და მე არ ვიცი-მეთქი. ხან პანტელეიმონ გიორგაძის წითელარმიელების დესანტზე ვეჭვობდი, ხან კიდევ შეურიგებელ ზვიადისტებზე.

ძვირფასო მკითხველო, აქ თქვენს ცნობისმოყვარეობასაც დავაკმაყოფილებ, თან დავეხმარები ბ-ნ გივი გიგინეიშვილს „ავაზაკთა“ ვინაობის დადგენაში და

გაგრძელება მე-6 გვერდზე

*გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო" № 7*

## თავი მეთხუთმეტე

თითქოს სასიკეთოდ შემობრუნდა ჩემთვის პატიმრის ცხოვრების პირობები, მაგრამ მაინც მტანჯავდა, შავ ლაქად მაჩნდა პირად საქმეში ჩაკერებული ცუდი დახასიათება, რომელიც ჯერაც ვერ მომეცილებინა. ოჯახთანაც არავითარი მიმოწერა არ მქონდა. სულ სხვა ჭკუაზე ვიდექი და ასე ვფიქრობდი — თუკი ოდესმე მეღირსება თავისუფლება, ოჯახში აღარასოდეს არ დავბრუნდები-მეთქი, მაგრამ ერთ დღეს სამუშაოდან დაბრუნებულს წერილი დამხვდა ბარაკში, რომლის ავტორიც ჩემი თანასოფლელი მიშა სიმონიშვილი იყო. მიშა ჩემთან ერთად მსახურობდა სამხედროში, მოსკოვში, ძალზე ყურადღებიანი ახალგაზრდა იყო. მას ვუქებნიავარ, როგორლაც გაუგია ჩემი მისამართი და სასწრაფოდ წერილი გამოუგზავნია ჩემს სახელზე. წერილში ბევრ რამეს მწერდა, მიყვებოდა საინტერესო ამბებს, როგორც სამხედრო სამსახურზე, ასევე სოფლის შესახებაც. ახლახან ორკვირიანი შვებულებით ყოფილა სახლში და ბევრ რამეს იტყობინებოდა, რამაც ძირფესვიანად შემძრა და შემაცვლევინა გადაწყვეტილება. ასე რომ, ნავსი გავტეხე, დავწერე წერილები, აქეთ ოჯახში გამოსაგზავნი და იქით — სამხედრო ნაწილში მიშა სიმონიშვილთან.

მალე პასუხიც მივიღე ოჯახიდან, დიდ სიხარულს გამოთქვამდნენ ჩემი პოვნის გამო და ათასი რამით მანუგეშებდნენ, გული არ გამეტეხა და მტკიცედ დავხვედროდი ყოველგვარ გაჭირვებას, რომ ეს ცხოვრება მხოლოდ სიკეთისთვის არ არისო შექმნილი, ამანათსაც გიგზავნითო, მატყობინებდნენ. მართლაც, დიდი დრო არ გასულა, რომ ამანათზე გამომიძახეს. ო, რა ტკბილი და სასიხარულო იყო ყველაფერი ოჯახიდან მიღებული, მაგრამ ყველაზე კარგი და უძვირფასესი ჩემთვის იყო ქართული წიგნები: კ. გამსახურდიას „თვალთაი", ს. ქვარიანის „დიდი მოურავი" და რ. გვეტაძის მიერ თარგმნილი ინდური ეპოსი „რამაიანა". გამეხარდა, მაგრამ ცენზურამ დააკავა და არ მომცა ეს წიგნები, იმ მოტივით, რომ სანამ სათანადოდ არ შევისწავლით მის შინაარსს, მანამდის ვერ მოგცემთო. ბევრი ვეღრიჯე და ვუმტკიცე, რომ წიგნებს ბოლოში ჰქონდათ რუსულ ენაზე ჩაბეჭდილი სათაური ტიტული და ანოტაცია, მაგრამ ამაოდ.

გამოხდა ხანი, ჩემთვის ეს ამბავი თითქოს დავიწყებას მიეცა, მაგრამ ერთ დღეს გამომიძახადეს: კვჩ-ს (კულტურნო ვასპიტატელნი ჩასტ) უფროსი, კაპიტანი გიბარესი (იმ დროს, კარგი მუშაობის წყალობით ჩინებული ავტორიტეტი მქონდა ლაგერში).

სიმართლე გითხრათ, აღარ მინდოდა ამ მათხოვართან მისვლა, ვიცოდი კვლავ მომშლიდა ნერვებზე, მაგრამ მეტი რა გზა მქონდა. წავედი, კაბინეტის კარი შევაღე, კაპიტანი საწერ მაგიდასთან იჯდა. ჩვეულებისამებრ მივესალმე და წარვუდექი; თანახმად თქვენი ბრძანებისა, პატიმარი ჭოლიკაური გამოცხადდი-მეთქი.

— შემოდით, შემოდით, დაჯექით აგერ ამ სკამზე, — მისთვის უჩვეულო დათაფლული ხმით დაიწყო ბებერმა მელამ, სახტად დავრჩი. საერთოდ რომ არ მცნობოდა აქამდის, ნამდვილად ადამიანურ კვალს დატოვებდა იგი ჩემს მოგონებებში დღევანდელი საქციელით, თუმცა ძალიან კარგად ვიცოდი, რომ ის ცხვრის ტყავში გახვეული მგელი იყო, და სადაც როგორ დასჭირდებოდა, ისე იჩენდა თავს მისი ორგული ბუნება, მაგრამ საინტერესო ის გახლდათ, თუ რა მიზეზით მელაქუცებოდა ახლა, რა იყო მიზეზი?

— დავჯექი, კვლავ მიბრძანა და მეც ჩამოვჯექი. თითქოს ამას ელოდაო, ბებერმა მელამ წერას თავი ანება და გამოკითხვა დამიწყო. მკითხა, ოჯახიდან წერილებს თუ ვღებულობდი, ან აქ რაიმე განსაკუთრებულ გაჭირვებას ხომ არ განვიცდიდი, ან კიდევ რამდენი დამრჩა განთავისუფლებამდე და სხვა. კითხვებზე ვპასუხობდი, თანაც ვფრთხილობდი, ისეთ რამეში არ გამოვეჭირე, რაც ჩემთვის არასასიამოვნო იქნებოდა. — ნაწყენი ხომ არა ხართ, რომ წიგნები ვერ მოგეცით მაშინ? — შემეკითხა კაპიტანი და იქვე გააგრძელა — რა ვუყოთ, სამსახურია, გვევალებე და ჩვენც იძულებული ვართ ასე მოვიქცეთ. შევისწავლეთ, გამოვარკვიეთ და აგერ, ახლა გიბრუნებთ თქვენს წიგნებს, — ამ სიტყვებზე მან სეიფი გახსნა, ქაღალდში შეხვეული წიგნები გამოიღო, მომაწოდა და მითხრა: — წაიღეთ, წაიკითხეთ, წიგნებიდან ბევრ კარგს შეიძენთ, ახალგაზრდა კაცი ხართ და წინ ცხოვრების დიდი გზა გაქვთო.

ფეხზე წამოვხტი, გახარებულმა წიგნები ჩამოვართვი, დიდი მადლობა ვუთხარი და კარისაკენ შემოვბრუნდი გამოსასვლელად.

— მოითმინეთ, ასე რატომ ჩქარობთ წასვლას? — მითხრა მან, კარის სახელურს ცივად ვუშვი ხელი და მორიდებით მივაცქერდი კაპიტანს, ვერაფერით ამომეცნო, რაღა უნდოდა ჩემგან.

— თქვენი საქმის ფორმულას ვიცნობ, — დაიწყო მან, — რალაც მიზეზების გამო ცუდად გახასიათებთ ძუკოვსკის ლაგერის უფროსობა, ამიტომ განცხადება დაწერეთ და ამ ხათაბალა ბრალდებას მოგიხსნით, ჩვენს ლაგერში საიმისო არაფერი დაგიმსახურებიათ, პირიქით, თქვენი საქციელი მისაბაძია ყველა ახალგაზრდა კაცისათვის. ჟუკოვსკის ლაგერის ადმინისტრაციის დახასიათება კი ჩრდილავს თქვენს სახელს. ეს არ შეეფერება ისეთ მშრომელ ახალგაზრდას, როგორიც დღეს თქვენა ხართ, აგერ, მე ხელთა მაქვს წარმოებიდან მიღებული ცნობები თქვენი წარმატების შესახებ და ნამდვილად საამაყოდ გაქვთ საქმე.

ახლა კი მივხვდი, თუ რისთვის ითაფლებოდა ეს ბებერი მელა, ეს სიტყვები რომ მითხრა, გაღიმებული მომაცქერდა, ალბათ, ეგონა, რომ მის წინადადებას აღტაცებული შევხვდებოდი, მაგრამ შემოთავაზებული წინადადება არად ჩავაგდე და ვუპასუხე: — რად მინდა მაგის მოხსნა? გინდ იყოს და გინდ არა, რას მიშლის? აგერ სასჯელს მოვიხდი და წავალ, ეგ ქაღალდები კი, თეთრიც და ლურჯიც, თქვენთან დარჩება-მეთქი.

— ო, ჰოა, არა, ასე მცდარად რატომ მსჯელობთ?— შემაწყვეტინა მან, — აქედან რომ წახვალთ, ეს საყვედური თუ მოხსნილი არ გექნებათ, საბუთებში ჩაგიწერენ, რაც სამარცხვინო დაღს დაასვამს თქვენს სამოქალაქო ცხოვრებას, ჩვენ კი ეს არ გვინდა, რადგანაც მთელი ლაგერის უფროსობა კმაყოფილია თქვენი შრომითი წარმატებით, ეს საყვედური უნდა მოგიხსნათ, სულ მალე სამოქალაქო კლუბში ოლიმპიადა ჩატარდება. ჩვენც მოგვცეს წინადადება, რომ რამდენიმე კაცი წარვადგინოთ, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ ღირსეულები. გასაგზავნთა სიაში ერთ-ერთი კანდიდატურა თქვენცა ხართ, ეხუმრებით ასეთ გამოჩენას? სამი ათასი კაციდან სულ თხუთმეტი კაცი უნდა წარვადგინოთ, მათ შორის უნდა იყოთ თქვენც, მაგრამ თუ ეს სამარცხვინო ლაქა არ მოიცილეთ, ისე ვერ გაგიშვებთ ოლიმპიადაზე.

გაჯიუტებულს ვერ გადამეწყვიტა, დამეთმო თუ არა. ბოლოს სამოქალაქო ოლიმპიადაზე წასვლის სურვილმა გატეხა ჩემი სიჯიუტე. ჩავიქნიე ხელი და რაც მოხდება, მოხდეს-მეთქი, დავწერე განცხადება, — გთხოვთ მომიხსნათ საყვედური, — ვთხოვდი ბანაკის უფროსს (ცხადია, შინაარსი თვითონ მიკარნახა კაპიტანმა).

სამოქალაქო ოლიმპიადაზე ჩემს ბრიგადირთან, ივანე ლიხაშერსტოვთან და იუსუფ დერკიზანოვთან, „ჩუმასთან" ერთად მომიწია წასვლა. როგორც მკითხველმა უკვე იცის, ამ ორ პიროვნებასთან ძალიან ახლო მეგობრული ურთიერთობა მქონდა. დანარჩენი თორმეტი კაცი სხვადასხვა ბრიგადებიდან იყო შერჩეული, მაგრამ მათში ცენტრალურ ფიგურებად მაინც ჩვენი სამეული ითვლებოდა. ფული საკმაოდ გვქონდა ჯიბეში და მეტი რა გვინდოდა. ლაზათიანად გვეცვა სამოქალაქო ტანსაცმელი, კარგა გვარიანადაც მოვილხინეთ, როგორც სანახაობით, ასევე პურ-მარილის საკითხშიც, სასმელიც გადავკარით და ამ დალოცვილმა სითხემ სულ სხვა განწყობილებაზე დაგვაყენა. შევერიეთ სამოქალაქო ხალხში და ისე გავერთეთ მათთან დროსტარებაში, რომ ვერც კი გავიგეთ, როგორ გაიარა დრომ.



# წარსულის გახსენება

*შალვა ჭოლიკაური*

ელექტროზარმა საღამოს შვიდი საათის დადგომა გვაუწყა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ყველა პატიმარი ე.ი. 15 კაცი, როგორც უფროსებისაგან ვიყავით გაფრთხილებულნი, კლუბის ეზოში უნდა შევკრებილიყავით. გულისტკივილით დავტოვეთ სამოქალაქო კლუბის ნათელი დარბაზი, მაგრამ მაინც კმაყოფილნი და იმედმოცემულნი გამოვედით გარეთ. აქ ბადრაგების უფროსმა მიგვითვალა (სიის ამოკითხვით), მერე კი ავტომანქანით წაგვიყვანეს მეშვიდე ლაგპუნქტში.

ოლიმპიადიდან ორი კვირაც არ იყო გასული, რომ პროდ-ამანათი მივიღე საჩუქრად ლაგერის უფროსების სახელით. ამანათი სულ ხუთ კილომდე იყო: — ნამცხვარი, კამფეტი, შაქარი, თეთრი პური, კბილის ჯაგრისი, მისივე ფხვნილი და სხვა წვრილმანი რალაცეები, მაგრამ ასეთმა წვრილმანმა და ოლიმპიადაზე გასვლამ ძირფესვიანად გარდამქმნა სასიკეთოდ და განთავისუფლების სურვილი გამიასკეცა. თუმცა, ჯერ მოსახდელი სასჯელის ვადა კიდევ ბევრი მქონდა დარჩენილი, მეც რა შემეძლო, მუშაობაში ვკლავდი დროს და გულს მოწოლილ ბოლმას. დრო კი ზოზინით მიიწევდა წინ, მაგრამ მაინც მომავლის რწმენით ვცოცხლობდი, ოპტიმიზმი მასულდგმულებდა.

ამ უღბლობის ჟამს 1952 წელი ყველაზე იღბლიანი გამოდგა ჩემთვის, სანიმუშო ქცევითა და მუშაობით ისე აეწყო ჩემი ცხოვრება, რომ არც საჭმელი მაკლდა და არც სასმელი (საჭიროების შემთხვევაში), 23 წლის ახალგაზრდა კარგ ჯანზეც ვიყავი, სამოქალაქო ტანსაცმელში რომ გამოვეწყობოდი, ჩემს თავს მე თვითონ შევხაროდი. მეტისმეტად აკურატულიც ვიყავი ყველაფერში. თუმცა, ზედმეტი გამოჩენაც საბედისწერო იყო, ერთთავად ძარცვა-გლეჯა, ჩხუბი და დანის ტრიალი იდგა. სულ უბრალო მიზეზის გამო, სასიკვდილოდ იმეტებდნენ პატიმრები ერთიმეორეს, ეს გასაგებიცაა. მაშინ სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა, გაუქმებული იყო. მაშ, რითი შეაშინებდნენ ისეთ პატიმარს, რომელსაც სასჯელის უმაღლესი ზომა 25 წელი ჰქონდა მისჯილი. ერთი ზონიდან მეორეში გადაიყვანდნენ, სამხრეთიდან ჩრდილოეთში გააგზავნიდნენ. ამით პატიმარი არ შეშინდებოდა. იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ ღამით მიზანში ამოღებულს რომელიმე პატიმარს, მძინარეს დაესხმოდნენ თავზე, დაახვევდნენ საბანს და სცემდნენ სასიკვდილოდ. ერთხელ კი, ასეთი ამბის მომსწრე და მოწმეც გავხდი.

სასადილოდან ვბრუნდებოდი, უეცრად თვალი მოვკარი მორიგე ალენიკოვს, რომელიც მოკუნჭული გარბოდა სანნაწილისაკენ, ორივე ხელი მუცელზე ჰქონდა მიჭერილი, თან გაბმით ყვიროდა, მიშველეთ, მომკლესო. დავინტერესდი და სხვებთან ერთად მეც გამოვუდექი უკან. სანნაწილის კარებთან წამოვეწიე, მის გარშემო ხალხი შეგროვილიყო, ზოგნი სანნაწილის კარს აბრახუნებდნენ, სასწრაფოდ გაღებას მოითხოვდნენ.

ალენიკოვი წელს ქვემოთ მთლად სისხლში იყო ამოთხვრილი. კარგად რომ დავაკვირდი, ტანში შემაჟრჟოლა. ვილაც გარეწარს პურის საჭრელი, დიდი ხისტარიანი დანა ჩაერტყა წელში ალენიკოვისათვის და შიგ ჩაეტოვებინა. ასე რომ, დანის წვერი მუცლის გარეთ წინ იყო გამოჩრილი, უკან კი დანის ტარი მოჩანდა. სისხლისგან დაცლილ ალენიკოვს მკვდრისფერი ედო, თუმცა, მაინც ვერაფერი უშველეს, ყოველივე ცდა ამაო გამოდგა, მძიმე ჭრილობის შედეგად მესამე დღეს გარდაიცვალა. მიზეზი მისი დაჭრისა სულ უბრალო რამე ყოფილა: ერთერთი შკოდა, რომელიც უმიზეზოდ მიიჭრებოდა მერვე ბარაკში (იმ დროს, როდესაც ყველა პატიმარი სამუშაოდ იყო გასული), ალენიკოვს არ შეუშვია, ამ გარეწარსაც საქმე გასჩენია, მეორე დღისთვის როგორლაც უშოვია ეს უშველებელი დანა და თავისი განზრახვაც სისრულეში მოუყვანია.

მე აქ ერთი ფაქტი მოვიხსენიე, თორემ საერთოდ ლაგერებში ძალზე ხშირი იყო ადამიანთა სიცოცხლის ხელყოფა, რის შედეგადაც 1952 წლის 12 თებერვალს გამოსცეს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპეცბრძანებულება, რის საფუძველზეც ძალაში შედიოდა სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა. ოღონდ ეს იყო არაოფიციალური კანონი. ასე რომ, მით ვერ ისარგებლებდა მოსამართლე სასამართლო პროცესზე, ეს კანონი იყო „მხოლოდ შინაგანი ორგანოებისთვის" ლაგერებში გამოუსწორებელ პატიმართა დასასჯელად.

ამ საქმესთან დაკავშირებით, ორი ბლანკი იყო თითო პატიმარზე, ერთი რვეულის ფურცლისხელა, მასზე დაბეჭდილი იყო ზემოხსენებული ბრძანებულების ტექსტი, თუ რა შემთხვევაში დაიხვრიტებოდა დამნაშავე (მკვლელობისას, ბანდიტური თავდასხმისას, გაძარცვისას და ასე შემდეგ).

ბრძანებულებას ხელს აწერდნენ: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შვერნიკი და მისივე მდივანი პეგოვი.

მეორე მომცრო ბლანკზე ეწერა ნაბეჭდი ტექსტი და დატოვებული იყო ადგილი, რომელიც პატიმარს უნდა შეევსო, ასე მაგალითად:

„მე მსჯავრდებული ივანე ივანეს ძე ივანოვი, ვიმყოფები პატიმრობაში ამა და ამ ლაგერში, გასამართლებული ამ მუხლით, და ამ სასჯელით, გავეცანი რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1952 წლის 12 თებერვლის ბრძანებულებას, პირობას ვიძლევი, რომ თუ შევლახავ ამ ბრძანებულებაში გათვალისწინებულ რომელიმე მუხლს და ჩავიდენ განზრახ მკვლელობას, ძარცვას, ან ყაჩაღობას, ხელს ვაწერ დახვრეტაზე". იქვე მინიშნებული იყო ხელის მოწერის ადგილიც.

ასე და ამგვარად, ყველა პატიმარს მოგვაწერინეს ხელი დახვრეტაზე, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ აღნიშნული დანაშაულის ჩამდენს სასამართლო აღარ სჭირდებოდა, მისი პირადი საქმე, დახვრეტაზე ხელმოწერილ ბლანკთან ერთად იგზავნებოდა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში და ეს უმაღლესი ორგანო ადებდა რეზოლუციას: „ვამტკიცებ". მეტი არაფერი, განწირული მიჰყავდათ განაჩენის აღსასრულებლად (დასახვრეტად).

ამის შემდეგ საგრძნობლად იკლო დანაშაულობამ, მაგრამ იშვიათად მაინც ხდებოდა ხოლმე. მოქმედი პირინი იქიდან მიჰყავდათ, ე.წ. „მეოთხე პოდკამანდიროვკაში", სადაც რეჟიმის ციხე იყო, მაგრამ განაჩენი მართლა მოჰყავდათ სისრულეში თუ არა, ეს უკვე აღარ ვიცი, ალბათ, აღსრულდებოდა, მითუმეტეს, ყველას ხელი გვქონდა მოწერილი დახვრეტაზე და პატიმრის სიცოცხლე კი ვის რაში ენაღვლებოდა.

ჩემთვის, ამ ბრძანებულებასთან დაკავშირებით, ერთი ძალზე სამწუხარო ამბავი მოხდა; კერძოდ ის, რომ ჩუმას (რომელთანაც უკვე ახლო მეგობრობაში ვიყავი) ერთ-ერთ ზედამხედველთან ჩხუბი მოსვლოდა ზონაში (მე იმ დროს სამუშაოზე ვიყავი) ზედამხედველს დედა შეუგინებია მისთვის, გამხეცებულ ჩუმას მუშტი გაუქანებია, ზედამხედველს დარტყმის აცილებად თავის შებრუნება მოუსწრია, მაგრამ ლონივრად გაქანებული მუშტი საფეთქელში მოხვედრია და იქვე გაუფრთხია სული. ამის გამო ჩუმა დაუკავებიათ და სასწრაფოდ, სპეცეტაპით გადაუგზავნიათ მეოთხე პოდკამანდიროვკაში, სადაც განაჩენი მოჰყავდათ სისრულეში.

მე და ივანე ლიხაშერსტოვი ძალიან ბევრს ვეცადეთ როგორმე დაგვეზუსტებინა ჩუმას ტრაგიკული ბედის შესახებ. უბადრაგო პატიმრებსაც ვთხოვეთ დახმარება, მათ კი ასეთი ამბავი შეგვატყობინეს, რომ მერვე ლაგერში (სადაც ჩუმას ძმადნაფიცი ოსმან მაგომედოვი იმყოფებოდა) თითქოს გამოჩენილა ჩუმა, მაგრამ ოსმანი ხომ იცნობდა თავის ძმადნაფიცს, ეს კი ვილაც თვითმარქვია, ცრუ ჩუმა ყოფილა, რის გულისთვისაც კარგა გვარიანად მიებეგვათ პატიმრებს.

პირადად ჩუმა, ანუ იუსუფ დერკიზანოვი აღარსად გამოჩენილა. ალბათ, მართლა მიიბარა ღმერთმა მისი ამაყი სული (შენდობა ჰქონდეს).

*გაგრძელება იქნება*

## საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და მისი ლიდერის, ბატონ ასლან აბაშიძის წინააღმდეგ ამ ბოლო დროს ცენტრიდან გაჩაღებულმა კამპანიამ შესაძლოა აღლბადი ხასიათი მიიღოს, რომლის შედეგების განჭვრეტა არავითარ პროგნოზირებას არ ექვემდებარება.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ბატონი ასლან აბაშიძე აჭარას ურთულეს პოლიტიკურ პერიოდში დაუბრუნდა. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მან აქცენტი უპირველესად მოშლილი სახელმწიფო სტრუქტურების აღდგენაზე, წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებაზე გადაიტანა. აჭარაში კარგა ხანია მიმდინარეობს აღორძინების შეუქცევადი პროცესი. აჭარამ ღირსეულად გადაიტანა უკანასკნელი წლების პოლიტიკური ქარიშხლები. ამან ჩაუყარა საფუძველი საძირკველი რადიკალურ გარდაქმნებსა და განვითარებას. შესრულებული სამუშაო რწმენას განამტკიცებს, იძლევა უკეთესი მომავლისათვის არათუ ოცნების, არამედ რეალური ფიქრის, პროგრესული საქმიანობის საფუძველს. აქ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასლან აბაშიძის გონივრულმა პოლიტიკამ, წინდახედულობამ, დიდ ნებისყოფასთან შეთანაწყობილმა მტკიცე ხასიათმა, უშიშარმა ბუნებამ იხსნა აჭარა და არა მარტო აჭარა, ამგვარმა ბრძნულმა ქმედებამ იხსნა და გადაარჩინა სრულიად საქართველო.

საქართველო, თქვენი ზომიერი და გაწონასწორებული პოლიტიკა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და მისი ლიდერის მიმართ (ასე იკითხება იგი აჭარასთან მიმართებაში გამოთქმულ თქვენს მოსაზრებებში, მისალმებებში და შეფასებებში) განმტკიცებული იქნეს საქმით, შეწყდეს დაპირისპირებანი ცენტრსა და აჭარას შორის, რამეთუ დაწყებული კონფრონტაცია და ბატონ ასლან აბაშიძისადმი ჩირქის მოცხობის მცდელობა ქვეყანას სიკეთემდე არ მიიყვანს. ჩვენ თავს ვიკავებთ ამ პროცესების იურიდიული შეფასებისაგან, ისე კი, ვიცით რა, რომ საბოლოო ჯამში ყველა გზას პრეზიდენტთან მივყავართ, მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტის კონსტიტუციური მოვალეობაა, ვალდებულიცაა კონსტიტუციის შესაბამისად უზრუნველყოს ქვეყნის ერთიანობა და მთლიანობა, სახელმწიფო ორგანოთა ნორმალური ფუნქციონირება.

უმორჩილესად გთხოვთ, გაარკვიოთ, რა არის ან ვინ არის ასეთი ვითარების შექმნის მიზეზი, წერტილი დაუსვათ უაზრო დავას, რამეთუ, როგორც ზემოთაც ითქვა, ქვეყანაში შექმნილ ერთობ შემაშფოთებელ ვითარებაზე, რაც გამოიხატება საქართველოს ცენტრალურ და ერთ-ერთ რეგიონალურ ხელისუფლებას შორის კონფრონტაციაში, უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებელია პირადად პრეზიდენტი, პირადად ბატონი ედუარდ შევარდნაძე.

***იაკობ ახუაშვილი***
*სრულიად საქართველოს ჭეშმარიტ ქართველ მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის პრეზიდენტი, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი*

***როინ ლიპარტელიანი***
*დავით აღმაშენებლის პარტიის ლიდერი, აკადემიკოსი*

***ჯემალ მიქელაძე***
*აფხაზეთის მეცნიერებისა და განათლების აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი*

## გამოვთქვამთ მტკიცე პროტესტს და აღშფოთებას

გამოვთქვამთ მტკიცე პროტესტს და აღშფოთებას ამ ბოლო პერიოდში საქართველოს მოქალაქეების გახშირებული გატაცების შემთხვევებთან დაკავშირებით. ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს ხელისუფლება და ფართო საზოგადოება არ შეეგუება იმ გარემოებას, რომ საქართველოს მოქალაქეს ასამართლებენ შარიათის ან სხვა არაცივილიზირებული კანონებით, რაც ადამიანის ელემენტარული უფლებების ფეხქვეშ გათელვაა. ამის უპრეცენდენტო მაგალითია: ქართველ პატრიოტთა ლიგის თავმჯდომარის ბატონ გიგა ზაალიშვილის ტყვედ ყოფნა ჩეჩნეთში. ამგვარი ფაქტები გვაგონებს საქართველოს ისტორიის ავბედით წარსულ ფურცლებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის გამგეობა და სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის ფონდის გამგეობა გამოვთქვამთ მტკიცე პროტესტს და აღშფოთებას ამგვარი სამარცხვინო ფაქტების გამო და მივმართავთ საქართველოს ხელისუფლებას და საერთაშორისო ორგანიზაციებს დაიკავონ პრინციპული პოზიცია და ხმა აიმაღლონ აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით, რათა დაცული იქნას ჩვენს მოქალაქეთა უსაფრთხოება და უფლებები.

***გიორგი თევზაძე***
*სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის ფონდისა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტი*

მეოთხე გვერდიდან

# მამუკა გიორგაძე:

## ხელისუფლების შესანარჩუნებლად შევარდნაძემ თვითმფრინავის გატაცების შემდეგ უდანაშაულო ადამიანები დახვრიტა. ვითომ რატომ არ გააკეთებს იგივეს დღეს?..

**— თქვენ ხომ დაიცავით რჩეულიშვილი?**

— მე ჩემი პოზიცია გამოვთქვი, ჩემი პარტიის მხრიდან დამოკიდებულება გამოვხატე ამ საკითხთან დაკავშირებით, რაც შეეხება ჟვანიას განცხადებას, პროვოკაციააო. კომენტარის გაკეთებაც კი უაზრობაა, მისი განცხადების პროვოკაციულობას მართლა არა აქვს საზღვარი.

**— იგორ გიორგაძის ტერაქტებთან კავშირში აქტიური მოხსენიებისას ხშირად ამგვარ ჭრილში თქვენი სახელიც ფიგურირებს ხოლმე. როგორ ხსნით ამას?**

— უბედურება ის არის, რომ მათ ვილაცას უნდა დააბრალონ ამ შემთხვევაში სურთ ასეთი მტრის სახედ სახალხო პარტია გამოიყვანონ, მაგრამ არ გამოსდით ელემენტარულად. ბოლოს ყველა საპასუხო რეაქციის გამო თავდახრილნი გაისუსებიან ხოლმე, არა იმიტომ, რომ სირცხვილის გრძნობა აწუხებთ, არამედ იმიტომ, რომ ისეთი არგუმენტები გვაქვს, სათქმელსაც კი ალარაფერს ვუტოვებთ. ასე იყო ყოველი განხორციელებული თუ განუხორციელებელი ტერაქტის დროს. მათ, მართალია, სურვილი აქვთ და იკადრებენ ყველაფერს, მაგრამ არგუმენტს მაინც განმსაზღვრელი როლი აქვს ყველაფერში. კიდევ ვიმეორებ, იგორ გიორგაძეს მოქალაქეთა კავშირმა და შევარდნაძემ მისცა ჩინ-მედლები და არა მამუკა გიორგაძემ. მე, როცა პასუხისმგებლობის საკითხის დასმას მოვითხოვდი, შევარდნაძე ჩინ-მედლებს არიგებდა და ჩემი შვილებიაო, იძახდა „მხედრიონზე". ეს ყველაფერი კარგად ახსოვს ხალხს.

**— ბოლო ტერაქტის მცდელობის გახსნის მართლა მცდელობისას ბევრი პოლიტიკოსის სახელი და გვარი გაისვარა. შსს-ს მიერ რეაგირება არ მოჰყოლია ამ ფაქტს, არავინ დაუკავებიათ გამოდის, რომ ყოველივე ეს ცილისწამება იყო. ცილისწამება სისხლის სამართლის დანაშაულია და დამნაშავემ კანონის თანახმად პასუხი უნდა აგოს...**

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ მათ პოლიტიკოსებზე ზოგადი განცხადება გააკეთეს, ძირითადად მიმართულება იყო ბორის კაკუბავასა და პანტელეიმონ გიორგაძისკენ.

**— მათთან ერთად ქართლოს ღარიბაშვილის, მამუკა გიორგაძის სახელებიც ტრიალებდა ჩრდილში...**

— ჩვენს მიმართ ირიბი ფორმით ხდებოდა ეს, რასაც სამართლებრივ შეფასებას ვერ მისცემ. ისინი ამბობდნენ, რომ ვინც დღეს შევარდნაძის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდის ნებსით თუ უნებლიედ, უფრო სწორად, შეგნებული ქმედებით, პოლიტიკურ მხარდაჭერას უცხადებს ტერაქტსო. ამის გამო სასამართლო პროცესს ვერ გამართავ. ხოლო, რაც შეეხება კაკუბავას და გიორგაძეს, ეს მათი გადასაწყვეტი საკითხია, მაგრამ უბედურება ის გახლავთ, რომ დღეს არც სასამართლოს აქვს აზრი და არც თვით სალ აზრს და სიტყვას.

**— ე.ი. თქვენ არც სასამართლო რეფორმის სიკეთის გწამთ?**

— მე ამას სასამართლო რეფორმას ნამდვილად ვერ დავარქმევდი. აქტიური მომხრე ვიყავი, რეფორმა დაწყებულიყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. უბრალოდ, გამ-



სახურდიას დანიშნული მოსამართლეების შეცვლა მოხდა შევარდნაძის დროს.

ესაუბრა
**მანანა ლოგვანიძე**

მეოთხე გვერდიდან

# გურული „ავაზაკები" და „მცირე რევოლუცია" ლანჩხუთში



საქ. პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნ. რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე გ. გიგინეიშვილი

მოგაწვდით ლანჩხუთის საკრებულოს სრულ სიას, თავისი პარტიული კუთვნილებით.

**1. დავით წულაძე — რაიონული საკრებულოს თავმჯდომარე,** დაბ. 1954 წ-ს. ინჟინერ-მექანიკოსი, ბოლო სამუშაო ადგილი — ს.ს. „გურიას" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, უპარტიო. კენჭს იყრიდა მოქალაქეთა კავშირის სიით.

**2. ალბერტ ლომაძე — რაიონული საკრებულოს მდივანი.** დაბ; 1947 წ. ინჟინერ-ტექნოლოგი, უპარტიო. კენჭს იყრიდა სახალხო პარტიის სიით;

**3. დავით გოგიჩაიშვილი — ადამიანთა უფლებების, კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვის კომისიის თავმჯდომარე;** დაბ. 1950 წ. უპარტიო, კენჭს იყრიდა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის სიით;

**4. ბადრი ჭყონია — განათლების, კულტურისა და სპორტის კომისიის წევრი.** დაბ. 1951 წ. ლანჩხ. უსინათლოთა საზოგადოების თავმჯდ. უპარტიო;

**5. ვასილ ბარამიძე — დაბ. 1964 წ. ლანჩხუთის რაიონის გამგებლის მრჩეველი, საქ. მოქალაქეთა კავშირის წევრი.** კენჭს იყრიდა ამავე პარტიის სიით.

**6. გიორგი ცინცაძე — სამანდატო კომისიის თავმჯდომარე,** დაბ. 1940 წ. ლანჩხუთის საწარმოო კომბინატის დირექტორი. საქართველოს მოქ. კავშირის წევრი, კენჭს იყრიდა ამავე პარტიის სიით.

**7. თეიმურაზ ბარამიძე — აგრარულ საკითხთა და დარგობრივი რესურსების კომისიის წევრი.** დაბ. 1954 წ. ლანჩხუთის წყალთა მეურნეობის და მელიორაციის სამმართველოს უფროსი, უპარტიო, კენჭს იყრიდა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის სიით;

**8. მერაბ ურუშაძე — საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი,** დაბ. 1956 წ. აგრობანკის ლანჩხუთის განყოფილების მმართველი, უპარტიო, კენჭს იყრიდა საქართველოს მოქ. კავშირის სიით;

**9. თენგიზ პატარაია — აგრარულ საკითხთა და დარგობრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე.** დაბ. 1946 წ. შ.პ.ს. „ლანჩხუთი 96"-ის თავმჯდომარე. უპარტიო, კენჭს იყრიდა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის სიით;

**10. ელენე იმნაძე — განათლების, კულტურისა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე.** დაბ. 1970 წ. ფილოსოფიურ დისციპლინათა მასწავლებელი. საქ. მოქ. კავშირის ალმასრულებელი მდივანი. კენჭს იყრიდა ამავე პარტიის სიით;

**11. ელგუჯა ბარამიძე — სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე;** დაბ. 1957 წ. ეკონომისტი, უპარტიო, კენჭს იყრიდა საქართველოს მოქ. კავშირის სიით;

**12. იური ჩხაიძე — ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხების დაცვის კომისიის წევრი.** დაბ. 1953 წ. ს.ს. „მეგობრობის" დირექტორი, უპარტიო, კენჭს იყრიდა დემოკრატიული ალორძინების კავშირის სიით;

**13. ადამ ხუხუნაიშვილი — აგრარულ საკითხთა და დარგობრივი რესურსების კომისიის წევრი.** დაბ. 1956 წ. უმაღლესი განათლებით, კენჭს იყრიდა დემოკრატიული ალორძინების კავშირის სიით;

**14. ამირან ძანთარია — ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხების დაცვის კომისიის თავმჯდომარე;**

**15. სევერიან (სოსო) კვაჭაძე — ადამიანთა უფლებების, კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვის კომისიის წევრი.** დაბ. 1953 წ. მათემატიკოსი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლანჩხუთის ორგანიზაციის თავმჯდომარე, კენჭს იყრიდა ამავე პარტიის სიით;

**16. ელგუჯა კალანდარიშვილი — აგრარულ საკითხთა დარგობრივი რესურსების კომისიის წევრი.** დაბ. 1955 წ. უპარტიო, კენჭს იყრიდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიით;

**17. ზურაბ იმნაძე — სამანდატო კომისიის წევრი.** დაბ. 1952 წ. ინჟინერი. სააქციო საზოგადოება „ავტოს" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. უპარტიო, კენჭს იყრიდა სახალხო პარტიის სიით.

**18. ამირან გურგენაძე — ადამიანის უფლებების, კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვის კომისიის წევრი.** დაბ. 1963 წ. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის ლანჩხუთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე. კენჭს იყრიდა ამავე პარტიის სიით;

**19. კობა სალუქვაძე — საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;** დაბ. 1976 წ. ინჟინერ-ეკონომისტი, სახალხო პარტიის ლანჩხუთის კომიტეტის თავმჯდომარე. უპარტიო. კენჭს იყრიდა სახალხო პარტიის სიით;

**20. ამირან გიგინეიშვილი — საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი.** დაბ. 1962 წ. ინჟინერი. პარლამენტის ფრაქცია „სახალხოს" წარმომადგენელი ლანჩხუთში. სახალხო პარტიის წევრი. კენჭს იყრიდა ამავე პარტიის სიით;

**21. რომან ბიწაძე — ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხების დაცვის კომისიის თავმჯდომარე.** დაბ. 1961 წ. ინჟინერ-ეკონომისტი, ჟურნალისტი. სადაზღვევო საქმის მენეჯერი. მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრი. კენჭს იყრიდა ბლოკ „საქართველო"-მერაბ კოსტავას საზოგადოების სიით.

თქვენი არ ვიცი, ძვირფასო მკითხველო და, ამ ხალხის წარსულში მე ვერაფერ საეჭვოს ვერ ვხედავ. ერთს კი გაგიმხელთ, რომ ამ სიის წერის დროს საკრებულოს წევრებს ქამრებს ვუთვალიერებდი, ჩუმად იარაღს ხომ არ ატარებენ-მეთქი. ავაზაკი და უიარაღო რაღაც ძნელი წარმოსადგენია. ხატზე დავიფიცებ! არაფერი შემინიშნავს.

იქნებ სიის კითხვისას თვალში გეცათ, რომ აქ არის დემოკრატიული ალორძინების კავშირის, სახალხოსა და ტრადიციონალისტების მცირე წარმომადგენლობა და არ მითხრათ, რომ ეს ბათუმური ალიანსის წევრები ამღვრევენ წყალსო. ვერ დაგეთანხმებით! ბატონმა გივიმ „ავაზაკთა ბუნაგი" აღმოაჩინა აპრილის დასაწყისში და ბათუმური ალიანსი შედგა სულ ახლახანს. თანაც მენდეთ და, საკითხი, რომლის გადასაწყვეტად გურიის რეგიონი იბრძვის, წმინდა სოციალური ხასიათისაა და ამ ალიანსის წევრებს ფრიად ჰარმონიული ურთიერთობა აქვთ მოქალაქეთა კავშირთან.

ამ 21 „ავაზაკის" უკან დგას 20300 ამომრჩეველი, რომელსაც არავითარი პრეტენზია არა აქვს საკრებულოსთან. ე. ი. მათ თანამზრახველებად მოისაზრებიან. ამას დავუმატოთ ლანჩხუთის გამგებელი და გურიის გუბერნატორი, თავისი სამხარეო წარმომადგენლობით და სურათი ფრიად მძიმდება, რადგან ზემოთ ჩამოთვლილნი ერთ პოზიციაზე დგანან. ესეც თქვენი „მცირე რევოლუცია". კი, მაგრამ ვის ებრძვის ეს ხალხი და რატომ? იქნებ საქართველოს მთავრობის დამხობა უნდათ. ამ შეკითხვაზე ყველა ერთხმად მპასუხობს — პარლამენტის კომიტეტისეულ მიდგომას — კოლხეთის ეროვნული პარკისადმი. ცოტათი ვწყნარდები.

მძიმე ფიქრებით დამძიმებულმა სასწრაფოდ მივაშურე თბილისს და ელვის უსწრაფესად ავიჭერი საქართველოს პარლამენტში. საბედნიეროდ, ბატონი გივი ადგილზე დამხვდა. იმ წუთას მივახალე — **ბატონო გივი, გურულებს თქვენი ინტერვიუ წაუკითხავთ ჟურნალ „სარკეში", ქსეროქსებზე გადაუღიათ და სოფელ-სოფელ დააფრიალებენ-თქო.** თან დიქტოფონი მოვიმარჯვე და სუნთქვაშეკრული დაველოდე პასუხს. ვიფიქრე, ახლა კი დავაზუსტებ სად ინახავს ლანჩხუთის საკრებულოს „ავაზაკთა ბუნაგი" იარაღს-თქო. უცებ... მაგის მსგავსი არაფერი მითქვამსო — მომესმა პასუხი. ნერწყვი ძლივს გადავყლაპე.

მცირეოდენი პაუზის შემდეგ ძლივს ამოვილე ხმა — **აბა, ჟურნალისტი ტყუის? თუ ასეა, მაშინ სასწრაფოდ დავუკავშირდები ბელა ჩეკურიშვილს და სიმართლეს გავარკვევ-მეთქი.** აქ ბატონი გივი ახლოს მოიწია და ორაზროვნად მიპასუხა — **იცით? ეგ სიტყვები არ მითქვამს, მაგრამ რომ მეთქვას, ოფიციალურად ვიხდი ბოდიშსო". „მაშინ ეგ ბოდიში „სარკეში" გამოაქვეყნეთ და გაუგებრობაც აღარ იქნება-მეთქი. ჩემთან რომ იხდით ბოდიშს. მე რა შუაში ვარ-მეთქი, ხალხი მართლა არ აჯანყდეს-მეთქი".** შემპირდა — ყველაფერს მოვაგვარებო. დამშვიდებულმა გამოვრთე დიქტოფონი და უკვე კარებთან მიახლოებულს მომესმა ბატონი გივის ხმა — მაგისთანები დაწერილა პრესაში? მერე რ მოხდაო! შეცბუნებულმა დავტოვე კაბინეტი.

ისევ ლანჩხუთისაკენ გავეშურე. ერთი სული მქონდა დამენყნარებინა „ავაზაკები" — არ აჯანყდეთ, „სარკის" უახლოეს ნომერში გიგინეიშვილის ბოდიშს წაიკითხავთ-მეთქი. თან დიქტოფონით მოვასმენინე ეს ნახევრად მობოდიშება. ბოლო ფრაზას კი როგორ ვიტყოდი. გიგინეიშვილმა ბოდიში მოიხადაო? — შემომესია ხალხი, რატომ ასჯერ არ დაატრიალებინეს კასეტა.

დიდხანს ელოდნენ გურულები ოფიციალურ ბოდიშს და ვერსად ვერ ნახეს. გამწარებულმა „ავაზაკებმა" კი ჩემი მოლოდინის საწინააღმდეგოდ (მეგონა ტყეში გავიდოდნენ), დიდუბის სასამართლოში შეიტანეს სარჩელი. რა გიყოთ, ბატონო გივი, ჩემი დიქტოფონით, თუ გინდათ მთელ საქართველოს მოვივლი და თქვენს სიმართლეს მოვფენ, მაგრამ რაღაც ძალიან მეეჭვება ამან რაიმე შედეგი გამოიღოს.

თანაც სივრცეში გადაადგილება საკმაოდ ძვირი ჯდება, მე ჩემი დანაზოგი უკვე მეწურება და არა მგონია თქვენი მწირი ხელფასიდან ჩემს დასაფინანსებლად რაიმე გამოინახოს.

**ისე, ცნობისთვის... ლანჩხუთის საკრებულომ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 41000 ლარი მოითხოვა (ალბათ იარაღის შესაძენად) და... სარჩელი უკან მოუბრუნდა ბაჟის გადაუხდელობის გამო (1000-მდე ლარი). ახლა აპირებენ ხელმეორედ შეტანას, გაცილებით მცირე თანხის მოთხოვნით, ალბათ ბაჟსაც გადაიხდიან და თქვენც დეპუტატობის ვადა გაგივათ. ჩვენი რეფორმირებული სასამართლო კი დაადგენს, ვინ არის „ავაზაკი".**

ამ ამბით საკმაოდ გადაღლილმა და გულდაწყვეტილმა იმით, რომ ვერ შევარიგე ბატონი გივი თავის მშობლიურ რაიონს, მივაშურე ჩემს სოფელს — სუფსას. თან ძალიან მაინტერესებდა, რესპუბლიკური პრესა კიდევ რას წერდა ისეთს, რაც ამ პრობლემას შეეხებოდა. გადავწყვიტე თბილისში ჩამოსვლისთანავე ჩავმჯდარიყავი ბიბლიოთეკებში და ცნობისწადილი დამეკმაყოფილებინა.

**გიორგი ვასაძე**
**დამოუკიდებელი ჟურნალისტი**

(გაგრძელება იქნება).

ვინ როგორ ცხოვრობს

# ესტონური სტანდარტები, ანუ ბალტიისპირული პატარა ქვეყანა III ათასწლეულის დამდეგს

*ბოლო პერიოდში ჩვენმა საზოგადოებამ, სამწუხაროდ, არაფერი ან თითქმის არაფერი იცის იმის შესახებ, თუ რა ხდება ბალტიისპირეთის ქვეყნებში. ჩვენთვის უფრო საინტერესოა ის ფაქტი, თუ ყოფა-ცხოვრების რა დონე და სტანდარტებია იქ.*

*ცნობილ მიზეზთა გამო ბალტიისპირეთის ქვეყნები არ შევიდნენ დსთ-ში და ამდენად, მთლიანად და სრულად დაიწყეს განვითარება დასავლური ორიენტაციის საზოგადოებებად და სახელმწიფოებებად. არადა, საოცარი ისაა, რომ ნახევარი საუკუნე ისინიც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების გვერდიგვერდ ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ცხოვრობდნენ და კომუნისტური მონსტრის დაშლის შემდეგ რაღაც 8-9 წელიწადში ყოფილ კოლეგა-ქვეყნებს ძალიან ბევრით გაუსწრეს წინ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა განზომილებაში, შეიძლება ითქვას, ორმაგად და სამმაგადაც კი.*

*ჩვენს გაზეთში ა. წ. მარტში დაიბეჭდა საინტერესო პუბლიკაცია ლატვიაზე და იქ მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე. დღეს გვინდა შემოგთავაზოთ მასალა ბალტიისპირეთის მეორე და ყველაზე პატარა ქვეყანაზე, — ესტონეთზე. ვფიქრობთ, მკითხველი მასში ჰპოვებს ბევრ საინტერესო ფაქტს, რაც ესოდენ ნიშანდობლივი შეიძლება გამოდგეს ჩვენი ხალხის, საზოგადოებისა და ხელისუფლებისთვისაც კი.*

საშუალო ხელფასი ესტონეთში 4500 კრონია, ანუ 310 დოლარი.

საკონდიტრო ფაბრიკაში მუშა იღებს 240 დოლარს, სკოლის მასწავლებელი 260 დოლარს, ციხის დარაჯი 200 დოლარს, ბანკის მოსამსახურე 620 დოლარს, საკურორტო ქალაქ პარნუს მერი 1400 დოლარს, ესტონეთის პრეზიდენტი კი 1700 დოლარს.

ბავშვის დაბადებისას დედა იღებს ერთდროული დახმარების სახით 200 დოლარს, შემდეგ კი ყოველთვიურად 10 დოლარს, ვიდრე 18 წელს მიაღწევს ბავშვი.

სტუდენტის სტიპენდია 41 დოლარია. ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია ყოველწლიურად ბანკიდან 900 დოლარი უპროცენტო კრედიტი აიღოს და მას გადაიხდის მაშინ, როდესაც მუშაობას შეუდგება.

პარლამენტის დეპუტატის ხელფასი 1200 დოლარია. ნებისმიერი, ვინც ორი წელი გაატარა პარლამენტში, მთელი დანარჩენი ცხოვრება ყოველთვიურად მიიღებს 900 დოლარს. ესტონელები ხუმრობენ: „ჩვენ ერთი გამოსავალი გვაქვს — მთელი ქვეყანა უნდა გავატაროთ პარლამენტშიო“. მოსახლეობა ხომ სულ მილიონნახევარია. ყველა დეპუტატი ვალდებულია გამოაქვეყნოს არა მარტო შემოსავლების დეკლარაცია, არამედ ეგრეთ წოდებული „ეკონომიკური ინტერესების დეკლარაციაც“ იმ მიზნით, რომ გადასახადის გადამხდელმა თვალი მიადევნოს იმას, რომ პარლამენტი ხომ არაა „თავკერძ“ დაინტერესებული რომელიმე კანონპროექტით. ამ შემთხვევაში მას ან ჩამოაშორებენ მუშაობას, ანდა შესთავაზებენ დროებით უარი თქვას ბიზნესზე.

ერთი სიტყვით, ხელფასები ჩრდილოეთის პატარა ქვეყანაში ცუდი არაა. ჩვენს პენსიონერებსა და მასწავლებლებს გული მოუვათ ხელისუფლებაზე, როდესაც თავიანთ მწირ შემოსავლებს შეადარებენ ესტონელი კოლეგებისას. ესტონელები ამაყობენ იმით, რომ მათ ნებისმიერ პენსიონერს მინიმალური პენსიითაც კი (82 დოლარი თვეში) შეუძლია კვირაში ერთხელ რესტორანში შესვლა. თავად ესტონელები თვლიან, რომ სსრ კავშირის ყოფილ რესპუბლიკებთან შედარებით მათ ყველაზე მაღალი ცხოვრების დონე აქვთ.



ავტობუსის ბილეთი ტალინში 5 კრონი (30 ცენტი) ღირს, სარეისო მიკროავტობუსში კი 7 კრონი (50 ცენტი). როგორც ჩანს, ჩვენთან შედარებით საქალაქო-სახალხო ტრანსპორტი ოდნავ ძვირია.

სამოთახიანი ბინა ცენტრში რამდენიმე ასეული დოლარი ღირს თვეში (ისევე როგორც ჩვენთან ცენტრში). თუმცა პენსიონერებისათვის შეღავათები არსებობს. ბინის ქირა არ უნდა აღემატებოდეს პენსიის მესამედს. დანარჩენს სახელმწიფო იხდის.

დიდი ქვეყნებისა და მათი ეკონომიკის გარემოცვაში ესტონელებს მართლაც უჭირთ, მაგრამ ისინი ახერხებენ ცხოვრებასა და არსებობას. თავისი მწირი ბუნებრივი რესურსებით პატარა ესტონეთში მართლაც შედარებით საგრძნობ კეთილდღეობას მიაღწია.

ტალინს ძალიან მოხერხებული ადგილი უკავია საზღვაო და სახმელეთო გზების გადაკვეთაზე. ამ ადგილებისთვის XII საუკუნიდან მოყოლებული თავს ტყუილად როდი იმეტებდნენ ტევტონები, ლივონიელები, დანიელები, რუსები. დაბალი ფასებია ენერგომატარებლებზე, ესტონური ფიქალი და იაფია სამუშაო ძალა, რაც ესოდენ იზიდავს უცხოელ მეწარმეებს.

ესტონეთი ეწევა ბრძნულ ეკონომიკურ პოლიტიკას. კონსტიტუციის მიხედვით პარლამენტს დეფიციტური ბიუჯეტის მიღების უფლება არა აქვს. ესტონური კრონა მტკიცედაა მიბმული გერმანულ მარკაზე (1 მარკა უდრის 8 კრონას).

ესტონეთში დააბრუნეს კერძო საკუთრება მიწაზე. იყიდება ყველაფერი: ტყე, მინდორი, კუნძულები. ამბობენ, ესტონელებს უყვართ მარტოობაში დროის გატარება, ამიტომ სიამოვნებით იძენენ პატარ-პატარა კუნძულებს. ესტონეთში ყველაზე მდიდარი მოხუცი ქალბატონია, რომელსაც დაუბრუნეს ოთხსართულიანი სახლი დედაქალაქში რატუშის მოედანზე. მისი გაქირავებით იგი მილიონებს შოულობს.

მაგრამ ესტონელთა კეთილდღეობის წყარო მაინც მათი ულევი შრომისმოყვარეობაა. ყოველ გაზაფხულზე მინდვრებში ჩნდება ქვები, რომლებსაც ფერმერები და მათი ოჯახის წევრები რუდუნებით აგროვებენ და გარეთ გააქვთ. ტალინის ქუჩებში დღისით ვერ ნახავთ უქმად მოსიარულეს — ყველა სამუშაოზეა.

თუმცა ესტონეთშიც, ისევე როგორც ყველა ქვეყანაში, არსებობს უმუშევრობა. ვისაც კარგი სამსახური უნდა, მას ძალიან მაღალ მოთხოვნებს უყენებენ. მაგალითად, სუპერმარკეტის გამყიდველი 4 ენას უნდა ფლობდეს — ფინურს, რუსულს, ესტონურსა და ინგლისურს.

ტალინის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია საკონდიტრო ფაბრიკა „კალევი“, რომელიც 200 წელია არსებობს და წელიწადში 25 ათას ტონა შოკოლადს, კარამელსა და საღეჭ რეზინას უშვებს. ასე რომ, თითოეულ ესტონელზე 17 კილოგრამი ტკბილეული მოდის, რასაც, ბუნებრივია, ადგილზე ვერ ასაღებენ და იგი გააქვთ ბალტიისპირეთის, სკანდინავიის ქვეყნებში, რუსეთში, უკრაინაში.

ესტონეთის 70 წლის პრეზიდენტი ლენარტ მერი თავის მეუღლესთან და 14 წლის ქალიშვილთან ერთად ცხოვრობს ტალინის გარეუბანში, ეროვნულ პარკ კადრიორგეში მდებარე სამსართულიან შენობაში. საპრეზიდენტო დაცვა ძალიან უბრალოა, მომსვლელი მხოლოდ მეტალოკონსტრუქციის სპეციალურ კარს გაივლის — ეგ არის და ეგ.

ლენარტ მერი განათლებით ისტორიკოსია. იგი მუშაობდა ჟურნალისტად, კინორეჟისორად, იღებდა ფილმებს ფინელ-უგრული ხალხების ბედზე. იგი ესტონეთის მწერალთა კავშირის წევრია, ჰელსინკის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი. თავისუფლად ფლობს ექვს ევროპულ ენას. 1996 წელს მეორე ვადით აირჩიეს ქვეყნის პირველ კაცად. არჩევის წინ ლ. მერი ექიმთან მივიდა იმის საკითხავად, კიდევ რამდენ ხანს იცოცხლებდა. საზღვარგარეთ ლექციების კითხვით უფრო მეტ ფულს იშოვიდა, ვიდრე პრეზიდენტის ხელფასია, მაგრამ როგორც თვითონ ამბობს, — მას მოვალეობები აქვს თავისი ქვეყნის წინაშე. ესტონელები მზად არიან კონსტიტუციაში ცვლილებები შეიტანონ პრეზიდენტის მესამე ვადით არჩევის შესახებ. ლ. მერის თქმით, ერთი ადამიანისათვის, თუნდაც იგი პრეზიდენტი იყოს, ეს არ შეიძლება. შეიძლება წააგო ბრძოლა, მაგრამ არჩევნებს არ უნდა უღალატოო, — ამბობს იგი.

ყველა ტალინელმა იცის, თუ სად ცხოვრობს ლ. მერი, რომელ რესტორანში შეიძლება შეხვდე მას სალამოთი ოჯახთან ერთად. მთელმა ესტონეთმა იცის, რომ პრეზიდენტი თავისი ხელფასიდან ფულს ზოგავს სანაპიროზე სახლის ასაშენებლად.

საინტერესოა, თუ როგორია პენიტენციალური სისტემა ამ პატარა ქვეყანაში.

ციხის ყველა კარი კომპიუტერზეა მიბმული, რომელიც აფიქსირებს ნებისმიერ გაღება-დახურვას. სალაპარაკო მოწყობილობა აქვს ნებისმიერ საკანს. საკნები ოთხ-ექვს კაცზეა გათვლილი, დიდი ფანჯრებით და გამოსაღები პატარა ფანჯრებით. პატიმართა უმეტესობა შეღავათიან რეჟიმში ჰყავთ, რაც იმაში გამოიხატება, რომ წელიწადში ორჯერ შვიდდღიან შვებულებას აძლევენ. თუ ვინმე გაიქცევა ამ დროს, მაშინ სასამართლო მსჯელობს, ეს მართლაც გაქცევაა თუ ობიექტური მიზეზებით შეფერხება შვებულებიდან დაბრუნებისას. გასული წლის ზაფხულში ესტონეთში სიკვდილით დასჯა გაუქმდა. ხალხში ამას არავითარი მღელვარება არ გამოუწვევია. საქმე იმაშია, რომ ლენარტ მერის ექვსი წლის პრეზიდენტობის მანძილზე სასჯელის უმაღლესი ზომა არც ერთხელ გამოყენებულა. იგი ხელს აწერდა ყველა თხოვნას შეწყალების შესახებ და ბოლოს და ბოლოს მოსამართლეებმა შეწყვიტეს სასიკვდილო განაჩენების გამოტანა. სამუდამო პატიმრები ტალინის ძველ ციხეში სხედან. საკნებში, რომლებიც ზღვაზე გადის, ერთი-ორი კაცია. მათაც აქვთ პრივილეგიები, გასეირნება, ამანათის გადაცემა, ახლობლებთან პაემნები და სხვ.

ასეთი მშვიდი, თავისუფალი, დაწყნარებული ცხოვრებით ცხოვრობს ყველა ესტონელი, ფაბრიკის მუშა და პრეზიდენტიც, ტუსაღიცა და პარლამენტარიც. მართლაც რომ კეთილი შური გაგიჩნდება ამ ქვეყნის, ხალხისა და უფრო კი იქაური ყოფა-ცხოვრების სტანდარტების მიმართ.

**მოამზადა**
**გიორგი ბეჟუაშვილმა**



# მუდამ შენს გვერდით გვიგულე, ძმაო როინ!



მეთაურო, თანამებრძოლო და მეგობარო: ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას საყვარელი მეუღლის გარდაცვალების გამო. ეს მეტად თავზარდამცემი ამბავი ჩვენთვის ძალზე მოულოდნელი იყო. თქვენ ჩვენთან არასოდეს დაგიჩივლიათ პირადი დარდისა თუ გაჭირვების შესახებ. ყოველთვის მხნედ გეჭირათ თავი, გვამხნევებდით ჩვენ. არც ერთმა ჩვენთაგანმა არ იცოდა დღემდე იმ უბედურების შესახებ, რომელიც თქვენ დაგატყდათ თავს. ის კი არადა, როდესაც თქვენი მეუღლის უეცარი გარდაცვალება გაიგეთ, ამის შესახებ არავის არაფერი გვითხარით, უხმაუროდ მარტო წახვედით, თქვით, ერთ კვირაში დავბრუნდებიო. მართლაც, მეუღლის დაკრძალვის შემდეგ უეცრად დაბრუნდით. ეს ჩვენთვის არ იყო მოულოდნელი, რადგან თქვენ ხომ ფანატიკურად გიყვართ სამშობლო, ქართველი ერი, ვერ იტანთ ქართველი კაცის გაჭირვებასა და დაბეჩავებას, ამიტომაც დგახართ ვაჟკაცურად იქ, სადაც დღეს ყველა ქართველი უნდა იდგეს. თქვენ საჯაროდ დაიფიცეთ, რომ სანამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგება, არ მოვისვენებო და პირობასასრულებთ. გაშმაგებით ებრძვით საქართველოს შინაურ თუ გარეულ მტერს. ათასობით ადამიანი გადაგირჩენიათ სიკვდილისაგან, პირადი ულუფა და ტანსაცმელი გიწილადებიათ, გზაზე დაგიყენებიათ. თქვენ ის პიროვნება ხართ, რომელიც ზრუნავს თანამებრძოლებისათვის, მათი ოჯახებისათვის სად არ დაეძებთ სარჩო-საბადებელს. ჩვენთვის გაყიდეთ ბინა, მანქანა და უკანასკნელი საოჯახო ნივთებიც. თქვენ სიმართლისათვის, მამაცობისა და ვაჟკაცობისათვის არა მარტო ქართველებს, არამედ აფხაზებსაც, ოსებსაც, ჩეჩნებსაც, ინგუშებსაც და ყველას, ვინც გიცნობთ, უყვარხართ. თქვენ ჩუმად, უხმაუროდ ჩადენილ საგმირო საქმეებს სხვა იბრალებს, თქვენ კი დუმხართ, ხმას არ იღებთ.

როდესაც ბოლოჟამს გუდაუთაში განგვიცხადეთ: „ძმებო, მე წავედიო!“ ჩვენ ყველას ცრემლები მოგვადგა, აფხაზეთის ულამაზესი ბუნება წყვდიადმა მოიცვა; თითქოსდა ბუნებამაც იგრძნო, რომ მისგან მიდიოდა ვაჟკაცი, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე იხსნა.

ბატონო როინ! ამასწინათ ჩატარდა პარტიზანული შენაერთი „თეთრი მტრედები“-ს გაერთიანებული კომიტეტის საბჭოს საგანგებო, დახურული სხდომა. სხდომამ დააკმაყოფილა თხოვნა — უმძიმესი ოჯახური მდგომარეობის გამო, თქვენი პარტიზანული შენაერთის — „თეთრი მტრედები“-ს გაერთიანებული კომიტეტების საბჭოს თავმჯდომარეობიდან გადადგომის შესახებ. საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა, რომ ამიერიდან გაერთიანებული კომიტეტების საბჭოს თავმჯდომარე არ ეყოლება. მას როტაციის წესით უხელმძღვანელებს ესა თუ ის საბჭოს წევრი. ამასთან პარტიზანული შენაერთის „თეთრი მტრედები“-ს გაერთიანებული კომიტეტების საბჭომ სამშობლოს წინაშე თქვენი უდიდესი დამსახურებისათვის მოგანიჭათ ჩვენი შენაერთის „საქართველოს ეროვნული გმირის“ უპირველესი წოდება და დაგაჯილდოვათ „დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ოქროს ორდენით“, ხოლო ობლად დარჩენილი თქვენი სამივე შვილი: რაისა, მაია და ვასილ ლიპარტელიანები ჩაირიცხნენ ჩვენი შენაერთის საპატიო წევრებად.

ძმაო როინ, თქვენ და თქვენს მეუღლეს არ გიბრძოლიათ პირადი კეთილდღეობისათვის, თქვენ კარგად იცოდით ჩვენი საყვარელი იესო ქრისტეს სიტყვები: „უადვილეს არს ნემსის ყუნწში აქლემის გაძრომა, ვიდრე მდიდრის შესვლა სასუფეველში“. ჩვენი საყვარელი და ნელი უკვე შევიდა სასუფეველში. ნათელი დაადგეს იქ და რაც მან აქ ვერ გაიხარა, მის დანატოვარ ჭეშმარიტ ქართულ ოჯახს ეხაროს თავისუფალ საქართველოში.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი მამულის გადარჩენისათვის ბრძოლაში. მუდამ თქვენთან გვიგულეთ!

***პარტიზანული შენაერთის***
***„თეთრი მტრედები“-ს***
***გაერთიანებული კომიტეტის საბჭო***

პრობლემა



# ნუ ვამახინჯებთ ქართულ ენას

კაცი იტყვის, რა შენი საქმეა ისეთ რამეზე წერა, რისი სპეციალისტი არა ხარ, სპეციალისტებმა წერონო. არ დავმალავ, დიდხანს თავს ვიკავებდი, მეთქვა თუ არა, მაგრამ მაინც, თავს უფლება ვერ მივეცი ყურები დამეცო, ან კიდევ მშვიდად მესმინა იმისათვის, თუ როგორ ამახინჯებენ ქართულს პარლამენტარები, მთავრობის წევრები, ჟურნალისტები თუ მრავალი სხვა ვინმე და ამით ჩემი თანადგომა არ გამომეხატა პირველი სატელევიზიო არხის პროგრამისათვის — „ჩვენი ენა ქართული“. განსაკუთრებით გამოვყოფ საინფორმაციო გადაცემების დიქტორებს, უფრო მეტად, ტელესერიალების მთარგმნელებსა და რეკლამების სცენარის ავტორებს.

განსაკუთრებით ყურის მომჭრელია, მეტი რომ არაფერი ვთქვა, ასო-ბგერა „კ“-ს შეკვეცა, როცა არსებითი სახელიდან ზედსართავ სახელს ქმნიან. მაგალითად, „ესთეტიკა“-დან ძალიან ხშირად აწარმოებენ ზედსართავ სახელს „ესთეტიური“, მაშინ, როცა სწორია — „ესთეტიკური“. „დინამიკა“-დან სწორია „დინამიკური“ და არა „დინამიური“; „ფანტასტიკა“-დან — „ფანტასტიკური“ და არა „ფანტასტიური“; „ეთნიკა“-დან — „ეთნიკური“ და არა „ეთნიური“; „პათეტიკა“-დან — „პათეტიკური“ და არა „პათეტიური“.

განსაკუთრებით მინდა შევეხო „ეკონომიურს“ და „ეკონომიკურს“. „ეკონომიკა“-დან იწარმოება „ეკონომიკური“, მაგრამ როცა მომჭირნეობასთან გვაქვს საქმე — „ეკონომია“, მაშინ „ეკონომიური“. განსხვავება ფორმალურთან ერთად შინაარსობრივია და ამის ცოდნა აუცილებელია.

ხშირად, რუსულის მაგივრად, ქართულში იხმარება ასო-ბგერა „ხ“, ნაცვლად „ქ“-სი. ეს უფრო ხშირად ტექნიკურ (და არა „ტეხნიკურ“) ინტელიგენციაში შეიმჩნევა, რამეთუ ისინი ყველაზე მეტად სარგებლობენ (ყოველ შემთხვევაში, სარგებლობდნენ) რუსული ან დასავლურიდან რუსულად ნათარგმნი ლიტერატურით და ურთიერთობებით რუსულენოვან ტექნიკურ ინტელიგენციასთან. ამჟამად უფრო ჩვეულებას შეიძლება მიეწეროს არსებული მდგომარეობა. ასე რომ, შეცდომაა: „ტეხნიკა“, სწორია „ტექნიკა“; არა „მეხანიკა“, არამედ „მექანიკა“ და ა. შ.

კიდევ ერთმა მეტად უცნაურმა ტენდენციამ დაიმკვიდრა ადგილი ქართულ მეტყველებაში. ასო-ბგერა „მ“ იცვლება „ვ“-თი. მაგალითად: „სვავდა“, „სვავს“. „ვსვავთ“, ნაცვლად იმისა, რომ ითქვას: „სვამდა“, „სვამს“, „ვსვამთ“, სიტყვიდან „სმა“; „ვიცვავთ“ შეცდომაა, სწორია „ვიცვამთ“; მცდარია „დაგასხავ“, უნდა ითქვას „დაგასხამ“; შეცდომაა: „დგავენ“, „დაუსვავს“, უნდა ითქვას, შესაბამისად, „დგამენ“, „დაუსვამს“.

ცუდ ხასიათზე აყენებს მსმენელს, ყოველ შემთხვევაში, მე ხასიათს მიფუჭებს, როცა „ალიონისა“ და „რუსთავი 2“-ის ეკრანიდან ისმის „აბსოლიტურად“ და არა „აბსოლუტურად“; „ლირიული“ და არა „ლირიკული“; „ელასტიური“ და არა „ელასტიკური“, მცდარად ნათქვამი „ფანტასტიური“ და არა სწორი „ფანტასტიკური“, სიტყვიდან „ფანტასტიკა“.

კიდევ ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე მინდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება.

მრავალი სხვა ენისაგან განსხვავებით ქართულ ენაში რაიმეს უარყოფა ორჯერ ხდება ერთ წინადადებაში, ე. წ. უარყოფის უარყოფის კანონი მოქმედებს. მაგალითად, შეცდომაა „ჩემთვის არაფერი აუხსნია“. მის მთქმელს უნდა ეთქვა: „ჩემთვის არაფერი არ აუხსნია“ (ლაპარაკია იმაზე, რომ ერთმა მეორეს, მისთვის საინტერესო, ან მასთან დაკავშირებულ, რაღაცასთან დაკავშირებით, ახსნა-განმარტება არ მისცა).

განვიხილოთ, ახლა, როგორც ერთი, ასევე მეორე ნათქვამი და ვნახოთ რომელი მათგანი ასახავს იმ აზრს, რისი თქმაც უნდოდა ამ წინადადების ავტორს. ამისათვის, ალბათ, ტრივიალური მსჯელობა დაგვჭირდება, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ყოველდღიურობაში ტრივიალური ჭეშმარიტებანი გვავიწყდება, გაუაზრებლად ვბაძავთ სხვას (განსაკუთრებით თარგმნისას) და ჩვენი მეტყველებით საკუთარ ენას ვამახინჯებთ.

„ახსნა“ გულისხმობს რაღაცაში ვილაცის გარკვევას, იმისაგან დამოუკიდებლად, თუ რა იგულისხმება რაღაცის ქვეშ: მოვლენა, პროცესი, ქმედება თუ სხვა სახის რეალობა. „არაფერი“ აქ ორნაირად შეიძლება გავიგოთ. ერთი გაგებით საქმე არა გვაქვს მოვლენასთან, პროცესთან, ქმედებასთან თუ რაიმე სხვა სახის რეალობასთან. ასე ვთქვათ, საქმე გვაქვს არარსებულთან. მეორე გაგებით, „არაფერი“ გულისხმობს რაღაცეების (და არა რაღაცის) არსებობას, მაგრამ არც ამის, არც იმის და არც სხვა რამის შესახებ, რაზედაც შეიძლებოდა ლაპარაკი ყოფილიყო და ერთ პიროვნებას მეორისაგან განმარტება თუ სხვა სახის ინფორმაცია მიელო, არ მიულია.

თუ „არაფერი“ მოიაზრება პირველი გაგებით, მაშინ რაც არ არსებობს (და არ არსებულა), იმისი ახსნა შეუძლებელია, არარსებულის ახსნაზე საუბარი კი უაზრობაა. ასე რომ, ამ გაგებით შეცდომაა — „ჩემთვის არაფერი აუხსნია“. მეორე გაგებით „არაფერი“ მოითხოვს იმის ხაზგასმას, რომ რაღაც მოსახდენი არ მომხდარა. მაშასადამე, ერთს მეორისათვის უნდა აეხსნა და არ აუხსნია. მაშინ სწორია „ჩემთვის არაფერი არ აუხსნია“ და არა „ჩემთვის არაფერი აუხსნია“.

თუ მკითხველი ჩემს აქ გამოთქმულ მოსაზრებებს იზიარებს, ადვილად დამეთანხმება, რომ შეცდომაა „შეურაცხყოფის უფლებას არავის მისცემს“, სწორია „შეურაცხყოფის უფლებას არავის არ მისცემს“; შეცდომაა რეკლამაში გაცხადებულ „ჩვენ გვიყვარს „ორბიტი“ იმიტომ, რომ არაფერია მასზე გემრიელი“, ხოლო სწორი იქნებოდა, რომ იყოს „ჩვენ გვიყვარს „ორბიტი“ იმიტომ, რომ არაფერი არაა მასზე გემრიელი“; უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება, რადგან უცხო ენის (მაგალითად, ინგლისურის) მსგავსად აზროვნებას ვეჩვევით და მას ვბაძავთ.

ბოლო ხანებში სამთავრობო თუ პარტიულ წრეებში ფეხს იკიდებს კიდევ ერთი შეუსაბამობა. ყრილობაზე დამპატიჟესო, გაიგებთ; მთავრობის სხდომაზე დამპატიჟესო. საქმე ისაა, რომ ოფიციალურ ღონისძიებაზე მიპატიჟებას ქართულში მიწვევა ჰქვია და არა დაპატიჟება, გვახსოვდეს ეს.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ქართველები ვართ და ქართულ ენას ჩვენს მეტი დამცველი არავინ არა ჰყავს, ჩვენი ხელისუფლებაც კი.

რევაზ სალია.



# ვინ აპოვნინებს სამართალს გოჩა ჯიქიას მშობლებს?!..

გოჩა ჯიქია ერთ-ერთი იმათთაგანია, ვინც თავის დროზე გაითავისა ეროვნული მოძრაობის სულისკვეთება და ზურგი შეაქცია ტოტალიტარული რეჟიმის შემქმნელ პარტიას — კომუნისტურ პარტიას. ეს ახალგაზრდა კაცი საკმაოდ ნიჭიერი არქიტექტორი იყო. მუშაობდა ქუთაისში, ქალაქპროექტში, ყავს მეუღლე, შვილი. ითვლებოდა შესანიშნავ მოქალაქედ, ინტელიგენტად, ოჯახის მამად. ქვემოთ მკითხველი გაეცნობა 1990 წლის 23 აპრილს ქუთაისის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე გოჩა ჯიქიას გამოსვლის ტექსტს და აქედან გამომდინარე, ქუთაისის კომპარტიის საქალაქო კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივნისადმი, ამჟამად იმერეთის მხარის გუბერნატორისადმი, თემურ შაშიაშვილისადმი მიწერილ წერილს, საიდანაც აშკარად იკვეთება ამ ახალგაზრდა კაცის პატრიოტული შემართება.

1992 წელს სამეგრელოს ბანდფორმირებები შეუსიეს დაააწიოკეს, სულში ჩააფურთხეს. ბევრი იქაური მცხოვრები დაუნდობლად მოკლეს და მათ შორის გოჩა ჯიქიაც მხეცურად დახვრიტეს ქ. ზუგდიდის ცენტრში, დღისით-მზისით, მშობლების თვალწინ. მკვლელის ვინაობა კარგა ხანია ცნობილია, მაგრამ მისი მფარველების წყალობით არათუ დაიჭირეს, თმის ბეწვიც კი არ ჩამოვარდნია თავიდან. ვინ, რატომ, ვისი დავალებით, რა მიზეზით გამოასალმეს წუთისოფელს ეს ნიჭიერი ზუგდიდელი კაცი, გაირკვევა მაშინ, როცა მკვლელთა სასამართლო შედგება. სასამართლომდე კი, როგორც ჩანს, ჯერ შორია, რადგან მიუხედავად მშობლების სხვადასხვა ინსტანციებში კარდაკარ სიარულისა, ხელისუფლებისადმი სხვადასხვა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მოქალაქეების და ა. შ. მიმართვისა, ყურს არავინ აპარტყუნებს და მკვლელიც თავისუფლად დასეირნობს. არადა, კაცმა რომ თქვას, არც უნდა ველოდოთ სამართალს იმ ხელისუფლებისგან, რომელმაც თავად დაწერა სამეგრელოს აოხრების სცენარი და განახორციელა კიდეც.

რაც შეეხება ხელისუფალთა ყბადაღებულ დემოკრატიას, ეს იმ ანდაზას გვაგონებს, კედელს რომ ცერცვს აყრიან, მაგრამ მაინც ვერაფერს შეასმენენ. ამათაც, გადემოკრატებულ კომუნისტებს, ვერაფერს შეასმენ კაცი, რადგანაც მათ სიმართლისათვის ყურიც დახშობილი აქვთ და სმენაც. თუმცა, იმედს მაინც არ კარგავენ შვილმკვდარი მშობლები, ხელისუფლებმა იქნებ თვალშიც გამოიხედონ, სმენაც დაუბრუნდეთ და გახევებული გულიც მოულბეთო...

## გოჩა ჯიქია

## სიტყვა ქუთაისის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე. 1990 წლის 23 აპრილი

მთელი სახელმწიფოს მასშტაბით მიმდინარეობს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტა საქართველოში უნდა მოხდეს ამ მთავარი საკითხის გათვალისწინებით.

ამჟამად რესპუბლიკაში მოქმედი ყველა დაჯგუფება თუ ორგანიზაცია ერთიანდება თავისუფლების დროშის ქვეშ. ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც განზე დგას, მოთვალთვალის, მოწმის როლში გამოდის, კომუნისტური პარტიაა. ამით მან ფაქტიურად უკვე გამოუტანა თავისთავს განაჩენი. პარტია განუდგა საზოგადოებას, საზოგადოება განუდგა პარტიას.

ვიცით თუ რა ხდება ბალტიისპირეთში. ქართველებსა და ბალტიისპირელებს მიზნები ერთნაირი გვაქვს, გზები კი ამ მიზნის მისაღწევად თავიდანვე განსხვავებული. თუ ლიტველებმა, ლატვიელებმა და ესტონელებმა მოსკოვს ნელ-ნელა, შეიძლება ითქვას, ეშმაკურად შეაპარეს თავიანთი გულის წადილი, საქართველოს ეროვნულ მოძრაობას არ უთხოვია ცენტრისათვის რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიში, ეკონომიკური დამოუკიდებლობა, არც სხვა წყალობა, ყოველგვარი თვალთმაქცობის გარეშე, პირდაპირ, დაუფარავად განაცხადა თავისი მიზანი მამულის სრული

გაგრძელება მე-10 გვერდზე

საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ზურაბ ჟვანიას
იმერეთსა და სამეგრელოში პრეზიდენტის რწმუნებულებს, ბატონებს: თემურ შაშიაშვილს და ბონდო ჯიძიას
საქართველოს პარლამენტის ყველა ფრაქციასა და კომიტეტს,
საქართველოს ყველა პოლიტიკურ პარტიას,
სახალხო დამცველს, ბ-ნ დავით სალარიძეს
ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტს, ბ-ნ გიორგი კერვალიშვილს
სახელმწიფო და თავისუფალი გაზეთების რედაქციებს,
ტელერადიო კორპორაციის თავმჯდომარეს ბ-ნ ზაზა შენგელიას
გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას

შვილმოკლული დედ-მამის
თამარ შერაზადაშვილის და ჭიჭიკო ჯიძიას

## განცხადება

მერვე წელია, სამართლის მომლოდინე, შვილის დახვრეტის თვითმხილველი დედ-მამა, ვდგავართ პარლამენტის, მთავრობის და პრეზიდენტის აპარატის წინაშე, ვდგავართ უშედეგოდ. არ გვეგონა, ჩვენი შვილის გოჩა ჯიქიას მკვლელს მფარველობას თქვენც თუ გაუწევდით.

სადაა სახელმწიფო, კანონი, სამართალი!

თქვენ ზუგდიდის რაიონის საკრებულოს მკაცრი მოთხოვნაც კი რეაგირების გარეშე დატოვეთ. 24 მარტს მიღებული მომართვა დღემდე განუხილველია. განუხილველია აგრეთვე საზოგადოება „ზუგდიდელის“ გასული წლის მომართვაც და შემორიგების კომისიის მოთხოვნა. ამის შემდეგ რისი იმედი უნდა ვიქონიოთ?

ერთ კვირაში პარლამენტი საზაფხულო არდადეგებზე წავა და ამით მეორე მოწვევის პარლამენტი, ფაქტიურად, მუშაობას დაამთავრებს. ჩვენ კი, გამწარებულ დედა-მამას, ალბათ, კვლავ მოგვიწევს ახალ პარლამენტში კარიდან კარამდე სირბილი. იმ ახალ პარლამენტშიც, იგივე ჭიქაბერიძეები, მაჭავარიანები, ბურჯანაძეები და მათნი მსგავსნი, კვლავ გაუწევენ მფარველობას მკვლელ ჯალათებს.

გამოჩინეთ ვაჟკაცობა და გვითხარით სიმართლე! აღიარეთ, რომ თქვენ – დღევანდელ ხელისუფალთ გჭირდებოდათ გოჩა ჯიქიას სისხლი, რომ სამეგრელოს რეგიონში თქვენს მიერ იყვნენ მოვლინებული მკვლელი ჯალათები და თქვენს დავალებას ასრულებდნენ. ამიტომაც ვერ აძლევთ თავს უფლებას, დასაჯოთ ისინი. მაშ, რა ძალით გიპირისპირდებათ გვარდიის სამმართველოს უფროსი ჯემალ ჭუმბურიძე? განა მისი სიტყვები არაა: „არც ატომური ბომბის მეშინია, არც შევარდნაძის, არც ნადიბაიძის, არც კვირაიასი და არც თარგამაძის“?! და კიდევ: „ვიღაც მეგრელის გულისათვის გიორგაძე დაჯდესო“? განა ის არ იმუქრება სახელმწიფო გადატრიალებით? ისიც ხომ ფაქტია, რომ ჩვენი შვილის მკვლელი ვახტანგ გიორგაძე არსად არაა გაქცეული, იგი საქართველოშია გვარშეცვლილი და არხეინად დაპარპაშებს მკვლელობაში მონაწილეებთან ერთად.

თუ თქვენ გოჩა ჯიქიასა და სხვა უამრავი მეგრელის სისხლით გამძღართა და გალეშილთა იმედით დემოკრატიულ სახელმწიფოს აშენებთ, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

ვიტოვებთ იმედს, რომ ამჯერად მაინც გაკეთდება რეალური დასკვნა: ან მკვლელის აყვანა და სათანადოდ დასჯა, რისთვისაც ბატონი პრეზიდენტის ერთადერთი ბრძანებაც კმარა, ან იმედის გადაწყვეტა და ლოდინი სიკვდილისა.

ველით პასუხს!

თამარ შერაზადიშვილი,
ჭიჭიკო ჯიძია.
384703. ზუგდიდი, გოჩა ჯიქიას 37.

# ღია წერილი ბატონ ლევან ბერძენიშვილს

## ანუ შეიძლება თუ არა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი იყოს ეროვნულობის სასტიკი მოწინააღმდეგე ?!..

ბატონო ლევან! ამ ცოტა ხნის წინათ, თქვენს ერთ-ერთ მორიგ სატელევიზიო შოუგამოსვლისას, განაცხადეთ, რომ საქართველოში მართლმადიდებლობა არ არსებობსო.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, დღეს საქართველოში ისეთი ქაოსური სიტუაციაა, ლევან ბერძენიშვილის ასეთი განცხადება კი არა, ატომური ბომბი რომ ააფეთქოს ვინმემ, იმასაც არ მიაქცევენ ყურადღებას, რადგან — ერთნი სავარძლების შესანარჩუნებლად იბრძვიან, მეორენი სავარძლების მოსაპოვებლად, მესამენი დიდი ფულისა და ქონების დასაგროვებლად, მეოთხენი — მათხოვრობენ, მეხუთენი — ლუკმა-პურის მოსაპოვებლად დარბიან დილიდან საღამომდე და ა.შ.

ამიტომაა, რომ ლევან ბერძენიშვილის ეს განცხადება, რომელიც მეხივით უნდა გავარდნილიყო მთელს საქართველოში, რადგან იგი შორს მიმავალია, თითქმის რეაგირების გარეშე დარჩა და რჩება.

ბატონო ლევან! ასე მგონია, თქვენ უკვე უკანასკნელ ზღვრამდე მიხვედით საქართველოს მიმართ — საქართველოში ეროვნულობის წინააღმდეგი ხართ (რასაკვირველია, ქართულის, თორემ სომხები, აფსუები და სხვები რომ თქვენს ანკესს არ წამოეგებიან, ცხადია), პატრიოტიზმის ანუ სამშობლოს სიყვარულის გაგონებაც არ გინდათ, მამის სახელი ხომ თქვენთვის ზედმეტია და ზედმეტი, ტერიტორია ისედაც აღარ გაგვაჩნია და თქვენისთანების გულის გასახარად კიდევ უფრო მცირდება (აგერ, თურმე, სამაჩაბლოში, დღისით-მზისით, სანგრებს გვითხრიან), ერთადერთი მართლმადიდებლობა ანუ ქრისტიანული რწმენა ცდილობს აღორძინებას (ისიც ყველას გულში არა, რასაკვირველია) და ისიც თვალებში გეჩხირებათ.

თქვენ და თქვენისთანები ყველაფრისაგან დაცლილი და „თავისუფალი" საქართველოს მომხრენი ხართ.

ისეთი თავისუფლება და სამოქალაქო საზოგადოება, რასაც თქვენ მოითხოვთ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არაა, ე.ი. ეროვნულობის, პატრიოტიზმის, მამის სახელის, რწმენის, იდეურობისა და ეკლესიისგან და მათი მსგავსი კატეგორიებისაგან თავისუფალი ქვეყანა რომელია მსოფლიოში?

ეგეც არ იყოს, აბსოლუტური თავისუფლება საგიჟეთშიც არაა — ზოგი ძლიერადაა გაგიჟებული, ზოგი — საშუალოდ, ზოგიც დამწყებია და თქვენ საქართველოში გინდათ გაასწოროთ ყველაფერი?

ბატონო ლევან! თქვენი ამ ბოლო განცხადებით თუ ვიმსჯელებთ, ასე მგონია, თქვენ ნებსით თუ უნებლიედ, ჩართული ხართ იმ დიდ საგრანტო პროგრამაში, რომელსაც სახაროვბონერ (ალიხანიანი) — ზატულინმიგრანიანის (პლიუს გარეშე მტრები და შინაური კოსმოპოლიტები) გეგმით — „უქართველო საქართველო" ჰქვია და რომელიც ასე წარმატებულად ხორციელდება შინაურთა თუ გარეულთა ხელით.

თქვენზე ამბობენ, დისიდენტი იყოო. საოცარია, ღმერთმანი — ეროვნულობის, პატრიოტიზმის, მამის სახელის, ეკლესიის წინააღმდეგი კაცი და დისიდენტი?

თქვენ სამოქალაქო საზოგადოების აშენებას ქადაგებთ. ყველაფრისაგან დაცლილი და თავისუფალი საზოგადოება რატომ გინდათ ააშენოთ მაინცდამაინც საქართველოში?

ამ დღეებში მასმედია აცხადებდა — სამაჩაბლოში რუსები სანგრებს თხრიან და რაღაც ომისათვის ემზადებიანო. ასე გვეგონა, თქვენ, როგორც ყოფილი დისიდენტი და თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების მშენებელი, საჯაროდ ბდღვინს ადენდით რუსებს ამის გულისათვის, მაგრამ მსგავსი რამ ჯერ არ გამიგონია. როგორც ჩანს, თქვენ და თქვენს თანამოაზრეებს, სხვა ყველაფერთან ერთად, — აფხაზეთის, სამაჩაბლოსა და ა.შ. სხვა რეგიონებისაგან „თავისუფალი" საქართველო გაწყობთ.

ბატონო ლევან! ვაი იმ ერს, რომლის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი ეროვნულობის სასტიკი წინააღმდეგი ადამიანი იქნება და რომლის პოეტები საჯაროდ ამაყად განაცხადებენ — პატრიოტიზმი გარეწართა თავშესაფარიაო.

სხვათა შორის, თქვენ, კოსმოპოლიტები, რატომღაც ვაჟა-ფშაველასკენ იშვერთ ხელს, მაგრამ, მე რამდენადაც მახსოვს, ვაჟას სულ სხვანაირი შეხედულება ჰქონდა პატრიოტიზმსა და კოსმოპოლიტიზმზე.

ვაჟა ამბობდა: — პატრიოტიზმი საკუთარი ერის სიყვარულსა და სხვა ხალხთა პატივისცემას გულისხმობსო.

ვისაც საკუთარი ერი უყვარს, ის სხვა ხალხებსაც აფასებს და ამდენად, კოსმოპოლიტიაო, მაგრამ კოსმოპოლიტები პატრიოტები არ არიან, რადგან მათ თითქოს ყველა უყვართ და სინამდვილეში კი არავინო; ამასთან, ვისაც საკუთარი ხალხი არ უყვარს, ის სხვასაც ვერ დააფასებსო და ა.შ. გთხოვთ, კარგად წაიკითხოთ ვაჟაფშაველა!

თუ ვაჟას შეხედულებას და ჩვენი ზოგიერთი პოეტის საყვარელ თქმას გავითვალისწინებთ, ჩვენ შეიძლება ასეთი მაქსიმა შემოგთავაზოთ — ყველა ნამდვილი პატრიოტი აგრეთვე კოსმოპოლიტია, მაგრამ ყველა პატრიოტიზმისაგან დაცლილი კოსმოპოლიტი — გარეწარი.

არ ვიცი მოგეწონებათ თუ არა, მაგრამ ეს ნამდვილად რომ ასეა, ამას დღევანდელი საქართველო ადასტურებს.

ბატონო ლევან! აი, ჩემს წინ დევს ალენ დალესის გენიალური პროგრამა (გენიალური თავისი ცინიზმით) სსრკ-ს დაშლისა, რომლის დებულებებს ასე წარმატებით ნერგავენ და ახორციელებენ საქართველოში გარეშე მტრები თუ შინაური კოსმოპოლიტები.

აი, ზოგიერთი მათგანი — „ჩვენ შეუმჩნევლად, მაგრამ აქტიურად და მუდმივად შევუწყობთ ხელს ჩინოვნიკების, მექრთამეების თავნებობას, უპრინციპობას; ბიუროკრატიზმი აყვანილი იქნება სათნოების სიმაღლეზე..." როგორ ფიქრობთ, თქვენი ყველაფრისაგან თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების პრინციპები ხომ არ თავსდება ზემოთმოყვანილ დოგმებში.

„პატიოსნება და წესიერება გამასხარავებული და არავისთვის საჭირო აღარ იქნება, იგი წარსულის გადმონაშთად გამოცხადდება... უზრდელობა და თავხედობა, ცილისწამება და მაწანწალობა, ლოთობა და ნარკომანია, ცხოველური შიში ერთმანეთისადმი... უსირცხვილობა... ყველაფერი ეს ოსტატურად იქნება კულტივირებული და აყვავდება მძაფრი ფერებით".

ბატონო ლევან! დღეს ეს ყველაფერი თავზესაყრელადაა საქართველოში და ალბათ, ამაში ხედავენ კოსმოპოლიტები თავისუფალ სამოქალაქო საზოგადოებას.

შემდეგ — „ჩვენ ვიბრძოლებთ ადამიანების გასარყვნელად ბავშვობისა და ყრმობის ასაკიდან, ყოველივეს გავაკეთებთ, არჩევანს ახალგაზრდობაზე, რომ მოვთაფლოთ და გავხრწნათ ისინი". — იხილეთ ჩვენი ტელეარხების სერიალები და პორნოფილმები, ასევე უკონტროლო პორნოგრაფიული გამოცემანი.

ნუთუ ყველაფერი ზემოთქმული თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების ატრიბუტებია?

ნუთუ საზოგადოების ასეთი დაცემა და გახრწნა, რაც დალესის დოქტრინაშია მოცემული და რაც ასე წარმატებით ინერგება საქართველოში, თქვენს გულს, იდეებს, მიზნებს, აზრებს ესადაგება და ესალბუნება?

და ისინი ეროვნულობისაგან, პატრიოტიზმისაგან, რწმენისაგან დაცლილი თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების ატრიბუტებად მიგაჩნიათ?

თუ ყველაფერი ეს ასეა, მაშინ ბატონო ლევან, ნება მიბოძეთ ასეთი კითხვა დაგისვათ — ნუთუ არ გეუხერხულებათ ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორობა კაცს, როელიც ლომივით იბრძვით (სახელს ამართლებთ) ყოველგვარი ქართული ეროვნულობის, პატრიოტიზმის, ენისა და ეკლესიის წინააღმდეგ?

ვინ იცის, იქნებ კაბინეტში მარტოდ დარჩენილს ჰომერული ხარხარი აგივარდებათ ხოლმე, ჩვენი საზოგადოების სიცვედნის გამო, რომელმაც ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენათ.

დაბოლოს, პოეტის სიტყვებით დავამთავრებ:

„ვისაც არ უყვარს მშობელი დედა
ის მის მაგივრად ვის შეიყვარებს?"

ბატონო ლევან! საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და ნუთუ არ გეშინიათ; ღვთისმშობელი არავის აპატიებს საქართველოს უქართველობას, ამიტომ უნდა გახსოვდეთ — საქართველო — უპირველეს ყოვლისა.

**პატივისცემით ბიძინა თავაძე**
*საქართველოს ბუნებისა და ისტორიულ ფასეულობათა დაცვის ასოციაცია „ფესვების" პრეზიდენტი*

**რედაქციისაგან: ბ-ნ ლევან ბერძენიშვილის თაოსნობით ერთი კარგი საქმე გაკეთდა: გამოიცა სახელმძღვანელო „ინტერნეტი ჟურნალისტებისათვის". უსიამოდ გაგვაკირვა მხოლოდ ერთმა ფაქტმა. 84-ე გვერდზე, „ახალ ამბებში" დარგობრივი თემები არ არის, არის გამოყოფილი მხოლოდ „სექსუალურ უმცირესობათა ახალი ამბები". რას მივაწეროთ ეს, შემთხვევითობას თუ ინტერნეტი გვკარნახობს ასე?**

**არქიტექტორთა საზოგადოების ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს**

ქართველ არქიტექტორებს ბევრი პრობლემა აქვთ მოსაგვარებელი, მაგრამ დღეს ერთ კონკრეტულ და მეტად მტკივნეულ საკითხზე მივაპყრობთ თქვენს ყურადღებას. ზოგიერთი „გავლენიანი" კერძო სტრუქტურის მიერ ქალაქის ცენტრში მშენებლობებმა ერთი დაუშვებელი ტენდენცია დაამკვიდრა: „ზედმეტი" ხარჯების თავიდან აცილების მიზნით, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში „თავისუფალი" მიწის ნაკვეთების მითვისება. შედეგად ქალაქის სკვერებში, პარკებში, ტროტუარებზე განთავსდა რესტორნები, სახინკლეები, ავტოგასამართი სადგურები და სხვა დანიშნულების ობიექტები. ასეთი ნაგებობებისათვის დროებითი სარგებლობის უფლებით გაცემული მიწის ნაკვეთი გადადის კერძო საკუთრებაში და დიდ პრობლემას უქმნის დედაქალაქს.

სამწუხაროდ, ჩვენი ქალაქის ხელმძღვანელობამ და მისმა სათანადო სამსახურებმა დღემდე ვერ შეაჩერა ზემოთ აღნიშნული პროცესები, რის შემდეგაც ახალი მძიმე ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით — მარჯანიშვილის ქუჩაზე, მიმდინარე რეკონსტრუქციის ზონაში, „მაკდონალდსის" რესტორნის მშენებლობა დაიწყო!

რკინა-ბეტონის კონსტრუქციებში გადაწყვეტილი, სარდაფიანი, ორ სართულიანი „დროებითი" შენობისათვის ის მიწის ნაკვეთია გამოყოფილი, რომელიც თავის დროზე, ქუჩის სავალი ნაწილის გაფართოებისა და მის ქვეშ ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელების მშენებლობებისათვის განთავისუფლდა.

„მაკდონალდსის" აღმასრულებელი დირექტორის განცხადებით (გაზეთი „ალია" №105 06.07.1999 წ.) ეს დროებითობა 10-15 წლიანი ვადით განისაზღვრება, რაც იმას ნიშნავს, რომ მარჯანიშვილის ქუჩის რეკონსტრუქციის პროექტით გათვალისწინებული მშენებლობა მინიმუმ 10-15 წელი ვერ გაგრძელდება; არადა სამუშაოების ნახევარი უკვე განხორციელებულია და სოლიდური თანხებია დახარჯული. რეკონსტრუქციის ზონიდან გაყვანილია 240 ოჯახი, რომელთა დიდი ნაწილი გარანტიების საფუძველზე 14 წელია ელოდება ახალ ბინებში შესახლებას.

## არქიტექტურული საზოგადოება რესტორან „მაკდონალდსის" წინააღმდეგ

იმის მაგივრად, რომ ქალაქის ცენტრის ამ პრესტიჟულ უბანზე მშენებლობის მსურველთა ფინანსები მიმართული იქნას დარჩენილი ამორტიზებული სახლების ძალებად და რეკონსტრუქციის პროგრამის გასაგრძელებლად — ხდება პირიქით, „მაკდონალდსის" რესტორნის სახით შუა ქუჩაში ჩნდება ახალი, ხელოვნური ბარიერი, რის გამოც მარჯანიშვილის ქუჩა კიდევ დიდხანს ვერ შეასრულებს ქალაქის გენერალური გეგმით მასზე დაკისრებული განივი მაგისტრალის ფუნქციას და ამით ატროფირებული იქნება ტრანსპორტის მოძრაობა.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქის მთავარ არქიტექტორთან არსებული საბჭოს წევრებმა და მარჯანიშვილის ქუჩის რეკონსტრუქციის პროექტის ავტორებმა დაუშვებლად მიიჩნიეს რესტორნის ისეთ ადგილას განთავსება, რომელიც ხელს შეუშლის პერსპექტიულ მშენებლობას. მათ მიერვე შეთავაზებული იყო რესტორნის შენობის განაშენიანების კომპლექსში მუდმივად გათვალისწინების ალტერნატიული ვარიანტები, მაგრამ „მაკდონალდსის" მესვეურებმა არ გაითვალისწინეს არქიტექტორების აზრი და სასწრაფოდ დაიწყეს მშენებლობა „დროებით" გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე.

ჩვენთვის სავსებით გასაგებია, თუ რა სიკეთე შეიძლება მოუტანოს „მაკდონალდსმა" ქვეყანას, მაგრამ ეს ვერ გადასწონის იმ მატერიალურ თუ მორალურ ზარალს, რომელიც ამ ადგილას რესტორნის აშენებას მოჰყვება. ქალაქის ინტერესების დაცვა მხოლოდ არქიტექტორთა მოვალეობა არ არის, ამაზე ყველა მოქალაქემ უნდა იზრუნოს.

არქიტექტურული საზოგადოება აღშფოთებულია ქალაქის სასიცოცხლო ინტერესების საწინააღმდეგოდ მიმართული ასეთი ანსტისახელმწიფოებრივი ქმედებით, თავს შეურაცხყოფილად გრძნობს კომპეტენტური აზრის უგულებელყოფის გამო და იძულებული გახდა ამ პრობლემის გადასაწყვეტად, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის, თქვენთვის მოემართა.

1. გ. მირიანაშვილი
2. ნ. მგალობლიშვილი
3. თ. თევზაძე
4. გ. მეტრეველი

**სულ 118 არქიტექტორის ხელმოწერა**

*მათ შორის: არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიკოსები, პროფესორები, წევრ-კორესპონდენტები, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორები, არქიტექტურის დოქტორები და ტექნიკური საბჭოს წევრები, მარჯანიშვილის ქუჩის რეკონსტრუქციის პროექტის ავტორები.*

# დალის სვანეთის უხუცესთა საბჭოსა და თბილისის უხუცესთა საბჭოს საინიციატივო ჯგუფის მიმართვა

**დალის (კოდორის) სვანეთის უხუცესთა საბჭო და თბილისის უხუცესთა საბჭოს საინიციატივო ჯგუფი ვგმობთ კოდორის ხეობაში ა. წ. 9 ივლისს მომხდარ ინციდენტს და მოვითხოვთ:**

1. სათანადო ორგანოებმა ობიექტურად გამოიძიონ საქმის ვითარება, მისი გამომწვევი მიზეზების საფუძველთა საფუძველი და კანონის შესაბამისად მიიღონ ზომები.

საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ მხოლოდ ამ აქტის იდეურ მამათა ვინაობის გამოაშკარავებით და დასჯით შეიძლება ინციდენტის ჭეშმარიტი მიზეზების დადგენა. ამასთან, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ საქმის ნამდვილი მიზეზების მიჩქმალვა და ტენდენციური გამოძიება ხეობაში არსებულ ვითარებას კიდევ უფრო დაძაბავს და უკიდურესად გაამწვავებს.

2. ყველა პირმა, ორგანიზაციამ, მასმედიამ დაუყოვნებლივ შეწყვიტოს დალის სვანეთის გმირი მოსახლეობის უხამსი ცილისწამება, — თითქოს იქაურ ქართველობას „თავისუფალი სვანეთის" სეპარატისტული ვაი იდეა და ბუნებაში ისტორიულად არარსებული „სვანური ტერორიზმი" ამოძრავებდეს.

საქართველოს ყოველი კუთხის შვილთათვის სეპარატიზმის ცილისწამება არის ქართველი ერის მტრის მონაჩმახი!

დალის სვანეთის ქართველობა, მთელს ქართველ ერთან ერთად იყო, არის და იქნება სამშობლოს ერთიანობისა და კეთილდღეობისათვის მებრძოლი!

ღმერთო, ადიდე ერთობილი საქართველო და ერთობილნი სვანნი!

**ვაჟა ავალიანი**, დალის სვანეთის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე;
**კობა არაბული**, მწერალთა გაერთიანება „ბახტრიონის" თავმჯდომარე, ეროვნული ტრადიციათა ცენტრის („ოქროს აკვანი") პრეზიდენტი;
**გერონტი გასვიანი**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აფხაზეთის რეგიონული აკადემიის აკადემიკოსი;
**მერაბ ელიოზიშვილი**, მწერალი;
**გიორგი თოდრია**, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი;
**თეიმურაზ მიბჩუანი**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგე, ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, აფხაზეთის რეგიონული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი;
**ზურაბ რატიანი**, მწერალი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აფხაზეთის რეგიონული აკადემიის აკადემიკოსი;



**ლევან ფრუიძე**, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი მუშაკი;
**შოთა ჩართოლანი**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დასავლეთ საქართველოს მთიანეთის რეგიონული განყოფილების გამგე;
**მალხაზ ცინდელიანი**, მეცნიერი მუშაკი;
**მამუკა ცეცხლაძე**, ლიტერატორი;
**ნონა ჭკადუა**, ჟურნალისტი;
**რევაზ ხვისტანი**, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი;
**ჯემალ ჭანუაშვილი**, იურისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერვე გვერდიდან

# ვინ აპოვნინებს სამართალს გოჩა ჯიქიას მშობლებს?!..

განთავისუფლებისა. ნურც ჩვენ ვუღალატებთ გულწრფელობის ამ ტრადიციას.

გამოვთქვათ ჩვენი აზრი, უნდა გადაწყდეს პარტიის ბედი, მომავალი. მაგრამ როგორი უნდა იყოს ეს გადაწყვეტილება? რა თქმა უნდა, გულწრფელი, რეალისტური, არც თავი მოვიტყუოთ, არც სხვა მოვატყუოთ, გავამხილოთ გასამხელი.

კომპარტია დღითიდღე კარგავს ფუნქციებს, საქართველოში კი მას ხელიდან გამოეცალა ყველა დანიშნულება, ერთი სავალალო დანიშნულების გარდა: საქართველოს კომპარტია ლაგამია და მათრახი მოსკოვის ხელში, რომელი „მოკაზმულობითაც" გვიმორჩილებენ და გვმართავენ ისე, როგორც მათ სწადიათ. და, თუ ეს ასეა, მოვიკრიბოთ გამბედაობა, ძალა, უნარი, ყალყზე დავდგეთ და მოვიშოროთ ის მძიმე უღელი, რომელიც მოსკოვს მისთვის ჩვეული ხრიკებითა და ოინებით ჩვენთვის მოურგია.

მოსახდენი უნდა მოხდეს, დღეს თუ არა, ხვალ, ზეგ. ჩვენც ნუ გავჯიუტდებით, ნუ გავაჭიანურებთ, ვაღიაროთ, მოვინანიოთ ნებით თუ უნებლიედ ჩადენილი ჩვენი ცოდვები.

უნდა შევურიგდეთ იმ აზრს, რომ პარტია — ეს საიდუმლოებით მოცული ურჩხული, რომლის ნაწილი ჩვენცა ვართ, დამარცხდა — დამარცხდა ჭეშმარიტებასთან ბრძოლაში და მან „დამარცხებულის ღირსებით" უნდა დატოვოს ასპარეზი.

საქართველოს კომპარტიის გამოყოფა საკავშირო კომპარტიისაგან, ან სხვა ნებისმიერი ცდა თვითგადარჩენისა, ვერაფერს შეცვლის. ეს აქცია მხოლოდ მომაკვდავის კრუნჩხვებს მოგვაგონებს. ხავსს ნუ ვეჭიდებით, კომპარტია ვერასოდეს ჩადგება ერის სამსახურში. მან დაკარგა ამის მორალური უფლება.

თქმულიდან გამომდინარე...

ვინაიდან პარტიის ინიციატივით დაწყებული ეგრეთწოდებული „პერესტროიკა" მორიგი დემაგოგიური, თვალთმაქცური ლოზუნგია და, როგორც სხვა ლოზუნგებს, განხორციელება არ უწერია.

ვინაიდან ფაქტიურად კომპარტიის მიერ ორგანიზებული 9 აპრილის ტრაგედიიდან მთელი წელი არ მოხდა დამნაშავის გამოვლინება და დასჯა.

ვინაიდან ეჭვგარეშეა კორუფციის ბოგინი სკკპ ცეკაში და მის სამდივნოში,

ვინაიდან კომპარტია ეროვნული მოძრაობის გზაზე დამაბრკოლებელი ბარიერია,

ვინაიდან საქართველოს კომპარტიამ ფაქტიურად დაკარგა ფუნქციები ერის წინაშე,

ვინაიდან ლიტვის რესპუბლიკის მიერ თავისუფლების, დამოუკიდებლობის აღდგენას პარტიამ დაუპირისპირა ბინძური აქციები, პროვოცირებს შუღლს ერთა შორის,

ვინაიდან პარტია აღარ გვიტოვებს მისი გამოსწორების არავითარ იმედს —

მოგმართავთ, მხარი დავუჭიროთ იდეას საქართველოში კომპარტიის თვითლიკვიდაციისას.

მათ კი, ვინც თავს ჭეშმარიტ მარქსისტებად თვლიან, ჩამოაყალიბონ ახალი, დამოუკიდებელი მარქსისტული ან კომუნისტური პარტია.

დანარჩენი პოლიტიკური პარტიების გვერდით თანასწორუფლებიანობისა და დეპრივილიგირების ატმოსფეროში, შეიძლება იარსებოს მარქსისტულ იდეების მატარებელმა პარტიამ, რომელსაც არ ექნება პრეტენზია იმ საკუთრებაზე, რომელიც დღეს კომპარტიის ხელშია.

უძრავ-მოძრავი პარტიული ქონების ნაწილი უნდა გადაეცეს სახელმწიფო ორგანოებს, ნაწილი კი, პროპორციულად განაწილდეს ყველა არსებულ პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის.

*23 აპრილი 1990 წელი.*

**კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს თეიმურაზ შაშიაშვილს**

ბატონო თემურ!

არამც და არამც მე თქვენთან დისკუსიის გამართვას არ ვაპირებ. ამ ბარათს მხოლოდ განმარტებითი ხასიათი აქვს.

ჩემი გამოსვლის შინაარსი პარტკონფერენციაზე, სამწუხაროდ, თქვენს მიერ როგორც დეტალებში, ისე მთლიანობაში ვერ იქნა გაგებული სწორად. დეტალებს თავი დავანებოთ. გეტყვით მხოლოდ პრინციპულზე:

ნებისმიერ სუბიექტს, თქვენ იქნებით ეს, მე, თუ სხვა, არ შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია მისი აზრის ჭეშმარიტებაზე. არც მე გამაჩნია ჩემი უტყუარობის გარანტია, მაგრამ ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული იმაში, რომ გამოთქმა მოსაზრებისა პარტიის თვითლიკვიდაციაზე იმ გარკვეულ დროს, იმ გარკვეულ აუდიტორიაში, დროულიც იყო და აუცილებელიც.

თქვენ პროფესიონალი პოლიტიკოსი ბრძანდებით და ეჭვი არ მეპარება იმაში, ყველა ვარიანტი, აზრი, ვერსია, ათასჯერ რომ გაქვთ გადასინჯული, მაგრამ რატომ გგონიათ, რომ სხვა ზღაპრებს ყვება, გუშინ და გუშინწინ დანჯღრეულ ავტობუსებსა და მიტინგებზე ყურმოკრულს, იგივე პრობლემებს, რომლებიც არ გაძლევენ თქვენ მოსვენებას, ჩვენთვისაც, მოყვარულ პოლიტიკოსებისათვისაც გათეხნილებია ღამეები და ეს „ღამის თუ თავის ტეხვა" არც წელს, არც შარშან, არც შარშანწინ არ დაწყებულა.

გამოვთქვი სურვილი არ გვეღალატნა გულწრფელობის ჩვენთვის დამახასიათებელი ტრადიციებისათვის, თქვენ კი ამტკიცებთ, რომ პარტიიდან ქართველი კაცის გასვლაც კი ღალატიაო და მოგყავთ არა იდეური, არამედ პოლიტიკური არგუმენტები და მართლაც საჭიროა გარკვეული კომპრომისები. მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, ხომ უნდა გავეცნოთ რა სხეულს ვიმოსავთ შემოთავაზებული პოლიტიკის ამ შავი ლაბადით!

არა, იმ გამოსვლას თქვენ არ უნდა აეღელვებინეთ. „ზღარბის პოზა" თქვენ და თქვენ საკეთებელს არ გამოადგება.

უძრაობის დროინდელმა და (ღმერთო გვიშველე) დენიკინის დროინდელმა აზრებმა სულაც არ აგაღელვათ. თქვენი უარყოფითი ემოციები პარტიის კრიტიკამ გამოიწვია, ეს კი, ბატონო თემურ, თქვენს სულიერ (იმედია, დროებით) კრიზისზე მეტყველებს.

ყოფა განსაზღვრავს შეგნებას,... დღეს გამოდიან კომპარტიის წინააღმდეგ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მოდაშია, არამედ იმიტომაა მოდაში, რომ ამ აზრს გარკვეული მტკიცე საფუძველი გააჩნია.

თუ მე პარტია გავთათხე, ეს მოხდა არა ქუჩაში, არამედ პარტიულ კრებაზე, პარტიულებს შორის იგივე პარტიულისაგან. რაც ვთქვი, სულით და გულით იყო ნათქვამი. ნუ გგონიათ პოლიტიკური კაპიტალის საშოვარზე ვიყო გამოსული. მე ფერს კი არ ვიცვლი, ფერს ვიშორებ. მიტინგებს იშვიათად ვესწრები. თუ რამეში ვორჭოფობ, ვერ გადამიწყვეტია, რომელი ნაბიჯია უფრო სწორი, მაშინ ზურგი უნდა ვაქციოთ ასეთ პოლიტიკას და ვიმოქმედოთ ჩვენს მორალზე დაყრდნობით. ქართველების კომპარტიულობა სათუთია, პარტსაწევროების გადახდის ამორალურობა კი უეჭველია.

თუ მე თქვენი სტრატეგიული გეგმის სისწორეში ეჭვი მეპარება, პატივს ვცემ თქვენს სიწმინდეს და თავდადებას.

დიდ გემს დიდი ნაოსნობაო, წვრილმანებმა თქვენ არ უნდა აგაღელვოთ. გაიმეტეთ, გაიმეტეთ პაიკი, თუ ამას ჩვენთვის გამარჯვება მოაქვს. ნებისმიერი პოლიტიკური პარტია კი, კომუნისტური იქნება ეს, მონარქისტული თუ ანარქისტული, პაიკია იმ დიდ მიზანთან შედარებით, თავისუფლება რომ ჰქვია!

ეშმაკსაც წაუღია ყველა პარტია!

## საზღვარგარეთი

# იცნობ მეზობელს?! ჩასწვდომიხარ ღირსებას მისას?!

### წერილი 2. თურქეთის შეიარაღებული ძალების განვითარების ტენდენციები 90-იან წლებში და მისი დღევანდელი მდგომარეობა

პირველი წერილი დავასრულეთ იმ მოსაზრებით, რომ ცივი ომის დამთავრებისა და რუსეთთან, აგრეთვე მის სამხედრო-პოლიტიკურ სატელიტებთან და მოკავშირეებთან პირდაპირი სამხედრო დაპირისპირების შენელების შემდეგ თურქეთმა ჩრდილოატლანტიკური კავშირის (ნატოს) ხელმძღვანელების თვალში, როგორც ჩანს, ახალი ფუნქცია — ამიერკავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, ხოლო შემდეგ შესაძლოა ჩრდილოეთ-ირანში, ჩრდილო-კავკასიასა და ვოლგისპირეთში, აგრეთვე ყირიმში ნატოს ბლოკის სამხედრო-პოლიტიკური გავლენის გავრცელება — შეიძინა. ამაზე მიუთითებს 90-იან წლებში ალიანსის უმრავლეს სახელმწიფოებში თავდაცვის ხარჯების, შეიარაღებულ ძალთა რიცხოვნებისა და შეიარაღების რაოდენობის შემცირების საერთო ფონზე თურქეთში მიმდინარე სრულიად საპირისპირო პროცესები.

მართლაც, სტრატეგიული კვლევების ლონდონის საერთაშორისო ინსტიტუტის მონაცემებით, თავდაცვის ხარჯები 1990 წელთან შედარებით, აბსოლუტური მნიშვნელობით, შეამცირეს აშშ-მა, საფრანგეთმა, გერმანიამ, გაერთიანებულმა სამეფომ, ნიდერლანდებმა, იტალიამ, ბელგიამ; დაახლოებით იმავე დონეზე დატოვეს ნორვეგიამ და დანიამ; მნიშვნელოვნად გაზარდეს საბერძნეთმა და თურქეთმა. ამ ხარჯების ყველაზე მეტი ზრდა აღინიშნება თურქეთში და 1990 წელთან შედარებით 1997 წელს გაიზარდა 3,1 მლრდ ამერიკული დოლარით (შესაბამისად, 1990 წელს 5,0 მლრდ და 1997-ში 8,1 მლრდ დოლარი).

აქვე აღსანიშნავია, რომ წლიურად ერთ სულ მოსახლეზე მოსული ფულადი შემოსავლის მიხედვით, თურქეთი უკანასკნელ ადგილზე იმყოფება ნატოს ბლოკის ძველ სახელმწიფოებს შორის და ეს მაჩვენებელი 1997 წელს შეადგენდა სულ 6000 ამერიკულ დოლარს მაშინ, როდესაც ამ პარამეტრის მიხედვით მის უახლოეს ზედა ადგილებზე მყოფი საბერძნეთი და პორტუგალია 2-ჯერ და მეტად აღემატებოდნენ თურქეთს იმავე წელს სულ მოსახლეზე არსებული შემოსავლის მიხედვით (შესაბამისად, 12500 და 13900 ამერიკული დოლარი).

ამიტომ, საინტერესოა იმის გარკვევა, თუ რას მოხმარდა თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ 90-იან წლებში თავდაცვის მიზნებისათვის დამატებით დახარჯული მილიარდობით ამერიკული დოლარის ექვივალენტური თანხები და რეალურად რა ცვლილებები განიცადა ამ ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა.

ჯერ ერთი, 1991 წელთან შედარებით, თითქმის 60000-ით გაიზარდა თურქეთის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის რიცხოვნება და 1998-ში იგი უტოლდება დაახლოებით 639000 ადამიანს. ეს ზრდა განხორციელდა ძირითადად სახმელეთო ჯარებში, ასევე საჰაერო ძალებშიც.

თურქეთის შეიარაღებული ძალები შედგება სამი სახეობისაგან — სახმელეთო ჯარების (არმია), საჰაერო ძალებისა და საზღვაო ძალებისაგან.

სახმელეთო ჯარებში პირადი შემადგენლობის რიცხოვნების გაზრდის გარდა (525000 ადამიანამდე) თურქულმა სარდლობამ გაატარა მნიშვნელოვანი რეორგანიზაციაც. კერძოდ, ფაქტიურად უარი თქვეს მანამდე არსებულ დივიზიებზე და მათ ნაცვლად უფრო მცირერიცხოვანი საჯარისო ერთეულები — ბრიგადები ჩამოაყალიბა. ამჟამად, თურქეთის არმიაში 2 დივიზია და სხვადასხვა ტიპის 44 ბრიგადაა (14 ჯავშანსატანკო, 17 მექანიზებული ქვეითი, 9 ქვეითი და 4 სპეციალური დანიშნულების „კომანდორების").

საარმიო კორპუსების ძირითადად ბრიგადების საფუძველზე ჩამოყალიბების შედეგად კორპუსების მეთაურებს საშუალება მიეცათ უფრო მოქნილად და ეკონომიურად იყენებდნენ მათ ხელთ არსებულ ძალებსა და საშუალებებს ძალის დემონსტრირების თუ რეალური ამოცანების გადასაწყვეტად. გარდა ამისა, რაც ჩვენთვის მეტად საყურადღებოა, ბრიგადულ სისტემაზე გადასვლა ხელსაყრელ პირობებს უქმნის თურქეთის სახმელეთო ჯარებს მთაგორიანი და დასერილი ადგილის პირობებში მოქმედებებისათვის, სადაც ჯარების მოძრაობა და საბრძოლო მოქმედებები შესაძლებელია ვიწრო ხეობების ან მთიან მასივებს შორის გასასვლელების გასწვრივ ხშირად ერთმანეთისგან იზოლირებული და ერთმანეთს დაშორებადი მიმართულებებით. ასეთი რელიეფით კი თურქეთის მახლობლად ხასიათდება ამიერ და ჩრდილო-კავკასია, ჩრდილოეთ ირანი და ცენტრალური აზია, სადაც თურქეთს თავისი გეოპოლიტიკური ინტერესები გააჩნია და, როგორც ჩანს, ამ ინტერესების სარეალიზაციოდ ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს შეიარაღებული ძალების გამოყენებასაც.

ასევე იკვეთება, რომ თურქეთის აღმოსავლეთისაკენ ექსპანსიის სურვილი ეთანხმება შეერთებული შტატებისა და ნატოს ხელმძღვანელობის მისწრაფებას ალიანსის სამხედრო-პოლიტიკური გავლენის აღმოსავლეთისაკენ გაფართოების საკითხში, ვინაიდან სწორედ შეერთებული შტატები და გერმანია უწევენ ტრადიციულად ყველაზე უფრო ქმედით სამხედრო-ტექნიკურ დახმარებას თურქეთის შეიარაღებულ ძალებს იარაღის უფრო თანამედროვე ან სრულიად ახალი სისტემების მიღებასა და ათვისებაში.

კერძოდ, რაც შეეხება თურქული არმიის (სახმელეთო ჯარების) გადაიარაღებას 90-იან წლების განმავლობაში, იმავე ამერიკისა და გერმანიის დახმარებით მნიშვნელოვნად განაახლეს თურქეთის ჯავშანსატანკო ტექნიკის ფარეხი შედარებით თანამედროვე ამერიკული (M60A1/A3) და გერმანული (ლეოპარდ-1A1/A3) საბრძოლო ტანკების, ამერიკული (NH13) ჯავშანტრანსპორტერების მიწოდებით, ხოლო თავად თურქეთში ასევე ამერიკული ლიცენზიით ახალი მსუბუქი ჯავშანტრანსპორტერებისა (AAPC) და ქვეითთა საბრძოლო-მანქანების (AJPV) წარმოების აწყობით. ამ გადახალისების შედეგად 2-2,5-ჯერ ამაღლდა თურქეთის ჯავშანსატანკო ჯარების საბრძოლო შესაძლებლობები და ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა თურქული მექანიზებული ჯარების რაოდენობა და ბრძოლისუნარიანობა. ნატოელი პარტნიორების დახმარებით თურქეთის ჯავშანსატანკო ტექნიკის რაოდენობრივად გაზრდა და განახლება ემსახურება ამ ქვეყნის სახმელეთო ჯარების მობილურობის, ჯავშნდაცულობის, ცეცხლის ძალისა და მთლიანობაში საბრძოლო მზადყოფნისა და ბრძოლისუნარიანობის მნიშვნელოვნად ამაღლებას.

ამავე მიმართულებით განხორციელდა თურქეთის საარტილერიო შეიარაღების გადახალისება შედარებით მოძველებული ბუქსირებადი ლულიანი არტილერიის ნაცვლად M-110A2 ტიპის 203,2მმ ამერიკული თვითმავალი ჰაუბიცებისა და MLRS ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების მიღების ხარჯზე. ასევე პირველად გამოჩნდა თურქული არმიის შეიარაღებაში AH1M/P ტიპის ამერიკული დამრტყმელი (ტანკსაწინააღმდეგო) ვერტმფრენები, რომელთაც მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭებათ ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგის მიზნების განადგურებაში, მიწისზედა ჯარებისათვის საავიაციო მხარდაჭერის აღმოჩენაში, აერომობილური დესანტების გადასხმის უზრუნველყოფისა და მათი მოქმედებების საცეცხლე მხარდაჭერაში.

ასევე მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია და შეიარაღების გადახალისება განახორციელა თურქეთის საჰაერო ძალების სარდლობამ. ჯერ ერთი, თითქმის 6000 ადამიანით გაიზარდა პირადი შემადგენლობა, რომელმაც, როგორც ჩანს, ძირითადად ზურგისა და უზრუნველყოფის სამსახურები გააძლიერა. ასევე, საყურადღებოა, რომ ცივი ომის პერიოდში თურქული საბრძოლო ავიაცია მიმართული იყო ძირითადად მიწისზედა (წყალზედა) მიზნებზე დარტყმების მისაყენებლად (17 ავიაესკადრილია) და მხოლოდ მცირე ნაწილი (2 ესკადრილია) წყვეტდა ჰაერში უპირატესობის მოპოვების ამოცანებს, ვინაიდან ეს ფუნქცია გაძლიერების ამერიკულ ჯარებს ჰქონდათ გადაცემული. ამჟამად ამერიკული საავიაციო ნაწილებისა და ქვედანაყოფების უდიდესი ნაწილის თურქეთიდან წასვლის შემდეგ ჰაერში უპირატესობის ამოცანების გადაწყვეტელ თავად თურქეთის გამანადგურებელ ავიაციას დაეკისრა და შესაბამისად, 7-მდე გაიზარდა გამანადგურებელი ესკადრილიების რიცხვი. ამ სტრუქტურულმა რეორგანიზაციამ თურქეთის საჰაერო ძალებს მის წინაშე მდგარი ყველა ამოცანის — დაზვერვა, მიწისზედა (წყალზედა) მიზნებზე დარტყმების მიყენება, ჰაერში უპირატესობის მოპოვება და საჰაერო დესანტების გადასხმის უზრუნველყოფა-გადაწყვეტის უნარი შესძინა და უნივერსალობა მიანიჭა.

რაც შეეხება თურქეთის საბრძოლო ავიაციის თვითმფრინავების ფარეხის განახლებას, აქაც მოძველებული თვითმფრინავების F-104,F-5 ნაცვლად, იმავე ამერიკისა და გერმანიის დახმარებით ამ ქვეყნის საჰაერო ძალებმა მიიღეს შედარებით ახალი და თანამედროვე F-4,RF-9,F-16 ამერიკული თვითმფრინავები F-16C/D გამანადგურებლებს თავად თურქეთში აწარმოებენ ამერიკული ლიცენზიით). ამ ღონისძიებების შედეგად, მნიშვნელოვნად ამაღლდა თურქეთის საჰაერო ძალების ბრძოლისუნარიანობა და ავტონომიურობა (ნატოელი პარტნიორებისაგან დამოუკიდებლად საჰაერო ოპერაციების წარმოების უნარი).



რაც შეეხება თურქეთის საზღვაო ძალებს, აქ გერმანიის დახმარებით წყალქვეშა ფლოტმა მიიღო „209 ტიპის" თანამედროვე დიზელური წყალქვეშა ნავები, ხოლო მსხვილი წყალზედა საბრძოლო ხომალდების შემადგენლობიდან უკვე ზედმეტად მოძველებული ყოფილი ამერიკული საესკადრო ნაღმოსნების გამოყვანის კვალდაკვალ ამერიკელებმა და გერმანელებმა თურქეთს მიაწოდეს მძლავრი ხომალდსაწინააღმდეგო, წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო და საზენიტო სარაკეტო შეიარაღების მქონე თანამედროვე ფრეგატები („ნოქსის", „უილიამ ჰეზარდ პერისა" და „MEKO200" ტიპების). ამ ღონისძიებების შედეგად თურქეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა მნიშვნელოვნად გაუსწრო მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილი რუსეთის შავი ზღვის ფლოტს.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, ცივი ომის დასრულებისა და რუსეთთან პირდაპირი სამხედრო დაპირისპირების შემცირების მიუხედავად, თურქეთის სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ 90-იან წლებში, ნატოელი პარტნიორების დახმარებით, მნიშვნელოვანი ხარჯები და სამუშაო გასწია საკუთარი შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნისა და ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად. თუ რას უნდა ემსახურებოდეს, სავარაუდოდ, თურქეთისა და ჩრდილოატლანტიკური კავშირის ხელმძღვანელების ასეთი ზრუნვა, ამის შესახებ მომდევნო წერილებში გვექნება საუბარი.

**ირაკლი ხართიშვილი**

**(გაგრძელება იქნება)**

**P.S. პირველი წერილი ამ ციკლიდან დაიბეჭდა გაზეთ „კავკასიონში" (16-22 ივნისი, 1999 წელი) სათაურით „თურქეთის რესპუბლიკა და მისი ადგილი ნატოს კოლექტიური თავდაცვის სისტემაში". გარკვეული მიზეზების გამო მას გავაგრძელებთ უკვე გაზეთ „საქართველოში".**

ინტერვიუ

# დუტუ მეგრელის ლექსი ანბანურ თანამიმდევრობას არ ცნობს...



**„მე საქართველოს ყველა კუთხეს ვენაცვალე, მაგრამ თითოეული თავისთავში რომ ხედავს ჩვენი დიადი სამშობლოს ბურჯსა და ხსნას, აქ საძრახისი რა უნდა იყოს? მარგალიტს რომელი მხრიდანაც უნდა მიუდგე, მარგალიტია, გააჩნია რომელი წახნაგიდან ელვარებს იგი. მთლიანობაში დანახული ხომ მართლაც უკვდავებაა"...**

**ირაკლი ბოჭორიძე — საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლის მხარეში.**

**— ბატონო ირაკლი, ჩვენს საუბარს ვიწყებ წინა ინტერვიუში წამოჭრილი ფრაზის მოშველიებით: „შიდა ქართლის რეგიონი, შეიძლება ითქვას, საქართველოს ხერხემალიაო." ჩვენ მაშინ შეგეკამათეთ, რომ ხერხემალი სამეგრელოს უწოდა ქვეყნის პრეზიდენტმა-მეთქი და საამისოდ უამრავი ფაქტობრივი მასალა მოვიშველიეთ. არც თქვენ დამრჩენიხართ ვალში, მრავალი კონტრარგუმენტი დამისახელეთ. მას აქეთ გვარიანი ხანი გამოხდა. მაინტერესებს, ამ მიმართებით რაიმე გენეზისი ხომ არ განიცადა თქვენმა შეხედულებამ?**

— ქვეყნის პრეზიდენტის ისტორიულ გამონათქვამს რევიზია არ სჭირდება, ჩემი პასუხი ამ თვალსაზრისით კონკრეტული იქნება პოეტ დუტუ მეგრელის ყველასათვის საყვარელი ლექსით „მე პატარა ქართველი ვარ". თუკი კარგად ჩავუკვირდებით ამ სტროფის დედააზრს, ყველა კითხვას პასუხი გაეცემა. აქ დუტუ მეგრელმა, ვფიქრობ, არცთუ უსაფუძვლოდ, ჩვენი კუთხეები ანბანური თანამიმდევრობით როდი ჩამოამწკრივა, არამედ დაიწყო უმთავრესით, უმთავრესით საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობისათვის. თავად განსაჯეთ: „ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო, ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო". მიკერძოებაში ნუ ჩამომართმევთ ყოველივეს, მე საქართველოს ყველა კუთხეს ვენაცვალე, მაგრამ თითოეული თავისთავში რომ ხედავს ჩვენი დიადი სამშობლოს ბურჯსა და ხსნას, აქ საძრახისი რა უნდა იყოს? მარგალიტს რომელი მხრიდანაც უნდა მიუდგე, მარგალიტია, გააჩნია რომელი წახნაგიდან ელვარებს იგი. მთლიანობაში დანახული ხომ მართლაც უკვდავებაა და მგონი, აქ საკამათო არაფერია.

**— ჩინებულია. ჩვენც ხომ ეგ გვინდა, სრულიად საქართველოს უკვდავება დროსა და სივრცეში. ბატონო ირაკლი, რა ვითარებაა ახლა შიდა ქართლში?**

— ეკონომიკური თვალსაზრისით სტაბილურ მდგომარეობას მივაღწიეთ. საერთო მაჩვენებლები ანუ კონტიგენტი ბიუჯეტისა შესრულებული გვაქვს 6 თვის მონაცემებით, რაც [illegible]

[illegible]

ბრობათა წყებას. პრობლემათა სათავეც უწინარესად აქ ძევს. პოლიციამ ყველა საქმე, რაც ამ ბოლოს დროს აგორდა, ოპერატიულად გაისიგრძეგანა. მალე გაირკვევა რასთან გვქონდა საქმე, ეკონომიკურ დივერსიებთან თუ კრიმინალურ სიტუაციასთან. აქვე უნდა ითქვას, რომ საერთოდ, გახშირდა კურიოზული შემთხვევები არა მარტო ჩვენთან, არამედ მეზობელ ქვეყნებშიც, კერძოდ, ჩეჩნეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ამ ტალღამ, ჩანს, ჩვენზეც იქონია ზეგავლენა. აქ მხოლოდ პოლიციის იმედით ვერ ვიქნებით. თითოეული ჩვენგანი, თითოეული მოქალაქე ვალდებულია ებრძოლოს იმ საშინელებას, რასაც ადამიანის გატაცება ჰქვია.

**— უნებლიეთ დიდი დავით გურამიშვილის „ქართლის ჭირი" გამახსენეთ, სადაც მოხშირებულია ავაზაკობა, ქურდობა, გზებზე ჩასხდომა გზირისა და ა. შ. ამის უმთავრეს მიზეზად სულმნათი პოეტი „კახელების ალმა ხნულის ქართლელების დალმა ფარცხვით" ხსნის, ანუ შინააშლილობით, ურჩი ფეოდალების მერკანტილური ინტერესებით, ზოგადეროვნული ცნობიერების უქონლობით. ხომ ვერ გაავლებდით პარალელს იმ ავადსახსენებელ წლებთან?**

— მეთოდოლოგიურად ასეთი მიდგომა, ცხადია, მცდარია, ვინაიდან თქმულა, ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალო, ანუ ისტორია მეორდება ფარსის სახით. ფეოდალური აზროვნება საქართველოში არახალია, მაგრამ დღევანდელი სიტუაცია გაცილებით რთულია და საინტერესო. ადრინდელ მოქიშპეობას ბობოლათა ვიწრო-კლანური ინტერესები კვებავდა, დღეს კი საერთაშორისო ბიზნესის გზაჯვარედინზე ყოფნა საქართველოს უამრავ პრობლემას უქმნის, როგორც ეკონომიკური, ისე — პოლიტიკური თვალსაზრისით; მაგრამ მეიმედება, სულ მალე ქვეყანა განვითარებული სახელმწიფოების რიგში ჩადგება. ამის საწინდრად უწინარესად მესახება აბრეშუმის გზისა და ნავთობსადენის პროექტების განხორციელების დასაწყისი ჩვენს სამშობლოში. დიდძალი ინვესტიციების მოზიდვა საქართველოს სწრაფად [illegible]

[illegible]

ნახონ და აქ თქვენი პარალელი [illegible]

[illegible]

**— ბატონო ირაკლი, მტკივნეულ თემას გაუხსოვდებით, ცხინვალთან რა ურთიერთობები გაქვთ?**

[illegible]

**— საბაღოები მაინც აულუზელი ცისკ-სიძაკორებია.**

[illegible]

**— ბატონო ირაკლი, ჩვენი აქ ყოფნის მერე გარკვეული საკადრო ცვლილებები მოხდება.**

[illegible]



**მთავარია, ისტორიულად გამოცდილი გზით სიარული, მდინარე კალაპოტს აცდება აქა-იქ წყალდიდობისას, მაგრამ საბოლოოდ მაინც ძველ სადინარს უბრუნდება...**

[illegible]

**— თქვენ გინდათ თქვათ, რომ ეს ის ადამიანია, რომელიც გორს ჭირდებოდა?**

— სავსებით გეთანხმებით. ყველა ადამიანს თავისი დრო აქვს. ჩემი ორი საუკუნის მერე ხელმძღვანელ მუშაკად წარმოდგენაც კი წარმოუდგენელია. ყველაფერს აქვს თავისი ჟამი, ეტაპი, მომენტი. ამ მომენტისთვის ბატონი გივი ის პიროვნებაა, რომელიც გორის პრობლემებს თავს აუცილებლად გაართმევს.

**— უმჯობესია მაინც კონფლიქტის ზონას მივუბრუნდეთ, მთელს საქართველოს გულისყური აქეთკენ აქვს, ყველამ იცის რაღაც ხდება, მაგრამ კონკრეტულად რა, ვერავინ გიპასუხებთ. მაინც რა არის მთავარი პრობლემა?**

— ძირითადი ქვაკუთხედი საქართველოს ერთიანობაა, რომელიც გარკვეულ წინააღმდეგობებს აწყდება. საქართველოს პოლიტიკური რუკის გამთლიანებას უამრავი ფაქტორი უშლის ხელს. აფხაზეთის პრობლემა გადაჯაჭვულია ოსურთან, ორივე ერთად აღებული — რუსეთის ინტერესებთან. საქართველო დამოუკიდებლობისკენაც ისწრაფვის, ევროპული სივრცისკენ, ცივილური ურთიერთობებისკენ, მაგრამ ტერიტორიების დათმობაც არ უნდა, რაც მის რეალურ სხეულს დამახინჯებით ემუქრება. პოლიტიკური გადაწნულია სამეურნეო საკითხებთან. სარწყავი და სასმელი წყლის საკითხი მეტნაკლებად მოგვარდა. აღდგენილია წყალსაცავი, გამოყოფილია თანხები სათავე-ნაგებობების აღსადგენად. ვმუშაობთ ენერგეტიკის საკითხებზე. ზაფხულის პირობებში აქ შედარებით იოლი სიტუაციაა, ზამთარში კი — ყველაფერი გამქოლი, ცივი ქარივით ზუზუნებს. ელექტრო-ენერგია ცხინვალელებს ხან რუსეთიდან მიეწოდებათ, ხან — ჩვენგან. ამჟამად ჩვენ ვაკმაყოფილებთ. მოსაგვარებელია როგორც დახარჯული ელენერგიის საფასურის გადახდის, ასევე ტექნიკური საკითხები და კიდევ სხვა ათასი რამ. ხუთშაბათობით სამართალდამცავები ხვდებიან ერთმანეთს და ერთობლივად განიხილავენ შექმნილ სიტუაციას. ყოველნაირ საშუალებას, ღონეს მივმართავთ, რათა საერთო ვითარება ჩვენს კონტროლს ექვემდებარებოდეს. ალბათ, უნდა შევქმნათ ის ბაზა, რომელზე დაყრდნობით ბოლოს და ბოლოს გადაწყდება ცხინვალის რეგიონის სტატუსი ერთიან საქართველოში.

*ბატონი ირაკლი ბოჭორიძე, მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, ჩინებული ერუდიციის ყმაწვილკაცია. თუმცა ამის თაობაზე მას გარკვეული მოსაზრება გააჩნია. ამბობს, რომ დრო ქმნის ადამიანებს, პიროვნებებს, წინამძღოლებს, და თუკი ამ მიმართებით განვიხილავთ საკითხს, მას თითქოს დაგვიანებულიც აქვს უკვე, ვინაიდან ჩვიდმეტი წლის მაკედონელი თუ დავით ალმაშენებელი ქვეყნებს განაგებდნენ და ხალხთა ბედ-იღბალს წარმართავდნენ.*

*არ უყვარს ზედმეტად თავმომწონეობა, თუმცა ფრიად განათლებული კაცის შთაბეჭდილებასაც ტოვებს, ადრე დაბრძენებული კაცის შთაბეჭდილებას, ვისაც ცხოვრებისეული ტვირთიც საკმარისზე მეტად დასწოლია ბეჭებზე.*

*გამხედავიცაა. ეს ღირსება უმთავრესად მიაჩნია მამაკაცში. ქრისტიანობა ცხოვრების წესად უქცევია. ჯვარზე ასვლა და სვეტიცხოველში სანთლის დანთება მისი სულიერი ზეიმის ჟამია.*

*ადამიანურ ურთიერთობებში შეუდარებელია, პოლიფონიურად აზროვნებს, არ უყვარს გამოკერძოება, პარტიებთან წონასწორობის დამცველია, რაც საკრებულოში ბალანსდება, იფილტრება ჟღენბათაღელვის თვალსაზრისით. თანაც ხაზგასმით აღნიშნავს ხოლმე, რომ მისი გუნდი პარტიებისთვის კი არა, ხალხისთვის მუშაობს. უფასო სწავლების ლეიბორისტულ პრიორიტეტზე ირონიით ჩაილიმილებს, და აქვე გააბათილებს მათანთა სპეკულანტურ ყბადაღებულობას. პრეზიდენტის „გამძარცველებს" ეძახის ბატონი ირაკლი ყველა პოლიტიკურ ძალას, ვინაც უფასო სწავლების დამამკვიდრებლად წარმოსახავს თავის თავს.*

*როცა სპორტზე ჩამოუგდებ სიტყვას, უცებ დიდრონი თვალები გაუბრწყინდება. გორის „დილას" წარმატებები ალაფრთოვანებს. ასახელებს ძმებს დაფინანსების თვალსაზრისით. ჭიდაობაზე საუბრისას კი ამაყად გაიშლება წელში, შეიძლება ამისთანა დროს სავარძელსაც კი შეელიოს და გაიარ-გამოიაროს კაბინეტში. ეს შიდა ქართლის მესვეურის ტემპერამენტზე მიუთითებს. აღტაცებით მოგვითხრობს გიორგი კანდელაკის გასაოცარ მიღწევებზე. თურმე სოფელ ვარიანში არაჩვეულებრივი სპორტული, საჭიდაო კომპლექსი შენდება, რომლითაც სულ მალე საფუძველი ჩაეყრება საერთაშორისო ტურნირებს.*

*ლაპარაკისას მისგან თავდაღწევა არც ისე იოლია, უნდა ყველაფერს შეეხოს, ახალგაზრდობის პრობლემებს, ჯანდაცვას, კულტურას. ავადმყოფურად განიცდის გორის წისქვილკომბინატის დროებით გაჩერებას, რომლის უმთავრესი მიზეზი რეკონსტრუქციაა და ყველაფერს ცდილობს ეს ობიექტი მალე ჩადგეს მხარის ბიუჯეტის სამსახურში. მისი გულწრფელი სიხარული ბამბის კომბინატის ამოქმედებაა. კასპის აგურის ქარხნების არასრული დატვირთვით მუშაობაზე თავს გააქნევს მწარე სინანულით, გიყვება ცემენტის ქარხანაზე. აგარის შაქრის კომბინატის ამუშავებას სამომავლოს და იმედისმომცემს ეძახის. სამასი ათასი ტონა ჩვენთვის ზღვაში წვეთიაო, გეტყვის. იქაური მოსამსახურე პერსონალის ხელფასი კი ფრიად სოლიდურად მიაჩნია რესპუბლიკის მასშტაბით. ხაშურის სარკინიგზო ქსელი ადამიანის მაჯასავით წარმოუდგენია, რომელმაც მხარის ბიუჯეტს გარკვეული შემოსავლები უნდა შესძინოს.*

*და მაინც, სამი უძირითადესი თემა, რომლის გარშემო დღე და ღამ რომ ალაპარაკოთ და ჩვენი გაზეთის 15 ნომერიც დაუთმოთ, არ ამოეწურება, — ქართლოს კასრაძე, სტალინი, რუისურბნისის კრება, თავიანთი გმირებით, გმირული წუთებითა და სამომავლო სივრცეებით. ცეცხლოვანი თვალებით გიყვება იაკობ გოგებაშვილზე, მიხეილ ჯავახიშვილზე, დიმიტრი ყიფიანზე, მერაბ მამარდაშვილზე, საკაძეზე ამ უტრაგიკულეს დიდ მოურავზე.*

*დაბოლოს, როგორც წესი, საუბარი მაინც შიდა ქართლის უმთავრესი პრობლემით სრულდება, ანუ იმ უძირითადესი ეკონომიკური ბერკეტებით, რომელშიც მხარის სულია ჩაკირული, მისი ბელლის სისავსე და სიმსუყოვნე: სამამულო ხეხილის პრობლემა, ვაშლოვანების ნარგავები, თვით ედემის ბაღს რომ ამშვენებდნენ და კაცობრიობის გონიერების სიმბოლოდ რომ არის მიჩნეული. ვაშლოვანი ქართლი, სიბრძნის ხის დედულ-მამულეთიაო, მოგაჩერდება თვალებში მომნუსხველის ძალით და მიდი და დაუდექ ამ მაგნიტის ძალას!*

— ცნობილი მოვლენების დროს, — იტყვის დამაგვირგვინებელი ოქტავით შიდა ქართლის მესვეური, ბატონი ირაკლი ბოჭორიძე, — შიმშილის საშიშროებამ ხალხი აიძულა მიყოლებით გაენადგურებინა ხეხილის ბაღები. გამოთავისუფლებულ სავარგულებზე ხორბალს თესავდნენ, პურს — ჩვენი არსობის სათავეს, მაგრამ ახლა ყველა მიხვდა, რომ ქართლისთვის მთავარზე მთავარი, როგორც ეკონომიურად, ისე ტრადიციულად, მეხილეობის მიმართულებაა. დაიწყო ინტენსიური მუშაობა იშვიათი ჯიშების აღსადგენად, ბაღების მოსაშენებლად. მთავარია, ისტორიულად გამოცდილი გზით სიარული, მდინარე კალაპოტს აცდება აქა-იქ წყალდიდობისას, მაგრამ საბოლოოდ მაინც ძველ სადინარს უბრუნდებაო, — ასკვნის მხცოვანი ბრძენკაცის დაუნჯებით.

და ამინ, ამინ ბატონო ირაკლი, მამა-პაპური გზით ევლოს ჩვენს ეკონომიკას, ჩვენს სულიერებას, ჩვენს მომავალს ისევ და ისევ სრულიად საქართველოს საუკვდაოდ.

ესაუბრა
ИЗОЛДА ЦИРДАВА.

P.S. კომპიუტერიზაციის ეპოქაში ჩვენს საბაჟოზე სასაზღვრო ზოლიც კი არ ფუნქციონირებს, არც საკანონმდებლო ბაზა, არც კომუნიკაციები, და არც სხვა აუცილებელი აღჭურვილობა არ გააჩნიათ მებაჟეებს და გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ დღევანდელ სტანდარტებთან შედარებით, მათ შიშველი ხელით უწევთ მოვალეობის შესრულება...

ბატონ ირაკლისთან საუბრისას შეგნებულად არ გავამახვილეთ ყურადღება საბაჟო „გორის" მუშაობის ნაკლსა და ღირსებებზე, ვინაიდან საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე ამ თემაზე ვრცელი და კონკრეტული მასალა მზადდება ჩვენი გაზეთის უახლოესი ნომრისათვის.

# რატომ დაირღვა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება?

ამ წერილის მოწერა საქართველოს სახალხო ფრონტის ორგანოს — გაზეთ „საქართველოსათვის" იმან გადამაწყვეტინა, რომ უდიდეს პატივს ვცემ ნოდარ ნათაძეს, როგორც ჭეშმარიტ მამულიშვილსა და ყოველგვარ მანკიერებასთან მუხლჩაუხრელ მებრძოლს. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი გაზეთი სამზეოზე გამოიტანს იმ ფაქტს, რომელიც გარემოებათა გამო დოკუმენტურად გახდა ჩემთვის ცნობილი და თვალნათლივ აჩვენებს ზოგიერთი ბიზნესმენის „ეროვნულობის" ნიღბის ქვეშ სინამდვილეში თუ რა იმალება.

საქმე ეხება სიგარეტის ბიზნესს, რომლითაც დაკავებულ ზოგიერთ ფირმას, როგორც ჩანს, იმდენად ძლიერი მფარველები ჰყავს ზედა ეშელონებში, ქვეყანაც რომ დააქციონ, ბუზსაც კი არავინ აუფრენს.

მე ვიცნობ იმ პუბლიკაციებს, რომლებიც სიგარეტებზე აქციზური მარკების შემოღების მნიშვნელობასა და აქციზური მარკების დაცვის აუცილებლობას მიეძღვნა. ვიცი ისიც, რომ არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია სიგარეტის ერთი იმპორტიორი ფირმის „სთრაიქის" მიერ შეძენილი დიდი ოდენობით აქციზური მარკების კანონდარღვევით გადაცემას მეორე ფირმის — „ტაოსათვის". „არაფერიც არ დაგვირღვევია, ჩვენმა ევროპელმა პარტნიორებმა შეცდომით გამოუგზავნეს ჩვენი მარკებით მარკირებული პროდუქცია „ტაოს" — იმართლეს თავი „სთრაიქის" ხელმძღვანელებმა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე („შესაძლებლობის ზღვარზე", 1999წ. 22 ივლისი, №194) და, როგორც ჩანს, ამით მათაც და ჟურნალისტმა თამაზ ქველაძემაც ამოწურულად ჩათვალეს ეს საკითხი. როგორც ჩანს, ჩვენთან უკვე საკმაოდ მოიკიდა ფეხი ამა თუ იმ დარღვევაზე „რეაგირების" არაორდინალურმა ფორმამ — დამრღვევისა და ამ დარღვევის აღმომჩენი ჟურნალისტის დიალოგი საკმარისად ითვლება, რათა „სათანადო ზომები" მიღებულად ჩაითვალოს და დარღვევაც დავიწყებას მიეცეს.

ასეა თუ ისე, საქმე ჩაიფარცხა, მაგრამ ამავე წერილში დაბეჭდილმა, ფირმა „სთრაიქის" დირექტორის მოადგილის ოთარ ქიშმარიშვილის განცხადებამ — აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმთან არასოდეს გვითანამშრომლია და თუ ვინმე ამ ხმებს გვიჟრცელებს, მტკნარი სიცრუეაო, — ჩემი გაოცება გამოიწვია. მე აფხაზეთის მკვიდრი ვარ, ახლაც არ გამიწყვეტია იქ კავშირები და ვიცი, რასაც საქმიანობდა იქ ფირმა „სთრაიკი".

გემახსოვრებათ, ზუგდიდის პოლიციამ ა. წ. აპრილის შუა რიცხვებში აფხაზეთის ტერიტორიიდან უაქციზო სიგარეტის დიდი პარტიის გადმოტანის მცდელობა რომ აღკვეთა და იქაური თემურ ცატავაც მისცეს პასუხისგებაში (იხ. „დილის გაზეთი", 1999წ. 22 აპრილი, №87). მაშინ ეს ფაქტი კი გახმაურდა, მაგრამ მალევე ჩაფარცხეს და არავის დაუწყია იმის ძიება, თუ საიდან ხვდებოდა აფხაზეთში უაქციზო სიგარეტი. არადა, სამართალდამცავთაგან ვინმე რომ დაინტერესებულიყო, თუკი მე მოვახერხე, თვითონაც იოლად აღმოაჩენდნენ აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმთან ფირმა „სთრაიქის" თანამშრომლობის კვალს, თანაც დოკუმენტით დამტკიცებულს.

კერძოდ, 1999 წლის 9 მარტს, აფხაზეთის თვითმარქვია ხელისუფლების მიერ რეგისტრირებული ფირმა „ცაბალის" თავმჯდომარე დ. შულუმბა წერილით მიმართავს „აფხაზეთის რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრს" ს. თარბას: „გაცნობებთ, რომ მიმდინარე 1999 წლის 24 თებერვალს და 5 მარტს ჩვენს რესპუბლიკაში შემოვიდა „ვაისროის" მარკის საზღვარგარეთული სიგარეტების პარტია საქართველოდან ჩვენი სავაჭრო პარტნიორის — ფირმა „სთრაიქსაგან". ამასთან დაკავშირებით გთხოვთ შესაბამის სამსახურებს მისცეთ მითითება, რათა უზრუნველყონ ზემოთაღნიშნული ტვირთის მიწოდება სავაჭრო ქსელებისათვის მათი შემდგომი რეალიზაციის მიზნით, აგრეთვე დაავალოთ საქონლის რეალიზაციიდან მიღებული თანხის რესპუბლიკის ბიუჯეტში ჩარიცხვის გაკონტროლება".

მკითხველმა რომ ჩემი ფანტაზიის ნაყოფად არ ჩათვალოს ყოველივე, რაც წაიკითხეთ, გთავაზობთ აღნიშნული წერილის ქსეროასლს.

**Республика Абхазия**

**Товарищество с ограниченной ответственностью**

**фирма «ЦАБАЛ»**

№ 15/155

«09» марта 1999г.

384900
г.Сухум
ул.Челюскинцев, 15

Министру торговли
Республики Абхазия
Г-ну Тарба С.З.

Довожу до вашего сведения, что 24 февраля и 5 марта текущего 1999 года в нашу Республику поступили партии сигарет зарубежного производства марки "VICEROY" от нашего торгового партнера из Грузии - фирмы "STRIKE"

В связи с этим прошу вашего указания соответствующим службам обеспечить поставку в торговую сеть вышеуказанного груза с последующей реализацией, а также поручить проконтролировать зачисление в бюджет Республики вырученной от реализации товара суммы.

Председатель
О.О.О. «Цабал» Шулумба Д.Ю.

როგორც ხედავთ, ფირმა „სთრაიქმა" 24 თებერვალს და 5 მარტს საქართველოს ტერიტორიაზე „ვაისროის" დიდი პარტია აფხაზეთის თვითმარქვია ხელისუფალთა მეშვეობით შემოიტანა და, ცხადია, არა მარტო იმიტომ, რომ არძინბას რეჟიმის ბიუჯეტი შეევსო — ხელს თვითონაც მოითბობდნენ.

გარდა იმ მორალური პასუხისმგებლობისა, რაც 300 ათასი ქართველის ლტოლვილად მქცეველთა რეჟიმის მატერიალურად გაძლიერების გამო ეკისრება ფირმა „სთრაიქის" ხელმძღვანელობას, არსებობს კიდევ ერთი საფუძველი, რომელიც ამ ფირმის მიერ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 28 მაისის №355 ბრძანებულების აშკარა დარღვევაზე მეტყველებს. კერძოდ, ამ ბრძანებულების მე-3 პუნქტის თანახმად: „1999 წლის 1 თებერვლიდან აიკრძალოს საქართველოს ტერიტორიაზე აქციზური მარკებით მარკირებას დაქვემდებარებული ... თამბაქოს ნაწარმის იმპორტირება". ამრიგად, 1 თებერვლიდან უაქციზო სიგარეტის იმპორტი ყველას ეკრძალებოდა, „სთრაიქმა" კი ამ თარიღის შემდეგ ორჯერ (24 თებერვალს და 5 მარტს) განახორციელა პრეზიდენტის მიერ აკრძალული იმპორტი უაქციზო სიგარეტებისა.

ბუნებრივად იბადება კითხვა: ვინ მფარველობს ფირმა „სთრაიქს" ისეთი, რომ რაც უნდა დაარღვიოს, რეაგირებას მაინც არავინ ახდენს? ნუთუ აღარ დადგა დრო, რომ ერთხელ და სამუდამოდ ამოქმედდეს კანონის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპი და ხალხმაც დაინახოს, ამ ქვეყანას პატრონი რომ ჰყავს?

**მათე გაბედავა**

# ეკლესია უმოქმედოდ არ არის...

როგორც ცნობილია, ამ ბოლო ხანებში დიდი აჟიოტაჟი იყო ატეხილი ქართული ეროვნული საგანძურის საზღვარგარეთის მუზეუმებში გამოსაფენად გატანის თაობაზე. დღის წესრიგში იდგა მათი აშშ-ს ქალაქებში — ბალტიმორში, ჰიუსტონსა და სან დიეგოში გამოფენა. ცნობილი იყო, რომ ეს გამოფენა უნდა დაწყებულიყო ა. წ. სექტემბერში და გასტანდა 2001 წლის იანვრამდე.

ქართველი საზოგადოება, ეკლესია და მეცნიერი სპეციალისტები წინა აღუდგნენ ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას. მოსაზრებები სხვადასხვა იყო. ეკლესია და მისი მრევლი თვლიდა, რომ საეკლესიო სიწმინდეებისა და მათი მადლის გატანა საქართველოდან, მითუმეტეს ქრისტეს დაბადებიდან 2000 წლის მიჯნაზე, იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის დროისათვის, ჩვენი ერისათვის საბედისწერო და დამღუპველი იქნებოდა. ეს არგუმენტი ჩვენი დღევანდელი ათეისტურად მოაზროვნე ხელისუფლებისათვის სრულიად გაუგებარია, შეიძლება ითქვას, ჩინურია, მაგრამ იყო და არის სხვა მოსაზრებებიც. საზოგადოების ერთი ნაწილი თვლის, რომ ჩვენმა მთავრობამ დასავლეთის (და არა მარტო) ქვეყნების იმდენი ვალი დაიდო, რომ გამორიცხული არაა ეს საგანძური სადმე, რომელიმე ნავსადგურში „დაგვიპატიმრონ" და ვალებში „გამოგვიქვითონ". ეს მოსაზრებაც ხელისუფლებისათვის , რაღა თქმა უნდა, მიუღებელია, მაგრამ არსებობს მესამე, რომელზედაც უჭირთ მათ რაიმე საპასუხო არგუმენტის მოყვანა. ეს გახლავთ მეცნიერ-სპეციალისტთა დასკვნა, რომლებიც ასაბუთებენ, (გამოსულია რამოდენიმე ბროშურა), რომ ექსპონატები დაზიანებულია და მათი ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა მათ საბოლოო დაღუპვას გამოიწვევს. ამაზე მტკიცე არგუმენტი თითქოს არ არსებობს, მაგრამ ზოგიერთმა გატანის მომხრე ვაი-ქართველმა თვით ამ მეცნიერ-სპეციალისტთა კომპეტენცია დააყენა ეჭვქვეშ. საბოლოოდ, ბევრი შეხლა-შემოხლის შემდეგ ხელისუფლება დაჰყვა ხალხის ნებას და თავის გადაწყვეტილებაზე უარი თქვა. პრეზიდენტმა თვითონ გამოაცხადა, რომ აშშ-ს მუზეუმებში ქართული ეროვნული საგანძურის გამოფენაზე გატანის გადაწყვეტილება გაუქმებულია. როცა საზოგადოების ყურადღება ამ გამოფენაზე იყო კონცენტრირებული, ყველასათვის მოულოდნელად გამოცხადდა ახალი გადაწყვეტილება, რომ ა. წ. 26 ივლისიდან 10 იანვრამდე იტალიის ქალაქ ტრიესტში გამოფენაზე უნდა გაიტანონ საგანძური, მათ შორის საეკლესიო სიწმინდეები. კვლავ ვნებათაღელვა, კვლავ საზოგადოებისათვის თვალში ნაცრის შეყრა, მაგრამ საბოლოოდ საღმა აზრმა გაიმარჯვა და ეს გადაწყვეტილებაც გაუქმდა. ჩვენთვის ცნობილი ინფორმაციით, თურმე მათ უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მათივე სიტყვებით, „ვერ გადაიბირეს". ეს ფაქტიც და საპატრიარქოს წერილიც, რომელსაც ქვემოთ ვბეჭდავთ ადასტურებს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მტკიცე პოზიციას და საფუძველს უკარგავს ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის პრეტენზიებს ეკლესიისადმი, თითქოს იგი უმოქმედოდ და გულგრილად უყურებდეს ამ, ჩვენი ერისათვის, უმნიშვნელოვანეს საკითხს.

**მის აღმატებულებას, საქართველოს სახელმწიფო მინისტრს,**
**ბატონ ვაჟა ლორთქიფანიძეს**
**ასლი: კულტურის მინისტრს, ბატონ ვალერი ასათიანს**
**მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს,**
**ბატონ ალბერტ თავხელიძეს**

თქვენო აღმატებულებავ, მოგმართავთ უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით.

როგორც შევიტყვეთ, 26 ივლისს იტალიის ქალაქ ტრიესტში გაიმართება გამოფენა – „ბიზანტიური კულტურა კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ", რომელიც 10 იანვრამდე (?!) გასტანს. საქართველოს კულტურის სამინისტროს სურვილია, რომ ქართული ხელოვნების სხვა ნიმუშებთან ერთად წარმოდგენილ იქნას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მუზეუმებში დაცული საეკლესიო სიწმინდეები. შევნიშნათ, რომ მიუხედავად არაერთგზის შეკითხვისა, კულტურის სამინისტრო თავის ამ განზრახვას საპატრიარქოს და ფართო საზოგადოებას არ უმხელდა. ჩვენთვის მხოლოდ ივნისის ბოლოს გახდა ცნობილი, რომ ტრიესტის გამოფენისათვის ექსპონატების გაგზავნა იყო დაგეგმილი.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ კულტურის სამინისტროდან მხოლოდ გუშინ მივიღეთ ე. წ. ხელშეკრულების ასლი და მუზეუმების (ორი) გაფართოებული სხდომების ასლი, რამაც ცხადყო, რომ:

1) სინამდვილეში არ არსებობს სპეციალისტთა კომპლექსური კომისიის დასკვნა;

2) არ არსებობს იტალიურ მხარესთან დადებული ხელშეკრულება, არამედ იგია განზრახულობათა ოქმი, რადგანაც აქ არ არის დაფიქსირებული პასუხისმგებლობისა და ვალდებულებათა პირობები (დარღვეულია ასევე სხვა მომენტებიც);

3) ასევე არ არსებობს იუსტიციის სამინისტროს საექსპერტო დასკვნა აღნიშნული ხელშეკრულების მიზანშეწონილობის შესახებ;

4) უგულებელყოფილია საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 31 მაისის ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც შეიქმნა კომისია კულტურული საგანძურის დაცვის შესახებ და რომელსაც ევალება „შეიმუშაოს წინადადებები ეროვნული საგანძურის დაცვის, საგამოფენო პოლიტიკის განსაზღვრის და გამოფენების გატანა-შემოტანის ყველა აუცილებელი საკითხის მოგვარების შესახებ".

ბუნებრივად ისმის კითხვა: ხომ არ გვაქვს საქმე გამიზნულ დეზინფორმაციასთან ან ერის საგანძურისადმი გულგრილ დამოკიდებულებასთან?

ეს საკითხის ერთი მხარე.

რაც შეეხება მეორეს: – თქვენ კარგად მოგეხსენებათ, და საზოგადოებისთვისაც მშვენივრადაა ცნობილი, რომ (გარკვეული პერიოდის მანძილზე და გარკვეული პირობების დაუცველად) საქართველოს საპატრიარქო წინააღმდეგია სიწმინდეების საზღვარგარეთ გატანისა და ამდენად დაუშვებლად მიაჩნია ტრიესტის გამოფენაშიც მონაწილეობის მიღება. ალბათ, ამის შედეგია, რომ კულტურის სამინისტროს მიერ ჩამოთვლილი 10 ქვეყნის (საბერძნეთი, მაკედონია, საქართველო, კვიპროსი, ბულგარეთი, სერბია, რუმინეთი, მოლდოვია, უკრაინა, რუსეთი) ნაცვლად გამოფენაში, ტრიესტიდან ოთხი დღის წინ მიღებული ინფორმაციის მიხედვით, მართლმადიდებელი ქვეყნებიდან მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ათენის (ერთი), ბელგრადის (ერთი), ბუქარესტის (ორი) და სოფიის (ორი) მუზეუმები.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ზემოთქმული, არ დაუშვათ ასეთი უპასუხისმგებლო მოქმედება და მიიღოთ სათანადო ზომები.

ღმერთმა დაგლოცოთ.

**სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მდივანი**
**დეკანოზი ლევან ფირცხალაიშვილი**

# იმათთვის, ვისაც შეიძლება აინტერესებდეს

თქვენი კითხვების პასუხად, რომლებიც ეხება ძველი საქართველოს ხელოვნების ფასდაუდებელი ქმნილებების გემით გადატანასა და გამოფენას, შემოგთავაზებთ ჩემს დაკვირვებებსა და რჩევებს, დამყარებულს 40 წლის გამოცდილებაზე საერთაშორისო გამოფენათა ორგანიზების საქმეში.

1. ქართველმა ორგანიზატორებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ძველი ხელოვნება და მისი ქმნილებები განიხილება, როგორც ფასდაუდებელი. ეს იმას ნიშნავს, რომ თუნდაც ეს საგნები დაზღვეული იყონ სრული ღირებულებით, მათი განადგურების შემთხვევაში ისინი სამუდამოდ ისპობიან. ხელოვნების გარკვეულ საგნებს ვერ აანაზღაურებს ვერანაირი ფული. უბედურება შეიძლება სხვადასხვა სახით მოხდეს: ცეცხლი, მოპარვა, საზღვაო და ავიაკატასტროფები, ტერაქტები. ეს უკანასკნელნიც რეალურ პოტენციურ ხიფათს წარმოადგენენ.

საქართველოს რესპუბლიკას ჰყავს მტრები და ხელოვნების გამოფენა საჯარო დაწესებულებაში დიდად მოწყლვადია ვანდალიზმისა და ტერორიზმის აქტებისათვის. როგორც ხედავთ, ასეთი აქტებისაგან არც აშშ არის დაცული.

2. რეკომენდირებულია გარკვეული სიფრთხილის ზომები ასეთი აქტების ალბათობის მინიმიზაციისთვის. შეფუთვის, გადატანის, გახსნის და გამოფენის ეტაპზე ქართველმა კურატორმა სულ უნდა აკონტროლოს, ადგილზე მყოფმა, ეს პროცესები. გარდა ამისა, ამ ფასდაუდებელ საგანთა გადაზიდვა უნდა ხდებოდეს ყველაზე უსაფრთხო სატრანსპორტო საშუალებებით: ჩვეულებრივ, ასეთია საზღვაო გზა მხოლოდ ყველაზე მაღალი რეპუტაციის მქონე სანაოსნო კამპანიათა გამოყენებით, კურატორი მუდამ ბორტზე უნდა იყოს, რათა თვალი ადევნოს და ახლდეს ნივთებს. მუზეუმები და სხვა დაწესებულებები, სადაც გამოფენილი იქნება ეს საგნები გამართული უნდა იყოს რთული ელექტრონული უსაფრთხოების მოწყობილობით, ვიდეომეთვალყურეებისა და ... დეტექტორების ჩათვლით, რომლებშიც გაივლიან მნახველნი, გარკვეული ნივთები მუდამ უნდა იყოს ტყვიაგაუმტარი მინის უკან ან გამჭვირვალე ლუქსანის ყუთებში. ამ დაწესებულებებს უნდა ჰყავდეთ უსაფრთხოების დაცვაც.

3. მეორე მოსაზრება ასეთი ფასდაუდებელი ქმნილებების ასეთ გამოფენაში ჩართვის შესაძლებლობის თაობაზე ეხება მაყურებელთა პოტენციურ რაოდენობას. მე დიდი კვლევა გავწიე საკითხის ამ მხარესთან დაკავშირებით და არ ვარ დარწმუნებული, რომ გამოფენა მიიზიდავს იმდენ მაყურებელს, რამდენიც საჭიროა კარგა დიდი რისკის გასამართლებლად. შევხედოთ ამ საქმეს: საქართველო არაა ძალიან კარგად ცნობილი აშშ-სთვის და, ჩემი აზრით, ეს ძველი მართლმადიდებლური სულიერების ნიმუშები ვერ მიიზიდავს მრავალრიცხოვან მაყურებელს, რეკლამა სარგებლობას მოიტანს, მაგრამ იმგვარი მედია-ბლიცი, რაც დიდი აუდიტორიის მოყვანას სჭირდება, ძალიან ძვირი იქნება. აშშ-ში უფასოდ ბევრს ვერაფერს მიიღებთ. საკითხავია: ღირს ეს მოგებები ასეთ ფინანსურ რისკად?

იმედი გვაქვს, რომ ეს მოსაზრებები გათვალისწინებული იქნება გადაწყვეტილების მიღებისას.

***რიჩარდ სუიბი***

*რიჩარდ სუიბი დიზაინ-ინტერნეშენალი "RSDI" წარმოადგენს საკონსულტაციო ფირმას, რომელსაც გააჩნია ოცდაათ წელზე მეტი ხნის გამოცდილება საერთაშორისო გამოფენების დაგეგმვასა და მენეჯმენტში. რიჩარდ სუიბი პროფესიით დიზაინერია (ინდუსტრიულ დარგებში), კარგად იცის ყველა თავისებურება და ერკვევა იმ სირთულეებში, რაც კულტურათა საქმიან ურთიერთობებს შეეხება. აწყობს და მონაწილეობს საერთაშორისო გამოფენებსა და საერთაშორისო ბაზრობებში მთელს მსოფლიოში. რ. სუიბს დიდი გამოცდილება აქვს განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპისა და კერძოდ, ყოფილ სსრკ-თან ურთიერთობაში.*

*დაარსდა რა დამოუკიდებელ ფირმად 1987 წელს, "RSDI"-იმ უკვე განახორციელა საგამოფენო პროექტები აშშ-ში, სსრკ-ში, ესპანეთში, იაპონიასა და საუდის არაბეთში. ამ ფირმის შექმნამდე სუიბი ხელმძღვანელობდა აშშ-ს საინფორმაციო სააგენტოს გამოფენათა მოწყობის განყოფილებას, სადაც ის განაგებდა 280 მლნ. დოლარიან ბიუჯეტს აშშ-ს ეროვნული გამოფენის მოსაწყობად მთელს მსოფლიოში. სუიბს მიღებული აქვს ბევრი საპატიო ჯილდო წარმატებული სამსახურისათვის, მათ შორის „მათს ფაუნდეიშენის" ჯილდო შემოქმედებითი ურთიერთობებისათვის და უმაღლესი საპრეზიდენტო ჯილდო დიზაინში.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სატირისა და იუმორის გვერდი



რუბრიკის მასპინძელია
## ნიკოლოზ იოსებიძე

### ყველას და ყველაფერს, თანამედროვე ელფერი უნდა მიეცეს

არ შეჭამეს გული ზოგიერთებმა ამ თავისი ქართველობით?! გაიგეთ, რომ ეროვნულობაზე ლაპარაკი დღეს სირცხვილია, ხალხო, სირცხვილი! ეროვნულობა რომ საჭირო და აუცილებელი იყოს, ჩვენზე კარგად ჩვენი მთავრობა და პარლამენტი მიხვდებოდა. პარლამენტსა და მთავრობაში ასეულობით ადამიანია თავშეფარებული და ჯერ არავის უკითხავს მათთვის, რა ეროვნებისა და წარმოშობისა ხარო. არც არის საჭირო. გაიგეთ და დაიჯერეთ, რომ ჩვენ კაი ორი-სამი თვეა, ფაიზალი ევროპელები ვართ და თუ ევროპელობაზე თავს ვდებთ, ქართველობაზე ლაპარაკი, რბილად რომ ვთქვათ, პროვინციალიზმია.

გაევროპელებამ ჩვენ კულტურისა და განვითარების ზენიტში უნდა აგვიყვანოს, ამიტომაც ეროვნულობისაგან თანდათან დავიბანოთ ხელები.

პირველ რიგში გვარ-სახელებზე უნდა ვიზრუნოთ. ასე, მაგალითად, გვარი ქართველიშვილი უნდა შეიცვალოს მმართველიშვილად, აზიკური — ევროპულად (აი,



მ. აბაშიძის ნახატი

თუნდაც ეს გვარი — ევროპული; რა კარგად ჟღერს!), ხერხეულიძე — ხერხეცულიძედ (უამრავი ტყის მხერხავ-გამანადგურებლების გაჩენის გამო). უნდა დამკვიდრდეს და განივრცოს გვარები: ყაჩაღიძე, ჩხირაძე, ჩხერია, ცისფერიძე, ღლეტელიძე, წურბელაშვილი, მელაკუდაშვილი, ბაზარაშვილი, ბოზანდარაშვილი, ბორდელაძე, მენაგვეთუხუცესი, მათხოვარიძე, ლარიაშვილი, ლარია (და არა ლორია), ჯიხურაშვილი და ა. შ.

უფრო ჭკვიანური იქნება, თუ საერთოდ მთელ საქართველოში (ბოდიში — ყოფილ საქართველოში) იარსებებს ერთი, ჩვენი ერისათვის ფრიად შესაფერისი გვარი — სკამკოჩაშვილი. რაც საქართველო და ქართველი ხალხი არსებობს, სკამისათვის ხოცავდნენ და ხოცავენ ერთმანეთს. თუ გავითვალისწინებთ, რომ „კოჩი" მეგრულად კაცს ნიშნავს და სკამი სკამია, ე. ი. ყველაფერი გასაგებია. აქ განმასხვავებელი, რა თქმა უნდა, სახელი და მამის სახელი იქნება. თუმცა მამის სახელის ამოღებასაც აპირებენ თურმე პასპორტიდან და სწორი იქნება — ვის რაში სჭირდება ჩვენი მამის სახელი, მთავარია შენ თვითონ იცოდე, „ვისოვიჩი" ხარ. ამას წინათ ქუჩაში ერთი ხმამაღლა აფრქვევდა მთელ თავის ცოდნა-გამოცდილებას, მამის სახელი რომ ამოიღონ, ტელეფონის წიგნში აბონენტის პოვნა გაძნელდებაო. ვინ რა თავში იხლის ტელეფონების წიგნს, „ვეფხისტყაოსანს" აღარ კითხულობს ხალხი.

აბა, ის იყო საქმე? ერთი მუშა მყავდა მეურნეობაში: ალი-ალმამედ-ისლამყული-შაბან-ყურბან-ოღლი. მე, რა თქმა უნდა, პირველი დღიდანვე შევუმცირე გვარ-სახელ-მამის სახელი და მოკლედ მივმართავდი: შაბან-ყურბან! მშვენივრად შეაჩვია ყური იმ დღიდანვე. რაც უფრო გამარტივებული იქნება გვარ-სახელები, მით უკეთესი! რაც შეეხება პასპორტში ეროვნულობის აღნიშვნას, ასე ხელაღებით მისი ამოღება მე პირადად არ მიმაჩნია გამართლებულად. ჩემი აზრით გრაფა „ეროვნება" უნდა დარჩეს გრაფად და მის გვერდით (უფრო სწორად — გაგრძელებაზე) უნდა ჩაიხატოს სამი თითის კომბინაცია, შეიძლება ორი თითისაც — საჩვენებლისა და ცერის.

შესანიშნავი სახელი იყო დღემდე ქართლოსი, მაგრამ არასოდეს გვიფიქრია იმაზე, რომ ეს კომბინირებული სახელია და „ქართლისა" და „ოსეთის" შერწყმით არის წარმოშობილი. იმის გამო, რომ ქართლის გული ოსებმა მიითვისეს და ჩვენ მხოლოდ ფეხები და ფეხებს შორის მოთავსებული „ბუს კვერცხები" დაგვიტოვეს, ქართლოსი უნდა შეიცვალოს მართლოსით (ანუ მართალი ოსი) ან მთლადოსით.

რამდენჯერ უნდა შეგვახსენონ, რომ წინაპრებით სპეკულაციას უნდა შევეშვათ და თანამედროვე-გამოჩენილი და არგამოჩენილი პიროვნებებით უნდა ვიმსჯელოთ საქართველოსა და ქართველებზე (ბოდიში — საქართველოს მოქალაქეებზე). თუმცა, თუ არ იქნება ეროვნება „ქართველი", საქართველო რაღას ნიშნავს?! არადა, სასწრაფოდ უნდა მოიძებნოს შესაბამისი შესატყვისი, თორემ დავიღუპეთ — რუკაზე როგორ უნდა აღინიშნოს? ერთი სავარაუდო ვარიანტი მოფიქრებული მაქვს, მაგრამ მეუხერხულება გამხელა იმდენად, რამდენადაც წინაპრების სულისა მრცხვენია. ვიცი, რომ მკითხველებს დააინტერესებთ ჩემი აზრი და იმისათვის, რომ მათ გული არ დავწყვიტო, მოგახსენებთ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ რაც საქართველო არსებობს. ყველა ჯურისა და ეროვნების, ტომისა და თესლის, ჯიშიანი თუ უჯიშო დანავარდობდა და დანავარდობს ქართულ მიწაზე, ყველაზე შესაბამის სახელად ჩვენი ქვეყნისათვის მიმაჩნია „სანავარდო". ეს სახელი ლამაზადაც ჟღერს, მტრებსა და „მოყვრებს" ყურში უხეშად არ მოხვდება და, რაც მთავარია, ამართლებს თავის სახელს.

თანდათან უნდა შევეგუოთ იმას, რომ „საქართველოს" და „ქართველის" ხსენება უხერხულია ევროპულ ფონზე. თავისთავად ცხადია, რომ ეროვნულ წეს-ჩვეულებებზე და, მით უმეტეს — ტანსაცმელზე (რა თქმა უნდა, იგულისხმება საცეკვაო და სხვა რეკვიზიტული ტანსაცმელი) ხელი უნდა დავიბანოთ. როგორ, თუ ქართული ტანსაცმლით შეიძლება ქართული ცეკვა-სიმღერების შესრულება, რატომ არ შეიძლება ევროპულით? აბა, წარმოიდგინეთ, რა სანახავი იქნება შოტლანდიურ „იუბკაში" გამოწყობილი, წელზე დაშნიანი, ბერეტიანი ყოფილი ქართველი ბრგე ვაჟკაცისა და მინი კაბაში ან თუნდაც ბიკინებში და ლიფში გამოწყობილი, ფატიანი უნარნარესი ქალწულის სცენაზე სრიალ-გოგმანი. ეს იქნება ენით აუწერელი და ყველასათვის უცხო რამ!

თუნდაც ასეთი სცენა: კონფერანსიე აცხადებს: ცეკვა დაშნური! (ყოფილი ხანჯლური). ლამაზ ევროპულ კოსტუმებში და „ბაბოჩკებში", ან თუნდაც ჰალსტუხებში გამოწყობილი მოცეკვავეები რომ გამოცვივდებიან სცენაზე და ატყდება ერთი ნაპერწკლების ყრა! რა მნიშვნელობა აქვთ, რა აცვიათ მოცეკვავეებს და რა უჭირავთ ხელში (სხვანაირად არ გამიგოთ, იგულისხმება იარაღი) — ხანჯალი თუ დაშნა.

სხვათაშორის, უნდა შესწორდეს, ან მთლიანად შეიცვალოს ქართული ხალხური სიმღერების რეპერტუარი. ყოველ შემთხვევაში, სიმღერის ტექსტი უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე სიტუაციას და ეყრდნობოდეს პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალურ მდგომარეობას. აი, როგორ წარმოგვიდგენია ჩვენ იმერული მგზავრულის თანამედროვე ვარიანტი:

*ჩემო მკვლელო, ჩემო მწველო,*
*ყველა ახლო მეზობელო!*
*აგისრულდათ ოცნებები.*
*დეიშალა საქართველო.*
*ჩვენში აღარც კაცი კაცობს,*
*აღარც ვარდი აღარ ვარდობს,*
*ვისაც უნდა, რაფერც უნდა,*
*ჩვენს მამულში დანავარდობს,*
*საქართველოს ახლებურად*
*დოუძახოთ „სანავარდო."*

არა მგონია, აქ ვინმე რამეზე შემოგვედაოს. რაც ჩვენ ჩვენმა ახლო მეზობლებმა გვწვეს და გვხოცეს, ამაზე უკეთეს ტექსტს ვერ მიუსადაგებს ვერც ერთი საქმის მცოდნე ადამიანი. მოტივი, რა თქმა უნდა, ძველებური დარჩება!

ასევე ცნობილ მოტივზე უნდა შესრულდეს სიმღერა: „ტაში, ბიჭო!"

*ტაში ბიჭო, ტაში, ტაში!*
*შენ დოუკარ ტაშიაო,*
*პრეზიდენტის შრომა-გარჯა,*
*არ ჩაყრილა წყალშიაო.*
*გეიხარეთ, საქართველო*
*უკვე ევროპაშიაო,*
*ერთი კია, დღეს ქართველი*
*მტერს ვერ არჩევს ძმაშიაო.*
*ვირთხის ხროვა შესჩვევია*
*ლარებს ხაზინაშიაო*
*დღედაღამე პენსიების,*
*ხელფასების ხვრაშიაო,*
*ჩვენი ბედის ვარსკვლავები*
*მაინც ბრწყინავს ცაშიაო.*
*უცხოური ნავთი შედის*
*სუფსის ტერმინალშიაო,*
*ვინცხა ვინცხას აბრალებდა,*
*ჩეილვარა ზღვაშიაო.*

წარმოიდგინეთ, რა სასიამოვნო და საამაყო იქნება კახელი გლეხის შესრულებული სიმღერა: „შენ ჩემი გაზაფხული ხარ".

*„შენ ჩემი გაზაფხული ხარ,*
*ჩემი ოცნების წყარო ხარ,*
*პასპორტში „მარგრეთ" გეწეროს*
*მე ხო ვიცი რომ მარო ხარ!*
*არ მამწონს ევროპელობა,*
*თუმცა მე ვინა მკითხავსო,*
*მაიქლის დედაც ვატირე*
*რითი სჯობია მიხასო?!*

რამდენი სიამაყე, სიყვარული და ეროვნულობაა შიგ ჩაქსოვილი, არა მგონია ცრემლის გარეშე მოისმინოს ვინმემ.

ასევე დიდებულად ჟღერს პოპულარული ქართული სიმღერა „არა, უნდა გაგებუტო" თანამედროვე ინტერპრეტაციით, რომელიც გურულებმა მიუძღვნეს თანასოფლელს:

*არა, უნდა გაგებუტოთ,*
*ხმებზე უნდა გითხრათ ვარი,*
*ასე რეიზა დააქციე*
*ჩვენი ქვეყნის მთა და ბარი,*
*რაფერ „გეიხურე კარი",*
*არ გვაქვს აღარც ერთი ლარი,*
*ასე ნელა-ნელა რომ გვკლავ*
*ბარემ შუბლში ტყვია გვკარი!*
*ქე ვართ რაფერც სამარეში,*
*ველარ გამოგვარჩევ მკვდრებში,*
*აწი ერთ კაცს ვერ შეაცთენ,*
*ხმა რომ მოგცეს არჩევნებში.*

აი, ასე, ჩემო ძვირფასებო, ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს. გუშინდელი აზრები დღეს აღარ გამოგვადგება. ყველასა და ყველაფერს თანამედროვე ელფერი უნდა მიეცეს.


მ. აბაშიძის ნახატი





# კურიოზები



**კინოსა და თეატრის პოპულარული მსახიობი თაზო თოლორაია.**
**ესაუბრა მურმან მერკვილიშვილი**

**...წესით, ცხოვრება ძნელია, მაგრამ არც ისე, როგორც სცენაზე ცხოვრება. მე რამდენიმე კურიოზს მოგიყვებით, დანარჩენიც, მერე...** *(თ. თ.)*

### ვეტერანები

ის პერიოდია, პური რომ ჭირდა ჩვენში. ცოლი საოჯახო საქმეებითაა დაკავებული. რა ვქნა? რიგში დგომა და პურზე ჩალიჩი მე მერგო წილად. არადა, არაა იოლი საქმე. დილით, სისხამზე უნდა ადგე... იბრძოლო, იომო და მოიპოვო პური შენი არსობისა.

პენსიონერები ცალკე რიგად მოწყობილან. ჩვეულებრივ რიგთან შედარებით, უფრო სიმშვიდე და წესრიგი იგრძნობა. მოგეხსენებათ, პენსიონერთა უმრავლესობა, ძველი კომუნისტები არიან და წესრიგი, კი, მოგეხსენებათ, „მათი მოგონილია".




რა თქმა უნდა, მიუცხოვეს.

— ყმაწვილო, წინ რატომ მიდგები? — შემეხო აკანკალებული ხელით სათვალიანი პენსიონერი — გადმობრძანდით ჩემს უკან.

„ჩემს უკან", უბოროტოდ იყო ნათქვამი და გადავინაცვლე...

— კიდო უკან გადადი... ვინაა, კაცო, ეს? — გადაირია იგივე კაცი.

— ხომ გადავედი, ბიძია, რას გიშლით თქვენ? — ავნერვიულდი.

— რაა, ბიძიკო და რომ დამაძგერე მაგი გემის ლუზის ხელა ცხვირი ამ გაჩხინკულ კაცს ბეჭებში, რავა ფიქრობ, არ მეტკინებოდა?

— ზოგ უცხვირპიროს, დიდცხვირა ჯობია — გამომესარჩლა ქალი, რომელიც ამ ჩემი „ოპოზიციონერის" „ბივში ცოლი" ყოფილა.

— გაკმინდე, კატუშა, ხმა. დიდცხვირიანი კაცი რომ ჩარიე ჩვენს შორის, იმიზა გაგცილდი ოცდაერთი წლის წინ... შეულრინა „ბივშიმ".

საათს დავხედე... თეატრში ვაგვიანებ. არაა საშველი. გავწიე ცხვირი გვერდზე და ვსუნთქავ უხერხულად.

მოულოდნელად ლოყალაულაუა, რეგლანიან პალტოში „დაზმანული" კაცი მომადგა უკან.

— გამიცვალე, ბიძიკო, ადგილი.

— რატომ? — დავინტერესდი.

— რას ქვია, რატომ?... გადადი უკან, რომ გეუბნები, შე ცხვირმოუხოცავო...

შემრცხვა. ზეწრისხელა ცხვირსახოცი ამოვიღე და ცხვირი მოვიხოცე.

ახლა სხვა კაცი მომადგა.

— ბიძიკო... ლენინგრადის ბლოკადაში ვარ მონაყოლი. პური მიყვარს... დანატრებული ვარ ძლიერად, გადადი უკან.

„არაა საშველი... არა..."

— ნელა მოტრიალდი, ბიძიკო, ცხვირი არავის გაკრა, თვარა ამ მისავათებულებს მეტი კი არ უნდათ. გეიშხლართება ვინმე ძირს და იარე მერე საავადმყოფოში ვაშლებით და მაწვნით... დამარიგა იმ კაცმა.

ჩემი მეზობელი, ქსენია დეიდა შემოფაცხუნდა...

— რასაა რომ ეუბნები, შე მყრალო ბერიკაცო, ამ ბალანას? — შეუტია იმ კაცს.

— ომში ვარ ნამყოფი და იმიზა! — დაასაბუთა ამან.

— შენ ტელევიზორი გაქ? — მკაცრად ეუბნება ქსენია.

— ტელევიზორიც მაქ და კაი „კუშეტკაც", — აშკარად მოეწონა ჩემი მეზობელი კაცს.

— მეისპი იქით!!! ხო და ტელევიზორი თუ გაქვს, „ლიმილის ბიჭებს" ხარ ნაყურები?

— რა თქმა უნდა, სულ ომზეა... გაეხარდა კაცს.

— ხო და, აგი ბალანა იმ ომში შენსავით კი არ იქცეოდა, სულ მოკვდა, მარა პატიოსნად იქცევა...

„დეზერტირები" ჩამომეცალნენ და ასე წვალებით ვიშოვე იმ დღეს პური.

ხვალ რა მეშველება?

### სიხარული

ერთი ძალიან კარგი მეგობარი მყავს. ერთ კლასში ვსწავლობდით. სულ ფრიადებზე დაამთავრა და ერთ სამეცნიერო ცენტრში მუშაობს 28 ლარზე ეს უნიჭიერესი და უპატიოსნესი კაცი.

ბერდება, ცოლი არ შეურთავს. 28 ლარის იმედზე, ასეთი გრანდიოზული „ლონისძიება", რა თქმა უნდა, ძნელი ჩასატარებელია, თან 6 თვეა ხელფასი არ აუღია საწყალს და ებრძვის მეცნიერებას და ცხოვრებას თავგანწირვით. „მაგრამ ჭკუა რას უშველის, თუ ბუნებამ არ უშველა?"

მშობლების დანატოვარი ბინა აქვს ურემონტო.

— რა გიშველო? — ვეკითხები ხოლმე.

— შენ რა უნდა მიშველო, თაზოს შემოვევლე. ვისაც შეუძლია, ისინი არ მშველიან. შენ იყავი კარგად...

აი, ასეთი თავმდაბალი კაცია.

— თაზო, ჩემი ძმა ხომ ხარ? — მირეკავს ერთ დღეს სახლში.

— მოიცა, მოიცა, მამაშენია მამაჩემი, თუ მამაჩემია მამაშენი? — ვეხუმრე უკბილოდ.

— ნუ გლახაობ, ერთი რამე უნდა გთხოვო... ახლა რომ გელაპარაკები, ძალიან მიჭირს.

— თუ გიჭირს, წადი ახლა... ჯერ ეგ საქმე მოითავე და მერე დამირეკე, შე კაი კაცო... სახლში ვარ დღეს-მეთქი.

— ბიჭო, რა ზუსტად „მოარტყამ" ხოლმე... რომ „მიჭირს" და რომ ვერ ვარ!

— კუჭში ხარ შეკრული? — ავღელდი.

— არა, პირიქით.

— აპა, რა გიჭ...

— რრაა და... უნიტაზი გამიტყდა და 4 დღეა მეზობელთან დავდივარ, მაგრამ ახლა საეჭვოდაა საქმე... როდის მომინდ... შუა ღამეს მეზობელთან ხომ არ გავალ? — ყლაპავს სიტყვებს და ალბათ ცრემლებსაც.

დავსერიოზულდი.

— იცი, რა... ერთ საათში დამირეკე... გავამხნევე მე.

სახლში რემონტი რომ გავაკეთე, ძველი რუსული უნიტაზი „მომრჩა" (ჩეხური დავაყენე) და სადღაც მქონდა შენახული. დავიწყე ძებნა და ვნახე კიდევაც.

ცოტა ხანში მირეკავს გამწარებული.

— ჰა, თაზო, რა ქენი? — ძალიან მეჩქარება... მიჭირს... მიჭ!

— ხო, ხო, მოვძებნე უნიტაზი, შენთვის. ზუსტად შენი ზომა არაა, ორჯერ დიდია, მაგრამ ტუალეტის კარის სახელურს რო თოკი მოაბა შიგნიდან „იმ დროს", ხელზე დაიხვიო, მშვიდად იქნები, არ ჩავარდები თქო.

— „რაზმერს" რას დავეძებ, თუ ძმა ხარ. თოკი თავის ჩამოსახრჩობად მქონდა გამზადებული, ახლა, შენ გაგახარა ღმერთმა — მაგისთვის გამოვიყენებო.

— აგწყობია საქმე, მოდი და წაიღე! — ვუპასუხე რიხით.

— მალარიჩი ჩემზე იყოს... გაეხარდა და, როგორ.

— არ მითხრა ახლა, უნიტაზზე ვიქეიფებო.

— კაი, რა... მოვდივარ.

ზუსტად 2 საათი გავიდა... არ ჩანს. დავვეჭვდი და გადავურეკე, არავინ იღებს ყურმილს.

მესამე საათი რომ დაიწყო,



ეზოში მისი 20 წლის, ღვთისპირიდან გადავარდნილი „01" შემოვიდა ეზოში. იტკაცუნა, იხრიალა, დააყენა შავი ბოლი ეზოში და როგორც იქნა... ჩააქრო. ჩაიდო უნიტაზი... ახლა დაქოქვა გაჭირდა. რომ დაიქოქა, ფანჯრიდან მითხრა, ამ პატივისცემას არ დაგივიწყებ... სულ მემახსოვრებიო.

— მიდი, მიდი... ძველო („სტარიკ")! გავამხნევე.

„ოდეს კაცსა გაუჭირდეს, მაშინ უნდა ძმა და თვისი" — ჩავიღიღინე და გულში სითბო ვიგრძენი.

ოთხი დღის შემდეგ მირეკავს.

— აგაშენა, თაზუნიკო, ღმერთმა. დავაყენე შენი „ნობათი". კარგი რამეა. რა გიკისრო ახლა, რა გაგისწორდება?

— რაზეა „ბაასი". არ დამივიწყო-მეთქი.

— რას ლაპარაკობ, თაზიკო... რამდენი დავჯდები უნიტაზზე, სულ შენ მახსენდები იმ დროს და ასე იქნება სულო...

ასეა, ძმაო... არ „მივიწყებენ"...

### მოსაზრება

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს შორის საკმაოდ ასაკობრივი სხვაობა იყო, მაინც დიდი მეგობრები და კოლეგები გახლდით მე და ბატონი იპოლიტე ხვიჩია. ეს ღვთისგან მსახიობად დაბადებულ-გაჩენილი პიროვნება.

გასტროლებზე ქობულეთში მოვხვდით იმჟამად. ერთ დღეს



ზღვაზე ვგრილდებით. ჩვენი ერთი კოლეგა, რომელმაც ცურვა არ იცოდა და ზღვა და წყალი მაინც ძალიან უყვარდა, ჩავარდა და ყლაპა ბლომად მლაშე წყალი.

გვყავდა მოცურავე ბიჭები. გადახტნენ და ამოაბორძიკეს, მაგრამ ნაპირამდე ველარ ამოათრიეს გონდაკარგული „ზღვის მსხვერპლი". დავეხვიეთ იქვე, ნაპირზე, წელს ქვემოთ წყალშია. მაგრამ სასუნთქ-საყანგბადო ორგანო, ცხვირი — (ჩემზე ნაკლები კი არ ჰქონდა), „სამშვიდობოზეა".

ვეცით ამ კაცს და დავუწყეთ ხელების (ზემო კიდურების) პროცედურა. დავუკეცავთ — ჰხ... ყლლუ — ამოასხამს წყალს პირიდან... კიდევ — ყლუპ კიდევ — ყლ... ახ! ასხამს და ასხამს პირიდან წყალს.

საწყალი იპოლიტე, თავზე „შლაპით" და მამაპაპური ფოხანით დარბის და ყველას ეხვეწება, გვიშველეთ, გვიშველეთო.

მოგროვდა ხალხი. პროფესიონალი ექიმიც გამოჩნდა, მიმიშვითო (რუსი, ვასია ზოლოტუხინი) და დაუწყო ლონივრად ხელების მოძრაობითი პროცედურა დაზარალებულს. ასხამს და ასხამს წყალს... რა ჩაყლაპა ამდენი.

— არა... ეგრე არაფერი გამოვა! — იკივლა იპოლიტემ.

ყველამ შეხედა.

— კაცოო... ამოწიეთ ბოლომდე ნაპირზე, თვარა, „ამოხაპავს" მაგი უკანალით ზღვას და ქაჩეთ... პოლიტიკურია... ხალხს სჭირდება ზღვა... აპა?!

### ოჲ, ბავშვებო!

13-14 წლის ვარ. მაშინ ელბაქიძის დაღმართზე ტროლეიბუსები მოძრაობდნენ.

ხომ იცით, რა ასაკია? ძალიან „მურტალი". მართალია, ცელქი ბავშვიო, ამბობენ, უფრო კარგი იზრდება და, ცხოვრებაში სერიოზულდება.

ერთი სიტყვით, ხელში თითოთითო „მაროჟნით" ავცვივდით ამ ტროლეიბუსში. რუსთაველის პროსპექტიდან მარჯანიშვილის მოედნისკენ რომ მიემგზავრება.

ამოვარდა „შტანგა". გაჩერდა... დამუხრუჭდა ტროლეიბუსი. მძღოლი ოპერატიულად გადმოხტა და „შტანგას" დიდი ამბით უმიზნებს მავთულს.

...მოულოდნელად ტროლეიბუსი დაიძრა. დაიძრა, ფილარმონიაზე რახარუხი ატეხა და ეშვება.

უკანა „ბაქანზე" ვართ და „მაროჟნს" რძის გასვლამდე ვებლღარძუნებით.

— ვაი! გააჩერეთ! გააჩერეთ... მოგვსდევს უკან ვილაც ნახევრად ბუტილკა შარვლიანი კაცი.

ავტეხეთ ხორხოცი...

— მოდი, დაგვეწიე!

— ვერ გვეწევა, ტოო...

— ძია, „დაგაზე" რაა! — მოუმატე... ჰააა... მიდი, მიდიი! — (მეტი რა საქმე გვაქვს!).

— ვერ დაგვეწევიო, ვერ დაგვეწევიოო! — ვკვდებით სიცილით!!! კაცი გაიხვითქა.

...როგორ არ გაიხვითქებოდა, თურმე იმ ტროლეიბუსის მძღოლი ყოფილა საწყალი.

...თბილისის ერთმა უხუცესმა ჭადარმა „დაგვატორმუზა".

### საზამთრო

რეპეტიცია თეატრში საყოველთაოდ, 11.00 საათზე იწყება. თავის დროზე გამოვცხადდით.

ჩვენი, კინომსახიობთა თეატრი, ძველი კინოსტუდიის ტერიტორიაზეა.

ეზოში ვარ.

მოდის ბატონი იპოლიტე. მიადგა იქვე მდებარე გაზეთების ჯიხურს (გაზეთებს არ უშვებდა წაუკითხავს).

მარჯვენა ხელი სასწაულად მოურკალავს და ლამის შარვლის ჯიბესთან, დონიჯად უჭირავს.

მარცხენა ხელით, მარცხენა ჯიბეში ეძებს ხურდას. მაშინ „ხურდით" იყიდებოდა გაზეთები.

წვალობს, იკლავს თავს... ძლივს ამოქექა ხურდა ფული.

სასწაულად გავკვირდი, ხელი თაბაშირში ხომ არა აქვს-მეთქი? არა. იმ რკალში, რასაც ხელის დონიჯი ჰქვია, აბსოლუტური სიცარიელე იყო.

— ბატონო იპო! — მივუახლოვდი წყნარად, — რატომ წვალობთ, მეორე ხელით ამოგეღოთ ხურდა?

— ვაი შენ პატრონს? — ეს საზამთრო, ძირს დამივარდეს ხომ? შე ეშმაკო, შენ?!!

— სადაა საზამთრო? — დავინტერესდი.

იპომ იღლიას დახედა.

— მართლა სადაა! — ახლა არ ვიყიდე, კაცო?

საზამთრო ოთხი მეტრის იქით „იღიმებოდა" ასფალტზე დათხლეშილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სატელევიზიო პროგრამები. 27 ივლისი – 1 აგვისტო

## 27 ივლისი, სამშაბათი

7.30 ალიონი. 9.00 აერობიკა. 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 18.15 მესაკუთრე. 18.30 „საქართველო არის ესე..." 18.55 მოტვ. 19.05 სერიალი „დალასი". 20.35 „ბასტი-ბუბუ". 21.00 ვიდეოპატრული-02. 21.10 ტელესკოპი. 21.15 ინტელექტ-კლუბი. 22.00 ვესტნიკი. 22.25 რეტროპერსპექტივა. 23,25 ასპარეზი. 23.40 კამერა-ტონი. 0.15 მხ. ფ. „სიყვარული და მტრედები".

18.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 19.45 „ექიმის მოსვლამდე..." 20.00 სუპერ-მატჩი. 21.10 სერიალი „ანტონელა". 22.00 „საუბრები მართლმადიდებლობაზე". 22.20 კინოს საუკუნე. 22.50 მხ. ფ. „ბრილიანტის ხელი". 0.00 ჰიტ-პარადი.

7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 „ზოლიანი ბანანები". 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.55, 2.35 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00, 23.55 „ორნი". 10.00, 18.15 „ელენი და მისი მეგობრები". 10.30, 19.10 „ცისფერი ხე". 11.20, 20.05 „გვადალუპე". 12.15, 15.15 მხ. ფ. 14.10 „ნანო". 16.30 დოკ. ფ. 17.10 „ლოს-ანჯელესის კანონი". 18.40 აკუნა მატატა. 21.40 მხ. ფ. „ვჯო ქიდი". 23.00 ანალიტ. პროგრამა „პერეკრესტოკ". 0.50 მხ. ფ. „სახლი-4". 2.45 კლასიკა.

**VII არხი** 11.30, 18.05, 20.05, 22.45 ტელეგაზეთი. 11.35, 20.10 აჩიკუდა. 11.50 „ილია". 11.55 მხ. ფ. „ყორანი-2". 18.20 მხ. ფ. „აურზაური უმაღლეს სკოლაში". 19.40, 0.25 მუსტაიმ-აუტი. 20.35 მხ. ფ. „მევერიკი". 22.50 მუს. ლაბირინთი. 22.55 მხ. ფ. „მაკბეთი". 0.40 დოკ. სერიალი — ელიტარული ქვედანაყოფები". 1.40 მხ. ფ. „ომენი-2".

17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს. 17.15 მულტფილმები. 17.35 დოკ. ფ. 19.00 სპექტრი. 20.20, 21.45 მუსიკა. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ. ფ. „აქ მოედინება მდინარე". 0.15 მხ. ფ. „მხოლოდ უძლიერესი". 1.50 მუს. კალეიდოსკოპი.

**ევრიკა** 11.00, 18.00, 22.00, 0.00 „სტუდია-25". 11.30, 20.30 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 28.15 სერიალი „მხოლოდ შენ". 14.15 მხ. ფ. „ცოდვების მონანიება". 18.05 ბიზნეს-კურიერი. 19.00 „ხვალ... (საქართველოს პოლიტიკური ანატომია). 21.00 მუსიკალური სამშაბათი. 22.30 მხ. ფ. „ეჭვგარეშე დამნაშავე".

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.15 ექო. 10.15, 17.45 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ. მხ. ფ. 12.30 სპორტ. პროგრამა. 13.00, 15.15, 21.00, 1.30 მხ. ფ. 15.30 მუს. კოლაჟი. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 12.05, 19.25, 21.15, 22.50, 0.50 მუსიკა. 10.30 მხ. ფ. „ზნედაცემული მართლმსაჯულება". 12.15 კლიპ-მიქსი. 18.00 დოკ. ფ. 19.35 მხ. ფ. „პიკის სათი". 21.15 მხ. ფ. „მიზანში". 23.10 მხ. ფ. „მხსნელი". 1.05 მხ. ფ. „ნამსხვრევებად ქცეული". 2.40 ნონ-სტოპი.

07.00 Телеканал "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 01.30 Новости 10.15, 18.00 Сериал "Во имя любви" 11.15 "Смехопанорама" 11.50 Домашняя библиотека 12.00 Сериал "Звездные войны" 13.15 Телеканал "Добрый день" 13.55 Х/Ф "Частное лицо" 15.10 Мульсериал 15.30 "Вместе" 16.15 Сериал "Гарри - Снежный человек" 16.40 "Счастливый случай" 17.25 "... До 16 и старше" 19.15 Сериал "Графиня де Монсоро" 20.15 "Как это было" 20.55 Сериал "Мисс Марпл" 22.00 Время 22.45 Х/Ф "Смерть негодяя" 01.00 "Тихий дом" 01.45 Сериал - "Темные Небеса" 02.35 Док. фильм "Частная прогулка с Мартином Скорсезе по американскому кино".

08.00 Сегодня утром 10.10, 23.45 Сериал "Солдаты удачи" 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня 11.20, 20.55 Х/Ф "Приключения Шерлока Холмса и Доктора Ватсона" 12.35 Мультфильм 13.30 Сериал "Операция "Трест" 15.30 Сериал "Доктор Куин, Женщина-Врач" 16.20, 0.40 Сегоднячко 17.30 Сериал "Захватчики" 18.25 Впрок 18.50 Сериал "Любовь и Тайны Сансет Бич" 19.40, 1.20 Криминал 22.15 Намедни-66 01.35 Антропология.

**DISCOVERY CHANEL** 13.00, 20.35 Рыболовное приключение Рекса Ханта 13.30 Взаимосвязи с Джеймсом Берком 14.25 Загадочные силы природы с Артуром Кларком 14.50 Австралиец 15.20 Первые полеты 15.45 Жизнь на Марсе 16.40 Ультранаука 17.10 Древние корабли 17.35 Игрок 18.05 Галактическая энциклопедия 18.20 Река сомнений 19.10 Приключения Квеста 20.10 Катастрофа 21.30 Мир Уолкерэ 22.00 Классические велосипеды 22.30 Искатели сокровищ 23.00 История одного зоопарка 23.30 Мир природа 0.30 Знаменитые побеги.

## 28 ივლისი, ოთხშაბათი

7.30 ალიონი. 9.00 აერობიკა. 18.00, 0.00 მოამბე. 18.15 50-50. 19.05 სერიალი „დალასი". 19.55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირის II რაუნდის მატჩი: „დინამო" (თბილისი) — „ზიმბრუ" (კიშინოვი). შესვენებისას — მოამბე. 21.50 ვიდეოპატრული-02. 22.00 ვესტნიკი. 22.25 ხერი. 22.35 მოტვ. 22.45 აფხაზეთი: გუშინ, დღეს ... 23.20 ტელე-სინე-ვიდეო. 0.15 მხ. ფ. „პირველი არ ავნებს".

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 20.00 5-5. 21.10. სერიალი „ანტონელა". 22.00 „ახლო ხედი". 23.45 მხ. ფ. „ლაქა". 0.00 ჰიტ-პარადი.

7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 „ზოლიანი ბანანები". 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30, 2.50 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00 ორნი". 10.00, 18.15 „ელენი და მისი მეგობრები". 10.30, 19.10 „ცისფერი ხე". 11.20, 20.05 „გვადალუპე". 12.15, 15.15 მხ. ფ. 14.10 „ნანო". 16.30 დოკ. ფ. 17.10 „ლოს-ანჯელესის კანონი". 18.40 აკუნა მატატა. 21.40 მხ. ფ. "მერი რაილი". 23.55 „მაშველები". 0.50 მხ. ფ. საფრთხობელა". 3.00 კლასიკა.

**VII არხი** 11.30, 18.05, 20.05, 22.20 ტელეგაზეთი. 11.35, 20.10 აჩიკუდა. 11.50 მხ. ფ. „მუდმივი არაფერია-1". 13.15 „ავტოპილოტი" (გამეორ.). 18.20 მხ. ფ. „ნინძა ბევერლი-ჰილზიდან". 19.45, 0.00 მუს. ტაიმ-აუტი. 20.35 მხ. ფ. „დაკები". 22.25 მუს. ლაბირინთი. 22.30 მხ. ფ. „მონადირის მთვარე". 0.15 დოკ. სერიალი „ელიტარული ქვედანაყოფები". 1.15 მხ. ფ. „ომენი-3".

17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს. 17.15 მულტფილმები. 17.35 დოკ. ფ. 19.00 სპექტრი. 20.20, 21.45 მუსიკა. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ. ფ. „ცოფიანი ძაღლი და გლორი". 0.15 მხ. ფ. „რასპუტინი". 1.55 მუს. კალეიდოსკოპი.

**ევრიკა** 11.00, 18.00, 22.00, 0.00 „სტუდია-25". 11.30, 20,30 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 სერიალი „მხოლოდ შენ". 14.15 მხ. ფ. „ეჭვგარეშე დამნაშავე". 18.05 მუსიკა. 19.00 „ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია). 21.00 სპორტ. პროგრამა. 21.30 დოკ. ფ. 22.30 მხ.ფ. „ვნების საგანი".

10.00, 17,30, 20.30, 22.00, 0.20 ექო. 10.15, 16.45 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ. მხ. ფ. 12.30 სპორტ. პროგრამა. 13.15, 15.15, 21.00, 23.35, 1.20 მხ. ფ. 14.45 დოკ. ფ. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 12.15, 19.10, 20.45, 22.55, 1.45 მუსიკა. 10.30 მხ. ფ. „მხსნელი". 12.25 კლიპ-მიქსი. 18.00 მულტფილმი. 19.20 მხ. ფ. „დოქტორი ჯეკი და მისის ჰაიდი". 20.55 მხ. ფ. „ვარსკვლავეთის კარიბჭე". 23.10 მხ. ფ. „უკანასკნელი იმპერატორი". 2.00 მხ. ფ. „ყინულოვანი ქარიშხალი". 3.50 ნონ-სტოპი.

07.00 Телеканал "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.40 Новости 10.15, 18.00 Сериал "Во имя любви" 11.20 "Джентльмен-шоу" 11.50 Домашняя библиотека 12.00 Сериал "Звездные воины" 12.45 Мультфильм 13.15 Телеканал "добрый день" 13.50 Х/Ф "Частной лицо" 15.10 Мульсериал 15.30 "Вместе" 16.15 Сериал "Гарри- Снежный человек" 16.40 "Классная компания" 17.00 Зов джунглей 17.30 "... До 16 и старше" 19.20 Сериал "Графиня де Монсоро" 20.15 "Человек и закон" 20.55 Сериал "Мисс Марпл" "Тайна Карибского Залива" 22.00 Время 22.45 Х/Ф "Курьер" 00.15 Концерт "Звезды против пиратов" 01.55 Сериал "Темные Небеса" 02.40 Док. фильм "Частная прогулка с Мартином Скорсезе по американскому кино".

08.00 Сегодня утром 10.10, 23.45 Сериал "Солдаты удачи" 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня 11.20 Х/Ф "Приключения Шерлока Холмса и Доктора Ватсона" 12.35 Мультфильм 13.30 Х/Ф "Операция "Трест" 15.30 Сериал "Доктор Куин, Женщина-врач" 16.20, 0.40 Сегоднячко 17.30 Сериал "Захватчики" 18.25 Впрок 18.50 Сериал "Любовь и тайны сансет бич" (США) 19.40 Криминал 20.40 Профессия-репортер 21.00 Футбол. Чемпионат России. ЦСКА - "Моольде" (Норвегия) 01.20 Футбольный клуб.

**DISCOVERY CHANEL** 13.00, 20.35 Рыболовное приключение Рекса Ханта 13.30 Галерея Роуга 14.25 Загадочные силы природы с Артуром Кларком 14.50 Австралиец 15.20 Первые полеты 15.45 Мир будущего 16.15 Красивое решение 16.40 Ультранаука 17.10 Древние корабли 17.35 Игрок 18.05 Галактическая энциклопедия 18.20 Век войн 20.10 Катастрофа 21.30 Мир Уолкера 22.00 Классические грузовики 22.30 Искатели сокровищ 23.00 История одного зоопарка 23.30 Мир природы 0.30 Знаменитые побеги.

## 29 ივლისი, ხუთშაბათი

7.30 ალიონი 9.00 აერობიკა. 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 18.20 ო. ჩხარტიშვილი. 18.45 პიგია. 19.05 სერიალი „დალასი". 20.35 „ბასტი-ბუბუ". 20.55 ვიდეოპატრული-02. 21.05 „ეპოქა" — ბ. კვერნაძე. 22.05 ვესტნიკი. 22.30 ხერი. 22.40 ეკო-დაიჯესტი. 23.00 მო-ტვ. 23.15 „მრავალსახეობა". 0.15 მხ. ფ. „კლიენტი".

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 20.00 პოროსკოპი. 21.10 სერიალი „ანტონელა". 22.00 კონტაქტი. 22.20 შვიდეული. 22.45 მხ.ფ . „ვჯო ქიდი". 0.10 ჰიტ-პარადი.

7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 „ზოლიანი ბანანები". 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30, 3.00 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00 „ორნი". 10.00, 18.15 „ელენი და მისი მეგობრები". 10.30, 19.10 „ცისფერი ხე". 11.20, 20.05 „გვადალუპე". 12.15, 15.15 მხ. ფ. 14.10 „ნანო". 16.30 დოკ. ფ. 17.10 „ლოს-ანჯელესის კანონი". 18.40 აკუნა მატატა. 21.40 მხ. ფ. „სხვისი ქორწილი". 23.55 „მაშველები". 0.50 მხ. ფ. „8 მმ". 3.10 კლასიკა.

**VII არხი** 11.30, 18.05, 20,05, 22.40 ტელეგაზეთი. 11.35, 20.10 აჩიკუდა. 11.50 მხ. ფ. „მუდმივი არაფერია-2". 13.25 „შეხვედრები ატლანტიდაში" (გამეორ.). 18.20 ქართ. მხ. ფ. „სიყვარული ყველას უნდა". 19.40, 0.50 მუს. ტაიმ-აუტი. 20.35 მხ. ფ. „შურისძიება". 22.45 მუს. ლაბირინთი. 22.50 მხ. ფ. „ედის ტელევიზია" 1.05 დოკ. სერიალი „ელიტარული ქვედანაყოფები". 1.45 მხ. ფ. „მყვირალები".

17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს. 17.15 მულტფილმები. 17.35 დოკ. ფ. 19.00 სპექტრი. 20.20, 21.45. 23.40 მუსიკა. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ. ფ. „მისტიკური პიცა". 0.15 მხ. ფ. „ნამდვილი იარაღი". 1.55 მუს. კალეიდოსკოპი.

**ევრიკა** 11.00, 18.900, 22.00 „სტუდია-25". 11.30 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 სერიალი „მხოლოდ შენ". 14.15 მხ. ფ. „ვნების საგანი". 18.05, 20.30 მუსიკა. 19.00 „ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია). 20.35 პოლიტიკური პორტრეტი. 21.35 „ფეხბურთის ლეგენდები". 22.30 მხ. ფ. „ზუსტი გათვლა".

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.00 ექო. 10.15, 17.15 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ. მხ. ფ. 12.30 სპორტ. პროგრამა. 13.05, 15.45, 21.00, 23.30, 1.15 მხ. ფ. 15.00, მუსიკა. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 13.10, 18.55, 20.50, 23.00, 1. 05 მუსიკა. 10.30 მხ. ფ. „უკანასკნელი იმპერატორი". 13.20 კლიპ-მიქსი. 18.00 დოკ. ფ. 19.05 მხ. ფ. 21.00 მხ. ფ. „მშვიდობისმყოფელი". 23.15 მხ. ფ. „საიმონ ბირჩი". 1.20 მხ.ფ. „სახიფათო კავშირები". 3.00 ნონ-სტოპი.

07.00 Телеканал "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.35 Новости 10.15, 18.00 Сериал "Во имя любви" 11.15 "Каламбур" 11.50 Домашняя библиотека 12.00 Сериал "Звездные войны" 13.15 Телеканал "Добрый день" 13.55 Х/Ф "Частной лицо" 15.15 Мультсериал 15.30 "Вместе" 16.15 Сериал "Гарри - Снежный человек" 16.45 Три репортажа о необычных событиях в людях 17.00 "Улица Сезам" 17.30 "... До 16 и старше" 19.15 Сериал "Графиня де Монсоро" 20.20 "Чтобы помнили" 20.55 Сериал "Мисс Марпл" "Тайна карибского залива" 22.00 Время 22.45 Закрытие Московского кинофестиваля 23.40 Х/Ф "Интервью" 01.50 Сериал "Темные небеса" 02.40 Док. фильм "Частная прогулка с Мартином Скорсезе по американскому кино".

08.00 Сегодня утром 10.10, 23.45 Сериал "Солдаты удачи" 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня 11.20 Х/Ф "Расписание на послезавтра" 12.45 Мультфильм 13.30 Сериал "Операция "Трест" 15.30 Сериал "Доктор Куин, женщина врач" 16.20, 0.40 Сегоднячко 17.30 Сериал "Захватчики" 18.25 Впрок 18.50 Сериал "Любовь и тайный сансет бич" (США) 19.40, 1.20 Криминал 20.40 Х/Ф "Приключени Шерлока Холмса и Доктора Ватсона" 22.05 Намедни-67 01.35 Антропология.

**DISCOVERY CHANEL** 13.00, 20.35 Рыболовное приключение Рекса Ханта 13.30 Божественное волшебство 14.25 Загадочные силы природы с Артуром Кларком 14.50 Австралиец 15.20 первые полеты 15.45 Африка, которой нет на карте 16.15 Загадочное животное 16.40 Ультранаука 17.10 Древние корабли 17.35 Игрок 18.05 Галактическая энциклопедия 18.20 Суперкорабль 19.15 Реактивные самолеты 22-го века 20.10 Катастрофа 21.30 Мир Уолкера 22.00 Классические грузовики 22.30 Искатели сокровищ 23.00 История одного зоопарка 23.30 Мир природы 0.30 Знаменитые побеги.

## 30 ივლისი, პარასკევი

7.30 ალიონი. 8.00 აერობიკა. 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 18.15 50-50. 19.05 სერიალი „დალასი". 20.35 „ბასტი-ბუბუ". 21.00 ვიდეოპატრული-02. 21.10 ტელესკოპი. 21.15 „კავკასიური სამკუთხედი". 21.35 ასპარეზი. 21.45 მო-ტვ. 22.00 ვესტნიკი. 22.20 პოლიტიკური პორტრეტები. 23.00 მ. მესხი. 23.35 დეროტა-ტვ. 0.15 მხ. ფ. „იაგუარი".

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 19.45 „სენტროპე" (ნაწ. I). 20.05 რაგბის მოყვარულთათვის. 21.10 სერიალი „ანტონელა". 22.00 ანტრე. 22.25 მხ. ფ. „ფსიქო". 0.10 ჰიტ-პარადი.

7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 9.50 „ზოლიანი ბანანები". 9.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30, 1.50, 3.20 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00, 23.55 „მაშველები". 10.20, 18.15 „ელენი და მისი მეგობრები". 10.30, 19.10 „ცისფერი ხე". 11.20, 20.05 "გვადალუპე". 12.15, 15.15 მხ. ფ. 14.10 „ნანო". 16.30 დოკ. ფ. 17.10 „ლოს-ანჯელესის კანონი". 18.40 აკუნა მატატა. 21.40 მხ. ფ. "სახიფათო ექსპერიმენტი". 0.50 „სიმფსონები". 1.20 „ფანტაზიები". 1.50 მხ. ფ. „სალამოს კაბა". 3.30 კლასიკა.

**VII არხი** 11.30, 18.05, 20,05, 22.40 ტელეგაზეთი. 11.35, 20.10 აჩიკუდა. 11.50 მხ. ფ. „სასწრაფო ჩაძირვა". 18.10, 19.40, 0.50 მუს. ტაიმ-აუტი. 18.30 რუს. მხ. ფ. „ხმა მიეცით". 20.35 მხ. ფ. „ოტელო". 22.45 „თიკო ვირტუალურ სამყაროში". 22.55 მუს. ლაბირინთი. 23.15 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი: მონაკო— სენტ-ეტიენი. 23.00 მხ. ფ. „გენერლის ქალიშვილი". 1,15 მხ. ფ. „ბნელეთის ადამიანი-3".

17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს. 17.15 მულტფილმები. 17.35 დოკ. ფ. 19.00 სპექტრი. 20.20 მუსიკა. 21.00 ვარსკვლავები. 21.40 მხ. ფ. „ზნედაცემული სიყვარული". 0.20 მხ. ფ „ეშმაკის მსახური". 1.55 მუს. კალეიდოსკოპი.

**ევრიკა** 11.00, 18.00, 22.00 „სტუდია-25". 11.30, 20.30 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 სერიალი „მხოლოდ შენ". 14.15 მხ. ფ. „ზუსტი გათვლა". 18.05 მუსიკა. 19.00 „ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია). 21.00 „კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება". 22.30 მხ. ფ „თამაშის წესები".

10.00, 17.30, 23.00, 1.15 ექო. 10.15, 17.00 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ. მხ. ფ. 12.30 სპორტ. პროგრამა. 13.30, 15.30, 21.00, 23.30, 1,30 მხ. ფ. 15.00 დოკ. ფ. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 12.25, 19.00, 20.55, 22.40, 0.55 მუსიკა. 10.30 მხ. ფ. „საიმონ ბირჩი". 12.35 კლიპ-მიქსი. 18.00 მულტფილმები. 19.10 მხ. ფ. „დანგრეული გაზონი". 21.05 მხ. ფ. „ლეგიონერი". 22.55 მხ. ფ. „ჭკვიანი უილი ჰანტინგი". 1.10 მხ. ფ. „მკვლელობის სია". 2.45 ნონ-სტოპი.

07.00 Телеканал "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.50 Новости 10.15, 18.00 Сериал "Во имя любви" 11.15 "Маски0шоу" 11.40 Смак 12.00 Сериал "Звездные войны" 12.45, 17.40 Мультфильм 13.15 Телеканал "Добрый день" 13.55 Х/Ф "Жил-был настройщик" 15.10 Мультсериал 15.30 "Вместе2 16.15 Х/Ф "Если бы я был белым арапом" 19.20 Сериал "Графиня де Монсоро" 20.15 Док. фильм "Капкан для контразведчика. Дело 1998г." 20.45 "Ералаш" 20.55 "Поле чудес" 22.00 Время 22.45 Х/Ф "Жертва красоты" 00.10 Клуб "Белый попугай" 01.05 Х/Ф "Охранник".

08.00 Сегодня утром 10.10 Сериал "Солдаты удачи" 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня 11.20, 20.40 Х/Ф "Шерлок Холмс и Доктор Ватсон" 12.40 Мультфильм 13.30 Сериал "Операция "Трест" 15.30 Сериал "Доктор куин, женщина - врач" 16.20 Сегоднячко 17.30 Сериал "Захватчики" 18.30 Впрок 18.55 Футбольный клуб 19.40 Криминал 22.05 "Намедни-64" 23.45 "Криминальная Россия" 00.15 Х/Ф "Шпионка".

**DISCOVERY CHANEL** 13.00, 20.35 Рыболовное приключение Рекса Ханта 13.30 Дикая Африка 14.25 Загадочные силы природы с Артуром Кларком 14.50 Австралиец 15.20 Первые полеты 15.45 Сигнал тревоги 16.15 Чарли Браво 16.40 Ультранаука 17.10 Древние корабли 17.35 Игрок 18.05 Галактическая энциклопедия 18.20 Огонь под ногами 19.15 Юрассика 20.10 Катастрофа 21.30 Мир Уолкера 22.00 Классические грузовики 22.30 Искатели сокровищ 23.00 История одного зоопарка 23.30 Любовь в мире животных 0.30 Знаменитые побеги.

## 31 ივლისი, შაბათი

10.00 დილის პროგრამა. 12.05 მხ. ფ. „მარკო პოლო". 13.35 იოგა ჯანმრთელობისათვის. 13.55 მესაკუთრე. 14.05 „... და ეს ყველაფერი ჩვენზეა". 14.45 სარძევე ჯირკვლის კიბოს პროფილაქტიკის საკითხები. 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 15.15 „ფუეტე". 15.30 კვალი. 16.00 მულტფილმი „მხიარული მელოდიები". 16.50 საქართველო და გარესამყარო. 17.20 პროფესიონალები და... 18.15 მო-ტვ. 18.30 „საოჯახო ლოტო". 19.00 აჭარა. 19.30 საქართველოს კონსტიტუცია. 20.35 „ბასტი-ბუბუ". 21.00 ვიდეოპატრული-02. 21.10 ტელესკოპი. 21.15 „მაესტრო". 22.15 ე. მიქელაძე. 0.15 „ილუზიონი" — მხ. ფ. „ოქროს ჩაჩქანი".

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 20.00 „სენ-ტროპე (ნაწ. II). 21.00 ავტოსპორტი. 21.25 ოაზისი. 21.40 ჯაზ-სპრინტი. 22.05 ვარსკვლავები გვამცნობენ... 22.20 მხ. ფ. „თვალთვალი". 0.10 ჰიტ-პარადი.

8.00, 11.30 მუსიკა. 9.00, 18.00, 21.00, 1.00, 3.35 კურიერი. 9.10 მულტსერიალი. 9.49, 18.40 საბ.სერიალი. 10.10 ფილმი-ბავშვებს. 12.00 „სიმფსონები". 12.30, 19.40 "მეორე მე". 13.20 მხ. ფ 15.20, 19.10 „მონსტრების ოჯახი". 18.20 აკუნა მატატა. 20.35 სპორტ. პროგრამა. 21.50 ფსიქო — მხ. ფ. „დაპირება". 1.10 „ფანტაზიები". 1.40 მხ. ფ. „სეზარე და როზალი". 3.45 ღამის ჯაზი.

**VII არხი** 17.05, 20.05, 23.35 ტელეგაზეთი. 17.20 დოკ. ფ 17.50 „ვარსკვლავი". 18.30 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი: მონაკო — სენტ-ეტიენი. 20.10 აჩიკუდა. 20.35 „შეხვედრები ატლანტიდაში". 21.25 მხ. ფ. „პანინო". 23.40 „ბედნიერი ერი". 23.45 მხ. ფ. „ველური უესტი". 1.30 მუს. ტაიმ-აუტი. 1.45 მხ. ფ. „11 დღე — 11 ღამე".

11.00 „სტუდია-25". 11.30, 18.30 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.30 მხ. ფ. „ბუნაგში". 13.45, 20.15, 22.10 მუსიკა. 14.00 შეხვედრა მწერალთან. 15.00 თქვენი ადვოკატი. 16.00 სპორტ. გადაცემა. 16.30 მხ. ფ. „მერკურის ამოსვლა". 19.00 „შაბათიდან-შაბათამდე". 19.45 „სტილი". 20.30 მხ. ფ. „თეთრი სასახლე". 22.40 მხ. ფ. „დაკარგული კაპონე".

**ევრიკა** 12.00 მულტფილმი. 13.25, 20.20 მუსიკა. 14.00 მხ. ფ. „ნაბრძანებია განადგურდეს". 17.30 რიკი რეინერი. 18.00 ოკეანეს რაფსოდია. 18.30, 20.30, 0.00 დღეს. 19.00 სპექტრი. 21.00 ვარსკვლავები. 21.50 მხ. ფ. „იდეალური მკვლელი". 0.15 ჯაზ-პარნასი. 0.55 მხ. ფ. „თავისუფალი ვარდნა". 2.20 მუს. კალეიდოსკოპი.

10.00, 17.30, 20.30, 22.45, 0.45 ექო. 10.15, 18.00 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ. მხ. ფ. 12.30 სპორტ. პროგრამა. 13.30, 15.30, 21.00, 23.00, 1.45 მხ. ფ. 15.00, 23.45 მუს. კოლაჟი. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 12.35, 13.45, 15.30, 19.20, 21.10, 22.55, 1.40 მუსიკა. 10.30 მხ. ფ. „ჭკვიანი უილი ჰანტინგი". 12.45, 18.00 მულტფილმები. 13.55 მხ. ფ. „რეტრო სამისთვის". 15.45 კლიპ-მიქსი. 19.30 მხ. ფ. „ბევრი ბუზღუნები". 21.20 მხ. ფ. „მსოფლიოს სახურავი". 23.10 მხ. ფ. „შუაღამე ბოროტებისა და სიკეთის ბაღში". 1.55 მხ. ფ. „ცრუპენტელები". 3.40 ნონ-სტოპი.

08.55 Х/Ф "Попрыгунья" 10.25 Слово пастыря 10.45 "Домашняя библиотека" 11.00, 16.00, 19.00 Новости 11.15 "100??" 11.45 "Утренняя почта" 12.20 Каламбур 12.50 Смак 13.10 "История одного шедевра" 13.25 "Борис Андреев. первая любовь" 14.05 Х/Ф "Первый рейс" 15.25 "Цивилизация" 16.15 В мире животных 16.55 Экстренный вызов 17.25 Футбол. Чемп. мира 1998 года. Финал 19.15 "Ералаш" 19.30 Х/Ф "Фараон" 22.00 Время 22.50 Сериал "Секретные материалы" 00.35 Х/Ф "Безумие короля Георга".

09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня 09.15 Х/Ф "Приключения Шерлока Холмса и доктора Ватсона" 10.30 Мультфильм 10.40 "Фитиль" 11.15 Криминал 11.40 "Добро пожаловать" 12.20 Сериал "Нигде и никогда" 13.20 "Впрок" 13.40 Своя игра 14.10 Х/Ф "В провинции" 16.10 Суд идет 17.30 Сериал "Она написала убийство" 18.30 "Антропология" 19.20 Дог-шоу "Я и моя собака" 20.45 Х/ф "Полицейская академия-6" 22.20 "Весь Жванецкий" 23.45 Х/Ф "Бабник" 01.00 Ток-шоу "Про это" 01.45 Х/Ф "Подглядывающий".

**DISCOVERY CHANEL** 13.00 Приключения "Квеста" 13.55 Взаимосвязи с Джеймсом Берком 14.50 Первые полеты 15.45 Дикая Африка 16.40 Крылья над морем 17.35 Галактическая энциклопедия 17.50 Река сомнений 18.45 Чарли Браво 19.15 Катастрофа 19.40 Древние корабли 20.35 Первые полеты 21.00 Великие командиры 22.00 Война и цивилизация 0.00 Черная рубашка.

## 1 აგვისტო, კვირა

10.00 დილის პროგრამა. 12-77 სპა. 12.30 მხ. ფ. „მარკო პოლო". 13.15 საბავშვო პროგრამების სტუდია წარმოგიდგენთ.. 14.00 „სოფლის ქრონიკები". 14.30 ლვანლის დაფესება. 14.50 „ბავშვები — უპირველეს ყოვლისა". 15.00, 18.00, 0.05 მოამბე. 15.20 თამბაქოს — უარი! 15.35 „ეძიე ქალი..." 16.10 „მსოფლიოს ახალი ამბები". 16.30 ქართ. მხ. ფ. „თბილისი-პარიზი-თბილისი". 18.15 „ლატარია ყველასათვის". 18.35 გლობუსი. 19.15 აფხაზეთის ტელევიზია. 19.40 „ენერგია". 19.55 ტოტო-ლოტო. 20.10 ხერი. 20.25 ტელესკოპი. 20.35 „კოლორიტი" — ორამიშვილი. 20.50 ვიდეოპატრული-02. 21.00 ტაიმ-აუტი. 22.00 „ფორტუნა". 22.40 „დიდების ზღაპარი". 23.00 „სატ. დარბაზი" — მხ. ფ. „რამდენიმე ეპიზოდი ილიას ცხოვრებიდან". 0.20 მხ. ფ. „ეს ერთხელ ღამით მოხდა".

19.00 მულტფილმი, გაილიმე, სუპერ-მატჩი, „ძველი ალბომი", „კურპები", შვიდეული, მხ. ფ, ღამის ქალაქი.

8.00, 11.30 მუსიკა. 9.00, 18.00, 0.50, 2.40 კურიერი. 9.10 მულტსერიალი. 9.40, 18.40 საბ. სერიალი. 10.10 ფილმი-ბავშვებს. 12.00, 0.20 „სიმფსონები". 12.30, 20.05 „მეორე მე". 13.20 მხ. ფ. 15.20, 19.10 „მონსტრების ოჯახი". 18.20 აკუნა მატატა. 19.40 სპორტული პროგრამა. 20.30 სპორტ. პროგრამა. 21.00 კვირა. 21.50 მხ. ფ. „ძალიან შორს". 1.00 მხ. ფ. „ტვინწაღრძობი". 2.50 კლასიკა.

**VII არხი** 17.05, 20.05, 22.05 ტელეგაზეთი. 17.20 ფილმი-ბავშვებს. „დანსტონის გამოჩენა". 18.55 გასართ. პროგრამა. 19.30, 21.00 დოკ. ფ. 20.10 აჩიკუდა. 20.35 მუსიკა. 21.30 „ავტოპილოტი". 22.10 მხ. ფ. „პ ა ლ". 1.25 მუს. ტაიმ-აუტი. 1.40 მხ. ფ. „11 დღე — 11 ღამე".

12.00 ინდ. მხ. ფ. 14.30 გასართ. პროგრამა. 15.00 მხ. ფ. „გაქცევა ლოს-ანჯელესიდან". 16.40 დებიუტი. 17.30 „ცხოვრება სიტყვაში — ჯონის მაიერი". 18.00 კოსმოსური რაფსოდია. 18.30 „ფეხბურთის ლეგენდები". 19.00 მხ. ფ. „მის დეიზის მძღოლი". 20.30, 0.00 დღეს. 21.00 ვარსკვლავები. 21.45 მუსიკა. 22.00 მხ. ფ. „დანტეს პიკი". 0.15 ჯაზ-პარნასი. 0.45 მხ. ფ. „მინის თრთოლვა". 2.15 მუს. კალეიდოსკოპი.

**ევრიკა** 11.00 „ცისკრის ზარები". 11.05 ქართ. მულტფილმები. 11.25, 13.05, 21.40 დოკ. ფ. 12.00 დილის ლოცვა. 12.05 ქართ. მხ. ფ. „ცისკარა". 13.45 ქართ. სერიალი „სპირალი". 15.00-18.00 რელიგიის საათები. 18.00 მოკლ. მხ. ფ. „სამი წვიმიანი დღე". 18.40 მუსიკა. 19.00 თბილისური ოჯახები. 19.30 „კოჭრის ტყის სიზმრები". მარიონეტების თეატრის სპექტაკლი. 22.20 მუს. მხ. ფ. „სიყვარული, „ივერია" და ..." 21.05 მოკლ. მხ. ფ. „მოგზაურობა სოპოტში". 22.00 მხ. ფ. „ღამის ცეკვა".

10.00 ექო. 10.15, 18.00 მულტფილმი. 11.00, 18.45 ქართ. მხ. ფ. 12.30 დოკ. ფ. 14.15, 16.430, 20.45, 23.15, 1.45 მხ. ფ. 15.45, 20.15 მუსიკა. 22.15 ფარდის გახსნამდე... 1.00 ტელეფილმი.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 13.05, 14.10, 19.10, 21.00, 23.15, 1.25 მუსიკა. 10.30 მხ. ფ. „შუაღამე ბოროტებისა და სიკეთის ბაღში". 13.10, 18.00 მულტფილმები. 14.20 მხ. ფ. „ყრუთა ქვეყანა". 16.05 კლიპ-მიქსი. 19.20 მხ. ფ. "ბებერი ბუზღუნები აბობოქრდნენ". 21.10 მხ. ფ. „ტურა". 23.30 მხ. ფ. „ანგელოზთა ქალაქი". 1.40 მხ. ფ. „შიშის სიმფონია". 3.10 ნონ-სტოპი.

08.55 Х/Ф "Магистраль" 10.20, 17.50, 18.15 Дисней-клуб 11.00, 16.00, Новости 11.15 "Непутовые заметки2 11.35 "Пока все дома" 12.10 "Утренняя звезда" 12.55, 20.05 "Ералаш" 13.05 "Служу России!" 13.35 "Играй, гармонь любимая!" 14.05 "Крестьянские ведомости" 14.35 "Все путешествия команды Кусто" 15.25 "Смехопанорама" 16.15 "Здоровье" 16.45 Клуб путешественников 17.30 "Возможно все!" 18.45 Концертная программа 20.20 Х/Ф "Одинокая женщина желает познакомиться" 22.00 Время 22.35 Х/Ф "Книга джунглей" 00.35 Футбольное обозрение 01.05 "Абажур" 01.35 Сериал "Майкл Хаммер - убей себя, убей меня".

09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня 09.15 Х/Ф "Том Сойер" 10.40 "Фитиль" 11.15 Х/Ф "Монолог" 13.20 "Пойми меня" 13.50 "Невероятные путешествия" 14.25 Мультфильм 14.45 Х/Ф "Грязная сделка" 17.30 "Профессия - репортер" 17.45 "Свадьба" 18.15 Х/Ф "Она написала убийство" 19.05 Док. сериал. 20.40 Х/Ф "Страх над городом" 23.45 Х/Ф "Все справедливо".

**DISCOVERY CHANEL** 19.00 Век войн 19.35 Ультранаука 20.00 Крылья 21.00 Экстремальные машины 22.00 Юрассика 23.00 Охотник на крокодилов 0.00 Загадки истории 1.00 За гранью возможного 2.00 Поворотные моменты истории 3.00 Красивое решение 4.00 Журнал открытий 5.00 Архивы правосудия 6.00 Галактическая энциклопедия.

# სკანვორდი



ფულის ბომარა (4)

გალილეო (7)

მთის მდინარე ჩრდ. კავკასიაში (5)

ვერცხლის სასმისი, ბარიანი (8)

ქალაქი და ადმ. ცენტრი აფხაზეთში (4)

იარაღის დამცავად შეკერილი ქსოვილი (6)

დროის მაჩვენებელი მექანიზმი (5)

ერთიანი, დაუნაწევრებელი (5)

ბამბის სახეებიანი ქსოვილი (4)

კარების საკეტი (4)

სხეულის დასადალავი რკინა (5)

ქან ... (4)

სალოცავი სურათი (4)

სახელმწიფო ჩრდ.-დასავლეთ ევროპაში (5)

სასარგებლო წიაღისეული ქანი (6)

შესანახად გადადებული სურსათი (6)

საქმლის სურვილი (4)

მარადმწვანე ხე ან ბუჩქი სურნელოვანი ფოთლით (5)

იგივეა რაც არშიყი (5)

კეთილთვისებიანი ჭირკვლოვანი სიმსივნე (7)

ქვეყნის ყველაზე დიდი მაგერიკი (4)

ქანის გადამდები დაავადება – მლიერი (4)

ფიცრული სახლი გურიაში (3)

ჭურჭლის სარეცხი საშუალება (4)

ადამი და ... (3)



ყაზაყთა ჯარის უფროსი (7)

## ვულოცავთ

ეკა კოზოლაშვილს და კოტე გელაშვილს ოჯახის შექმნას.

ვუსურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, მრავალშვილიანობას და ზღვა სიყვარულს.

თქვენი ბიძა და ბიცოლა
ნუგზარ და ეთერი კოზოლაშვილები

## ინგა მეტრეველს!

ჩემო ძვირფასო და საყვარელო ინგა, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ბედნიერებას, ულევ სიხარულს და ცხოვრების ლამაზად გატარებას.

უდიდესი სიყვარულით

 იზოლდა ცირდავა

# განცხადებები

იყიდება მეტრო „წერეთელთან" ბათუმის ქ. №32 3-ოთახიანი სუფთა ბინა ახალი მიშენებით. საერთო ფართი 110 კვ. მ. ჭერის სიმაღლე 3,70 მ. საწყისი ფასი 25000 $-ის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში ტ. 35-09-96

იყიდება 2,5-ოთახიანი ბინა რვასართულიანის მე-5 სართულზე აკ. წერეთლის პროსპექტზე, გამოფენასთან (მიშენებულია 60 კვ. მ. ფართი). ფასი შეთანხმებით. ტ. 34-71-94 ლიდა.

ჯანდაცვის მართვის ნაციონალური ცენტრის მუდმივად მომქმედ სასწავლო კურსებზე შეგასწავლით თანამედროვე კომპიუტერულ (Windows'95/98, Word, Excel, Paint), ინფორმაციულ (Visual Basic 6.0), ტექნოლოგიებს. გაიცემა სერტიფიკატი.

გარდა ამისა, ვიღებთ დაკვეთებს, ვაწარმოებთ კონსულტაციებს და სწავლებას ყველა სახის გამოთვლითი სამუშაოების ჩასატარებლად. მათ შორის პრობლემურად ორიენტირებული მონაცემთა ბაზების პროექტირების, შექმნის და ექსპლოატაციის საკითხებზე.

მისამართი: ივ. ჯავახიშვილის 51. ტელ.: 95-66-40

ქირავდება 2-ოთახიანი იზოლირებული ბინა ტელეფონით, ავეჯით, მაცივრით, ტელევიზორით; ყველაფრით უზრუნველყოფილი, II სართულზე. ფასი 120$ თვეში. მისამართი: ქავთარაძის ქ. №5. ტ.: 38-96-14 (იკითხეთ ბეჟანი).

ბათუმში იყიდება 4 ოთახიანი ბინა (180 მ²) რუსთაველის 57, I სართული, ბინა 3. უმაღლესი რემონტით, 4 კონდიციონერით. ზღვის ნაპირიდან 50 მ. საკონტაქტო ტ. 8-88-222-7-24-04. 8-99-56-66-04. ფასი შეთანხმებით.

იყიდება 2-ოთახიანი იზოლირებული ბინა, მაღალი ჭერით (5მ.) ტაბიძის ქუჩაზე (მერის უკან) 3-სართულიან სახლში, ფასი 10000 დოლარი. ტ. 92-08-77, გოგი.

იყიდება დიდი დიღმის IV მიკრორაიონში, ავტოტრანსპორტის ბოლო გაჩერებასთან, ლვოვის პროექტის 9-სართულიანი სახლის მე-5 სართულზე მდებარე 4-ოთახიანი ბინა. სარემონტო. ფასი 5000 დოლარი. დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ 76-65-42, ზაზა. საღამოს საათებში.

## აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი და მასთან არსებული კოლეჯი

თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5
ტელ: 99-60-20, 93-36-93, 99-59-09, 79-50-05 (საღამოს)

### აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

თუ გსურთ: საერთაშორისო მოთხოვნების დონეზე დაეუფლოთ ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს; მოისმინოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და უცხოეთში სერტიფიცირებული პროფესორ-მასწავლებლების ლექცია-სემინარები; ისწავლოთ თანამედროვე კომპიუტერული სისტემით აღჭურვილ უმაღლეს სასწავლებელში; შეისწავლოთ უცხო ენები თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით; ისწავლოთ ქალაქის ცენტრში, მიმართეთ აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ ინსტიტუტს, რომელიც აცხადებს მიღებას 1999-2000 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

**1. სამართალმცოდნეობა; 2. ავტოტექნიკური ექსპერტი; 3. საგარეო უწყებათა მომსახურება; 4. ფინანსები და კრედიტი; 5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; 6. საბუღალტრო აღრიცხვა, აუდიტი, კონტროლი; 7. წარმოების ეკონომიკა და მართვა; 8. საზღვარგარეთის ქვეყნების ენა და ლიტერატურა; 9. ისტორია; 10. ქართული ენა და ლიტერატურა; 11. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა; 12. პედაგოგის ფსიქოლოგია — სკოლამდელი; 13. ხელოვნებათმცოდნეობა.**

საბუთები მიიღება 1 აგვისტომდე. ყოველდღიურად (გარდა შაბათ-კვირისა) 11-დან 17 საათამდე, V სართული, ოთახი 502. მისაღები გამოცდები დაიწყება 3 აგვისტოდან. II ეტაპზე საბუთები მიიღება 25 აგვისტომდე.

გამოცდები ჩატარდება 26-30 აგვისტოს.

უმაღლესდამთავრებულები გასაუბრებით ჩაირიცხებიან შესაბამის კურსზე.

ინსტიტუტის კოლეჯში მიღება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე:

**1) სამართალმცოდნეობა; 2) ფინანსები და კრედიტი; 3) საბუღალტრო აღრიცხვა, აუდიტი, კონტროლი; 4) საზღვარგარეთის ქვეყნების ენა და ლიტერატურა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური).**

მიღება იწარმოებს როგორც 9 კლასის, ასევე 11 კლასის ბაზაზე.

***ინსტიტუტის დამფუძნებელია საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. რექტორია ამ აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი ლეო ჩიქავა.***

მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

შ.პ.ს. გაზეთი „საქართველო"
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444
ტელ.: რედაქტორი: 93-20-36, რედაქცია: 93-18-41

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ.